სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 1
მოგების ან ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 3
ფულადი ნაკადების ანგარიში 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 სს "საქართველოს სათბურის კორპორაცია" და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3 ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების პოლიტიკა 6
4 კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და გადაწყვეტილებები ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას 13
5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციის მიღება 14
6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი დებულებები 15
7 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 17
8 ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა 18
9 გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები 19
10 სასაქონლო-მატერიალური აქტივები 19
11 გაცემული სესხები 20
12 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 21
13 სხვა საგადასახადო დებიტორული დავალიანება, ნეტო 22
14 ფული და ფულადი ექვივალენტები 22
15 სააქციო კაპიტალი 22
16 სესხები 22
17 ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შედარება 23
18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 23
19 შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან 24
20 სხვა ხარჯები 24
21 ფინანსური შემოსავალი 24
22 დაფინანსების ხარჯები 24
23 გაუთვალისწინებელი პირობები და ვალდებულებები 25
24 კაპიტალის მართვა 25
25 ფინანსური რისკების მართვა 26
26 რეალური ღირებულების გამჟღავნება 31
27 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ 32

PWC

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ მფლობელებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს, ყველა არსებით ასპექტში, სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ (შემდგომში - „კომპანია“) საფინანსო მდგომარეობას, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რა დაექვემდებარა ჩვენს აუდიტს

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის;
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ამ სტანდარტების ფარგლებში არის შემდგომ აღწერილი ამ ანგარიშის ნაწილში - *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის.*
ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და შესაბამისი ჩვენი მოსაზრების საფუძვლიანობისთვის.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ დამოუკიდებელნი კომპანიისაგან, ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (საერთაშორისო დამოუკიდებელი სტანდარტების ჩათვლით) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები IESBA Code-ის შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს (მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს აუდიტორულ ანგარიშს).

ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მმართველობით ანგარიშს და, ამასთან, განვიხილით, თუ არსებობს არსებითი შეუსაბამობა მმართველობით ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებასა ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას შორის, ან ხომ არ არის მონაცემები არსებითად დამახინჯებული. თუ, ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე, დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშში არის არსებითი ხარვეზი, ჩვენ ვალდებულნი ვართ შეგატყობინოთ ეს ფაქტი. ამ კუთხით არაფერი გვაქვს შესატყობინებელი.

გარდა ამისა, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გამოვხატოთ

PricewaterhouseCoopers Georgia LLC; ს/კ 405220611
მეფე დავითის ბიზნეს ცენტრი, მე-7 სართული, #12 მ. ალექსიძის ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

მოსაზრება, თუ შეესაბამება მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ წესებს, და განვიხილოთ, თუ მოიცავს მმართველობითი ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, მოყვანილი იმ საფინანსო წლის მმართველობით ანგარიშში, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ამ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

მენეჯმენტისა და კორპორატიულ მართვაში ჩართული პირების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერ წარდგენაზე ფინასური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარდებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, როგორიც, მენეჯმენტის აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელსაც არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის ისეთი უნარების შეფასებაზე, როგორიცაა საქმიანობის უწყვეტი გაგრძელება, საჭიროებისამებრ, მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნება და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების გამოყენება უწყვეტობის პრინციპით, თუკი მენეჯმენტს არა აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან არ გააჩნია სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა ამის გაკეთებისა.

მართვაში მონაწილე პირებს ეკისრება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზნებია, გონივრულად დარწმუნება, რომ ფინანსურ ანგარიშგებას არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო, და აუდიტორის ანგარიშის გამოცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული დარწმუნება წარმოადგენს დარწმუნების მაღალ დონეს, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩნეს არსებით უსწორობას, მისი არსებობისას. უსწორობა შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობისა თუ შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც გავლენის მქონე მომხმარებელთა იმ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიულ მსჯელობას და გაგვაჩნია პროფესიული სკეპტიციზმი აუდიტის დროს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი დამახინჯების რისკების განსაზღვრასა და შეფასებას, იმისდა მიუხედავად, თუ არის ეს გამოწვეული თაღლითობით ან შეცდომით, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ ამ რისკების საპასუხო პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტის ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც არის საკმარისი და შესაბამისი, რათა შექმნას საფუძველი ჩვენი მოსაზრებისთვის. თაღლითობით გამოწვეული რისკი, რომელიც არ იქნა აღმოჩენილი, არის უფრო მაღალი, ვიდრე შეცდომით გამოწვეული, ვინაიდან თაღლითობა შეიძლება შეიცავდეს გარიგებას, ფალსიფიკაციას, განზრახულ გამოტოვებას, დამახინჯებასა ან შიდა კონტროლის ბლოკირებას.
- მოვიპოვებთ აუდიტისთვის საჭირო შიდა კონტროლის შესახებ ცოდნას არსებული გარემოებების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების შემუშავების მიზნით და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობასა და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე მენეჯმენტის მიერ ინფორმაციის შესაბამის გამჟღავნებებს.
- ვაყალიბებთ ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტობის პრინციპის მენეჯმენტის მიერ

გამოყენების თაობაზე დასკვნას და ასევე, მიღებული აუდიტორული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დასკვნას იმის თაობაზე, თუ არის არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენებსა ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული ეჭვები კომპანიის უნარში განაგრძოს საქმიანობა. თუ ჩვენ გადავწყვეტთ, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, ჩვენგან მოითხოვება, რომ

აუდიტორულ ანგარიშში მივაქციოთ ყურადღება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის გამჟღავნებას ან, თუ ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორული ანგარიშის თარიღისთვის. თუმცა მომდევნო მოვლენებსა თუ პირობებს შეუძლია გამოიწვიოს კომპანიის მიერ საქმიანობის შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების მთლიან პრეზენტაციას, სტრუქტურასა და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით, და თუ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს ისეთი გზით, რომ უზრუნველყოფილი იყოს კეთილსინდისიერი წარდგენა.

ჩვენ მიერ დამყარებულია კომუნიკაცია მათთან, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა მართვაზე, მათ შორის აუდიტის დაგეგმილ მოცულობასა და ვადებსა და აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგების თაობაზე, შიდა კონტროლში ნებისმიერი ხარვეზების ჩათვლით, რომელსაც ჩვენ გამოვავლენთ ჩვენი აუდიტის დროს.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC (რეგ.# SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (რეგ.# SARAS-A-506913)

2023 წლის 10 ივლისი
თბილისი, საქართველო

სს "საქართველოს სათბურის კორპორაცია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა	8	7,544	8,757
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	9	39	78
გაცემული სესხები	11	3,368	45
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,951	8,880
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური აქტივები	10	1,750	1,614
გაცემული სესხები	11	3,327	455
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	6,314	7,117
სხვა საგადასახადო დებ. დავალიანება, ნეტო	13	932	946
ფული და ფულადი ეკვივალენტი	14	315	864
სულ მიმდინარე აქტივები		12,638	10,996
სულ აქტივები		23,589	19,876
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	72,917	67,937
დაგროვილი დეფიციტი		(53,468)	(53,812)
სულ კაპიტალი		19,449	14,125
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9,17	-	52
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	52
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16,17	2,575	3,994
საიჯარო ვალდებულებები	9,17	46	49
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18	1,519	1,656
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,140	5,699

სს "საქართველოს სათბურის კორპორაცია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სულ ვალდებულებები		4,140	5,751
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,589	19,876

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია 2023 წლის 10 ივლისს

შოთა ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

მაია წიკლაური
მთავარი ბუღალტერი

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული
შემოსავლის ანგარიში

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან	19	15,976	15,086
სხვა შემოსავალი		174	330
კომუნალური ხარჯები		(6,673)	(8,164)
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები		(3,855)	(3,805)
გამოყენებული თესლი და სხვა სახარჯი მასალები		(2,696)	(2,647)
ქონების, წარმოების საშუალებებისა (მცენარეები) და ალჭურვილობის ცვეთა	8,9	(1,924)	(1,925)
ცვლილებები სოფლის მეურნეობის წარმოების		(11)	(48)
სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	10	(1,104)	(886)
სხვა ხარჯები	20	(128)	(50)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, ნეტო		(241)	(2,109)
საოპერაციო ზარალი		609	19
ფინანსური შემოსავალი	21	(24)	(605)
დაფინანსების ხარჯები	22		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		344	(2,695)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		344	(2,695)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		344	(2,695)

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

ათას ქართულ ლარში	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარს	**60,475**	**(51,117)**	9,358
წლის ზარალი	-	(2,695)	(2,695)
სულ წლის სრული ზარალი	-	(2,695)	(2,695)
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 15)	7,462	-	7,462
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**67,937**	**(53,812)**	14,125
წლის მოგება	-	344	344
სულ წლის სრული შემოსავალი	-	344	344
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 15)	4,980	-	4,980
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**72,917**	**(53,468)**	19,449

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“

ფულადი ნაკადების ანგარიში

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		344	(2,695)
კორექტირება:			
ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეების) და აღჭურვილობის ცვეთა და გაუფასურება	8,9	1,924	1,925
ზარალი ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეების) და აღჭურვილობის განკარგვიდან მიღებული			
მოგების გამოკლებით	8	169	179
ფინანსური შემოსავალი	21	(609)	(19)
დაფინანსების ხარჯები		24	605
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო		128	50
ოპერაციული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		1,980	45
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზრდა/(კლება)	12	803	(2,524)
სასაქონლო-მატერიალური აქტივების ზრდა	10	(136)	(268)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების (კლება)/ზრდა	18	(137)	276
სხვა საგადასახადო დებიტორული დავალიანების (კლება)/ზრდა	13	14	(24)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**544**	(2,540)
საპროცენტო გადასახადი	17	(142)	(591)
მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები, ნეტო საოპერაციო საქმიანობიდან		**(2,382)**	(3,086)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეების) და აღჭურვილობის შესყიდვები	8	(841)	(904)
გაცემული სესხები	11	(5,614)	(500)
ფულადი სახსრები, გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში, ნეტო		**(6,455)**	**(1,404)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	17	(2,693)	(4,227)
ამონაგები სესხებიდან	17	1,383	1,825
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	17	(46)	(47)
ამონაგები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან	15	4,980	7,462
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან, ნეტო		**3,624**	**5,013**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და ფულად ეკვივალენტებზე		(100)	(31)

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	864	372
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	315	864

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 სს "საქართველოს სათბურის კორპორაცია" და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „საქართველოს სათბურის კორპორაციისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული საქმიანობის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ (შემდგომში - „კომპანია“) 2014 წლის 3 აპრილს დაფუძნდა და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, დაარსებულს საქართველოს რეგულაციების მიხედვით, და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით: 404469865.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ აქციების უშუალო მფლობელებია:

აქციონერი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
Greenhouse Holding LLC	98.67%	98.58%
Agroshare B.V.	1.33%	1.42%
სულ	100%	100%

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 98.67%-ს (2021 წელი: 98.58%) ფლობს შპს „გრინჰაუს ჰოლდინგი“ (Greenhouse Holding LLC), ხოლო მისი საბოლოო მშობელი კომპანია იყო GCF LP (რეგისტრირებული კაიმანის კუნძულებზე), რომელსაც აკონტროლებს GCF GP (რეგისტრირებული კაიმანის კუნძულებზე).

შპს „გრინჰაუს ჰოლდინგი“, უშუალო მშობელი კომპანია, ადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს და ამუშავებს მაღალტექნოლოგიურ, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სასათბურე მეურნეობას, რომელიც განთავსებულია 12 ჰა-ზე („სათბური“) და წლიურად 7,100 ტონა პროდუქტს აწარმოებს. კომპანია აწარმოებს და ყიდის პრემიუმ და მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, პომიდორსა და კიტრს. შპს ჯორჯიან აგროჰაუსი (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირი) არის „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი.

კომპანია იმედოვნებს, რომ სასათბურე მეურნეობა საქართველოში შეავსებს ადგილობრივ წარმოებასა და ბოსტნეულის მოხმარებას შორის არსებულ გარღვევას და გარკვეულწილად შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტირებულ პროდუქციაზე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ზ. ფალიაშვილის ქ. №83, I კორპ., მე-5 სართული, 0162, თბილისი, საქართველო. საქმიანობის ადგილი გარდაბანი, საქართველო (თბილისიდან 50 კმ).

პრეზენტაციის ვალუტა. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს ახასიათებს განვითარებადი ბაზრის გარკვეული თვისებები, შედარებით მაღალი ინფლაციისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების ჩათვლით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად.

სოფლის მეურნეობის სექტორი ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად არის გამოცხადებული და სახელმწიფოს დაფინანსება და ინსტიტუციური მხარდაჭერა არსებითია. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, ბოსტნეულის ძირითადი ჯგუფების წარმოება ბოლო წლებში კლებულობს, ხოლო ამავე პროდუქტების იმპორტი იზრდება. ეს ქმნის ერთგვარ პრობლემას და ასევე შესაძლებლობასაც კომპანიისთვის უზრუნველყოს მაღალმოთხოვნადი ბოსტნეულის პროდუქტების წარმოება (განსაკუთრებით შუასეზონურ პერიოდში) და ჩაანაცვლოს იმპორტი.

COVID-19. 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19-ის პანდემია. პანდემიის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორიცაა მოგზაურობის შეზღუდვები, კარანტინი, თვითიზოლაციის რეჟიმი და ბიზნეს აქტივობის შეზღუდვები, წარმოების შეწყვეტის ჩათვლით. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობდა დაბალი რისკი იმისა, რომ ხელისუფლება დააწესებდა დამატებით შეზღუდვებს 2023 წელს ვირუსის ახალი ვარიანტების გაჩენის გამო.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსეთის მნიშვნელოვანი სამხედრო გაძლიერების შემდეგ, 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ჯარებმა საზღვარი გადაკვეთეს. საერთაშორისო დონეზე ეს საომარ აგრესიად მიიჩნევა, და ეს არის უდიდესი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიოს შემდეგ. ამან გამოწვია ევროპაში დევნილთა უდიდესი კრიზისი, ვინაიდან ომის გამო მილიონობით უკრაინელი ქვეყანას და სახლებს ტოვებს. უკრაინის ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ დაუწესა რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები. უამრავმა კომპანიამ დახურა ბიზნესი რუსეთსა და ბელორუსში. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინისთვის, რუსეთსა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი კონტაქტები უკრაინასთან, რუსეთსა და ბელორუსთან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ აღნიშნული სიტუცია არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის აქტივობებზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ გრძელდება, შეუძლებელია კომპანიაზე მისი ზემოქმედების სარწმუნოდ შეფასება, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბებთან დაკავშირებით. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას მიმდინარე გარემოებებში.

მენეჯმენტისთვის შეუძლებელია იმ ყველა მოვლენის განჭვრეტა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათი შესაძლო გავლენისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3 ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად და საწყისი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით, ცვლილებებით ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით საწყისი აღიარებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ეს ასევე მოითხოვს მენეჯმენტისგან თავისი გადაწყვეტილების გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოითხოვს განსჯის ან სირთულის უფრო მაღალ ხარისხს, ან ის სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, ასახულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის გადათვლა. საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა არის იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც სუბიექტი მუშაობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და მისი წარმომადგენლობითი ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“₾”). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაითვლება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით, საანგარიშო პერიოდის შესაბამისი პერიოდის ბოლოს. საკურსო სხვაობიდან მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი სახსრების აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული სუბიექტის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის წლის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც მოგება საკურსო სხვაობიდან, ნეტო.

2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი (”$”) 1 = 2.7020 ლარი და ევრო (€) 1 = 2.8844 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი 3.0976 ლარი და 1 ევრო = 3.5040). ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საკურსო სხვაობიდან მოგება და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია სესხებთან და გაცემულ კრედიტებთან, წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში, მუხლებში „ფინანსური შემოსავალი“ და „დაფინანსების ხარჯები“, შესაბამისად. ყველა სხვა საკურსო სხვაობიდან მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში მუხლში „საკურსო სხვაობიდან მოგება/(ზარალი), ნეტო“.

ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა. ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა (ძირითადი საშუალებები) აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გაქვითვით საჭიროების შემთხვევაში. მიწა ფასდება თვითღირებულებით, ცვეთისა და გაუფასურებისგან ზარალის გაქვითვით.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალებისა და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანას მათი დანიშნულებისამებრ, ნივთების დემონტაჟისა და გადატანის და მათი მდებარეობის ადგილის აღდგენის ხარჯს, ასევე კაპიტალიზირებული სესხის ხარჯებს.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია როგორც ცალკეული აქტივი, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია, რომ ამ პროდუქტთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვიდეს კომპანიაში და ობიექტის ღირებულება საიმედოდ შეიძლება იქნას შეფასებული. მცირე სარემონტო სამუშაოებისა და ყოველდღიური მოვლის ხარჯების გახარჯვა ხდება მათი წარმოქმნისას. ქონების, საწარმოო საშუალებებისა და აღჭურვილობის ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზირებულია, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

განკარგვის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება ამონაგების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწის ცვეთა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ობიექტების ამორტიზაციის გაანგარიშება ხდება ხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდეს მათი ღირებულების განაწილება ნარჩენი ღირებულების მიხედვით მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების პერიოდის განმავლობაში:

	გამოყენების პერიოდი წლებში
შენობები და სათბურები	10
საწარმოო საშუალებები და აღჭურვილობა	2-დან 10-მდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივის განკარგვის შედეგად, საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ვადაგასულია და იმ მდგომარეობაშია, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ამოწურვისთვის. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების პერიოდი მოწმდება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები. კომპანია იჯარით გასცემს ქონებას. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. ამასთან, ყველა საიჯარო ხელშეკრულებაში, სადაც კომპანია მოიჯარეა, არჩევენ არ გამოყონ ხელშეკრულებაში საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად ერთიანად აღრიცხავენ მათ, როგორც ერთ საიჯარო კომპონენტს.

იჯარით წარმოშობილი აქტივები თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ოდენობა;
- საიჯარო გადახდები, რომლებიც განხორციელდა იჯარის დაწყებისას ან მანამდე, მიღებული საიჯარო შეღავათების დაქვითვით;
- ნებისმიერი პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ხარჯები აქტივის აღსადგენად საიჯარო ხელშეკრულებებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები, ძირითადად, ამორტიზირებულია ხაზოვანი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენებისა და იჯარის ვადებიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც უფრო მოკლეა. ყველა საიჯარო ხელშეკრულებისთვის, სადაც კომპანია მოიჯარეა, საიჯარო ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე აქტივით სარგებლობის ვადა და, შესაბამისად, ცვეთა ხდება ხაზოვანი მეთოდის საფუძველზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. საიჯარო პერიოდებია:

	გამოყენების პერიოდი წლებში
შენობები	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე ყოველ ჯერზე, როცა მოვლენების ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ ანაზღაურდეს. გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი აღიარებულია თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული განკარგვის ხარჯებსა და გამოყენებულ ღირებულებას შორის უფრო მაღალი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვისაც ძირითადად დამოუკიდებელი ფულადი სახსრები შემოდის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინასწარი გაუფასურება (გუდვილის გარდა) მოწმდება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის შესაძლო აღდგენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდევინება ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგების შედეგად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს ფასი აქტიურ ბაზარზე.

აქტიური ბაზარი არის ისეთი, სადაც აქტივის ან ვალდებულების ოპერაციები ხორციელდება საკმარისი სიხშირით და მოცულობით, ფასების შესახებ ინფორმაციის მუდმივად უზრუნველსაყოფად.

აქტიურ ბაზარზე ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება იზომება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და საწარმოს მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლი. ეს ხორციელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ამ რაოდენობის ათვისებისთვის და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ამგვარი ტექნიკა, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის მოდელები ან მოდელები, რომლებიც ეფუძნება ბოლოდროინდელ კომერციულ გარიგებებს თუ ინვესტორთა ფინანსური მონაცემების განხილვებს, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად, რომელთათვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გარე ბაზრის ფასების შესახებ.

რეალური ღირებულების დადგენა დონის მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება რეალური ღირებულების იერარქიაში: (i) პირველი დონე - კოტირებული ფასების (არაკორექტირებული) მიხედვით გაზომვა აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებებისათვის, (ii) მეორე დონის გაზომვები - შეფასების ტექნიკა აქტივის ან ვალდებულების ყველა მნიშვნელოვანი საწყისი მონაცემის დაკვირვებით, პირდაპირი (ანუ ფასების სახით) თუ არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან გამომდინარე) გზით, და (iii) მესამე დონის გაზომვა - შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებულ მონაცემებს (ანუ შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან დაუკვირვებელ საწყის მონაცემებს).

გარიგების ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯები წარმოადგენს ხარჯებს, რომლებიც არ გაიღებოდა გარიგების განუხორციელებლობის შემთხვევაში. გარიგების ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გამყიდველ აგენტებად), მრჩეველებისთვის, ბროკერებსა და დილერებისთვის გადახდილი გადასახადი და საკომისიოები, მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების გადასახადი, ასევე გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. გარიგების ხარჯები არ მოიცავს სასესხო პრემიას თუ ფასდაკლებას, დაფინანსებაზე გაწეულ ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვაზე გაწეულ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (”*AC*”) არის თანხა, რომლითაც შეფასებულია ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს გადასახდელი ძირითადი თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის - იმ რეზერვის გამოკლებით, რომელიც განკუთვნილია ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (”ECL”). დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების დაფარვას (ამორტიზებას), ასევე ნებისმიერ პრემიას თუ ფასდაკლებას აღნიშნული ვადისთვის დასაფარ თანხაზე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

დარიცხული პროცენტიდან მიღებული შემოსავალი და დარიცხული პროცენტის ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდაკლება ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული გადასახადების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალკე და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში შედის.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, საბალანსო ღირებულების მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური პროცენტის) მისაღწევად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (მომავალი საკრედიტო ზარალის გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის

განმავლობაში, თუ გამოყენებადია, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტებს ცვალებადი პროცენტის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის გადაანგარიშების შემდეგი თარიღისთვის, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებული მცურავი პროცენტის საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებისა, რომლებიც არ არის მოყვანილი საბაზრო განაკვეთებთან შესაბამისობაში. ასეთი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის გამოყენების მთელი მოსალოდნელი ხანგრძლივობის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა საფასურს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური დოკუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული გარიგების ხარჯების გათვალისწინებით. რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტით განხორციელებული სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებებით ან შეფასების ტექნიკით, რომლის მონაცემები მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ECL-ის რეზერვი აღიარებულია ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც იზომება AC–ით, რაც დაუყოვნებლივ იწვევს ბუღალტრულ ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი გაზომვა - გაზომვის კატეგორიები. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებში: FVTPL, FVOCI და AC.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი გაზომვა - ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს იმას, თუ როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი სახსრების ნაკადების წარმოსაქმნელად - მიუხედავად იმისა, თუ რა არის კომპანიის მიზანი: (i) მხოლოდ აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი სახსრების შეგროვება (”ფლობა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვებისთვის”) ან (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების რეალიზაციით წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვება (”ფლობა სახელშეკრულებო და გაყიდვიდან ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის”) ან, (i) და (ii) პუნქტების არარსებობის შემთხვევაში, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება როგორც ”სხვა” ბიზნეს მოდელის ნაწილი და იზომება FVTPL-ის მიხედვით.

ბიზნესის მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ აქტივობების ყველა სათანადო მტკიცებულების საფუძველზე, რაც კომპანიას ეკისრება შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის დასადგენად გათვალისწინებულ ფაქტორებში შედის პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ფულადი ნაკადების შეგროვება შესაბამისი აქტივებისთვის, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების მუშაობის შეფასება და როგორ ხდება მენეჯერების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი გაზომვა - ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად ან ფლობა სახელშეკრულებო და გაყიდვიდან ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის, კომპანია აფასებს, წარმოადგენს თუ არა ფულადი სახსრების მოძრაობა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (”SPPI”).

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს პროსპექტიული (სამომავლო) ეფექტი და ხორციელდება იმ პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს მოდელის ცვლილებას. კომპანიას არ შეუცვლია თავისი ბიზნესის მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში და არ მოუხდენია რაიმე სახის რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ECL-ის საკრედიტო ზარალის რეზერვი. კომპანია, მომავალზე ორიენტირებული მიდგომით, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) სასესხო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სხვა სრულ

შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით (FVOCI), ისევე როგორც სასესხო ვალდებულებებიდან და სახელშეკრულებო აქტივებიდან წარმოქმნილი ზემოქმედებისთვის. კომპანია აფასებს ECL-ს და აღიარებს ფინანსურ და სახელშეკრულებო აქტივებზე გაუფასურების წმინდა ზარალს ყოველი საანგარიშო თარიღისთვის. ECL-ის გაზომვა ასახავს: (i) მიუკერძოებულ და ალბათობით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება რამდენიმე შესაძლო შედეგის შეფასებით, (ii) ფულის ღირებულებას დროში და (iii) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

AC-ით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტები და კონტრაქტის აქტივები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ECL-ის რეზერვის გარეშე. სასესხო ვალდებულებებისთვის, ECL-ის ცალკე რეზერვი აღიარებულია როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. FVOCI-ით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის ამორტიზებული ღირებულების ცვლილებები, ECL-ის რეზერვის გამოკლებით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ხოლო სხვა ცვლილებები საბალანსო ღირებულებით აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI), როგორც მოგება, სავალო ინსტრუმენტებიდან მიღებული ზარალის გამოკლებით, FVOCI-ის მიხედვით.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას, რომელიც ითვალისწინებს გამოყენების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვს სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის და ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისთვის.

კომპანია, გაცემული სესხების შემთხვევაში, იყენებს გაუფასურების სამეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარებიდან. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის კრედიტით გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1-ელ სტადიაზე. 1-ელ სტადიაზე ფინანსური აქტივების ECL შეფასებულია იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება გამოყენების განმავლობაში დეფოლტის ისეთი მოვლენებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომლებიც შესაძლებელია წარმოიქმნას მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე, თუ უფრო მოკლეა („12-თვიანი ECL“). თუ კომპანია აღმოაჩენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (“SICR”) თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადადის მე-2 სტადიაზე და ხდება მისი ECL-ის შეფასება, როგორც ECL გამოყენების მთელი პერიოდისთვის, ანუ სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე, მაგრამ მოსალოდნელი გადახდების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („Lifetime ECL“). თუ კომპანია დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი არის კრედიტით გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 სტადიაზე და მისი ECL ფასდება, როგორც ECL გამოყენების მთელი პერიოდისთვის (Lifetime ECL). საკრედიტო გაუფასურებით შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივებისთვის („POCI აქტივები“), ECL ყოველთვის ფასდება, როგორც ECL გამოყენების მთელი პერიოდისთვის (Lifetime ECL). 25-ე შენიშვნა შეიცავს ინფორმაციას ECL-ის გაზომვისას გამოყენებული საწყისი მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის ახსნა-განმარტებას, თუ კომპანიის მიერ როგორ არის ჩართული მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაცია ECL-ის მოდელში.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ აღდგენის გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ინდიკატორები იმის შესახებ, რომ აღდგენის გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს, შეიძლება იყოს, მათ შორის, მოვალის მიერ კომპანიასთან არსებული დაფარვის გეგმაში მონაწილეობის შეწყვეტა და სახელშეკრულებო გადასახდელების შეუსრულებლობა ვადაგადაცილებით 360 დღეზე მეტად. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო მოქმედებას, როდესაც კომპანია ცდილობს ამოიღოს ხელშეკრულების საფუძველზე კუთვნილი თანხები, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების გაუქმება. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად იწურება ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადო გადაცემის კვალიფიციური შეთანხმება, ამავდროულად (i) ასევე გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) არ გადაუცია და შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და

სარგებელი, მაგრამ ვერ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვის დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - გაზომვის კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც AC-ით გაზომილი.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მათი დაფარვისას (ე.ი. როცა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან მისი ვადა ამოწურულია).

ვალდებულებების მოდიფიკაციები, რომლებიც არ იწვევს მათ დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, დაგროვების მეთოდით, მოგება-ზარალში აღიარებული ნებისმიერი მოგებით ან ზარალით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულების ეკონომიკური სხვაობა მიეკუთვნება კაპიტალთან დაკავშირებულ მესაკუთრეებთან გარიგებას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა ურთიერთჩათვლა და წმინდა თანხის ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერად აღსრულებადი უფლება, ან არსებობს სურვილი, რათა განხორციელდეს ანგარიშსწორება ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ასეთ ჩათვლაზე უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად უნდა იყოს აღსრულებადი ყველა შემდეგ გარემოებაში: (i) ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადაა 3 თვე ან ნაკლები. ფულადი სახსრები და ექვივალენტები აისახება AC-ით შემდეგის გამო: (i) ტესტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი შეტანილია სახელშეკრულებო პირობებში ისეთნაირად, რომ ეს ფუნქცია მოქმედებდეს მაშინაც კი, თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ მიეკუთვნება FVTPL-ით განსაზღვრას. მხოლოდ კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციები, როგორიცაა გარკვეულ ქვეყნებში გირაოს შეფარდების შესახებ კანონმდებლობა, გავლენას არ ახდენს SPPI ტესტზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეტანილია სახელშეკრულებო პირობებში ისეთნაირად, რომ ეს ფუნქცია მოქმედებდეს მაშინაც კი, თუ კანონმდებლობა შემდგომში შეიცვლება. ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდეგ აისახება AC-ით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება დარიცხულია, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებს, და აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება AC-ით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, გარიგების ფარგლებში გაწეული ხარჯების გამოკლებით და შემდგომ აღირიცხება AC-ით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარით აღებული ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის მთელ რიგ საიჯარო ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია გაგრძელებისა და შეწყვეტის ვარიანტები. ეს ტერმინები გამოიყენება ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით,

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელებისა და შეწყვეტის ვარიანტების უმეტესობას ახორციელებს მხოლოდ კომპანია და არა შესაბამისი გამქირავებელი. გაგრძელების ვარიანტები (ან პერიოდი შეწყვეტის ვარიანტების შემდეგ) მხოლოდ მაშინ შედის საიჯარო ვადაში, თუ საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელდება (ან არ წყდება). საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად გაგრძელების გარკვეული ვარიანტების მიხედვით, ასევე შედის ვალდებულების შეფასებაში.

საიჯარო გადახდები ექვემდებარება დისკონტირებას იჯარის ფარგლებში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება, რაც ჩვეულებრივ ხდება კომპანიის იჯარის შემთხვევაში, გამოიყენება კომპანიის სესხის ნაზარდი საპროცენტო განაკვეთი, ანუ განაკვეთი, რომელიც კომპანიას უნდა გადაეხადა, რათა ესესხა სახსრები, აუცილებელი ისეთი აქტივის შესაძენად, რომლის ღირებულება გამოყენების უფლების მქონე აქტივის ღირებულების მსგავსია, მსგავს ეკონომიკურ გარემოში მსგავსი ვადებით, გირაოთი და პირობებით.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირითად და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში, რათა მიღებულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული პერიოდის ვალდებულების დარჩენილი ნაშთისთვის.

მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის დასადგენად, კომპანია იყენებს მესამე მხარის დაფინანსების ბოლოდროინდელ განაკვეთს, რომელსაც ავრცელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან და მცირე ღირებულების აქტივების ყველა იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია ხაზოვან საფუძველზე ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარების ვადა განისაზღვრება 12 თვით ან ნაკლები ვადით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია არის მეიჯარე იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც არ გადასცემს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს მოიჯარეზე (მაგ., საოპერაციო იჯარა), საოპერაციო იჯარის საფუძველზე საიჯარო გადახდები აღიარებულია, როგორც სხვა შემოსავალი, ხაზოვანი შეფასების თანახმად.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები მენეჯმენტის მიერ ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც მენეჯმენტის თვალსაზრისით, დიდი ალბათობით, გამოიწვევს დამატებით გადასახადებს, თუ საგადასახადო ორგანოები გაასაჩივრებენ ამგვარ პოზიციებს. შეფასება ემყარება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, და ნებისმიერ ცნობილ სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებას ამ საკითხებზე. მოგების გარდა, ჯარიმებზე, პროცენტებსა და გადასახადებზე ვალდებულებები აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო ხარჯების მენეჯმენტის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების შესწორებები აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გამავალი დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის უნდა იქნეს გადახდილი, მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. შემავალი დღგ ჩვეულებრივ ანაზღაურდება გამავალი დღგ-სგან ინვოისის მიღების შემდეგ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის ძირითადი წყარო ან შემოსავალი, კერძოდ, ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტის რეალიზაცია, განთავისუფლებულია გამავალი დღგ-სგან, შემავალი დღგ-ს ამოღების უფლების შენარჩუნებით. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ნეტო-საფუძველზე და განმარტებულია, როგორც აქტივი და ვალდებულება. საგადასახადო ორგანოებისგან ნებადართულია დღგ-ს გადახდა ნეტო-საფუძველზე. შემავალი დღგ, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების, საწარმოო საშუალებები (მცენარეების) და აღჭურვილობის შეძენასთან, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე ვადით იმ პირებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აღემატება 20%-ს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოცემულია ფინანსურ ანგარიშში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ იქნება განაწილებული ან ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით გადაიხდევინება მთლიანი ღირებულების საფუძველზე (ანუ წმინდა დივიდენდები დაირიცხება 5%-იანი გადასახადის დაკავებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და იყოფა 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გადასახადისაგან გათავისუფლებულია.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილი მოგებიდან დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადს მთლიანი ღირებულებით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, გამოანგარიშებული, როგორც დეკლარირებული და გადახდილი დასაბეგრი მოგების პროცენტული წილი, ამავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. ამასთან, გადასახადის კრედიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებისას დარიცხულ ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის რეალური თარიღისა და დივიდენდების გადახდის პერიოდისა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ ექვემდებარება გადახდას იმ ხარჯებიდან ან სხვა გადასახადებიდან, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ ორგანიზაციებთან გარკვეული გარიგებები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, იმ საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, რომლებიც გაცხადებულია აქტივებსა და მომსახურებაზე, მიღებულზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის გადახდილი ავანსების ან ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხების დაბრუნების სანაცვლოდ, ასახულია გადასახადების ნაწილში, გარდა ოპერაციული ხარჯების ფარგლებში მიღებული შემოსავლისა.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია. მოსავლის აღებისთანავე, პომიდორი და კიტრი ჩაირთვება გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში და თავდაპირველად ისინი ფასდება რეალური ღირებულებით, მოსავლის აღების დროს საპროგნოზო ხარჯების გამოკლებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების ცვლილებიდან მიღებული მოგება აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო-მატერიალური აქტივების ცვლილებებში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულება მოსავლის აღების ეტაპზე განისაზღვრება ბოლო გარიგებების საბაზრო ფასების საფუძველზე და კლასიფიცირებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონეზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის ღირებულება მოსავლის აღების ეტაპზე განისაზღვრება გაწეული რეალური ხარჯების საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური აქტივები. სასაქონლო-მატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უფრო ნაკლები ოდენობის მიხედვით. სასაქონლო-მატერიალური აქტივების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მნიშვნელობის საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს

სავარაუდო გასაყიდ ფასს ბიზნესის ჩვეულებრივი გზით წარმოებისას, სამუშაოების დასრულების საპროგნოზო თვითღირებულებისა და გაყიდვის საპროგნოზო ხარჯების გამოკლებით. ბიოლოგიური აქტივებიდან გადაცემული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება არის მისი რეალური ღირებულება, გამოკლებული მოსავლის აღების ეტაპზე გასაყიდად გაწეული ხარჯები.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება, სავარაუდოდ, მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, მას შემდეგ რაც კომპანია მიიღებს კონტროლს აქტივზე, და სავარაუდოა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული წინასწარი გადახდების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. გაცხადებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, მფლობელობის ცვლილებები და ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია საკუთარ კაპიტალში, როგორც ამონაგებიდან გამოკლებული თანხა, გადასახადების გარეშე. გამოშვებული აქციების რეალური ღირებულების ანაზღაურებიდან გამომდინარე, ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით, მიღებული ზედმეტი თანხის აღიარება ხდება საკუთარ კაპიტალში საემისიო პრემიის სახით.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი წარმოადგეს შემოსავალს, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის განმავლობაში. შემოსავალი აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომელსაც კომპანია ელოდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარის სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებით.

საქონლის გაყიდვები. გაყიდვების აღიარება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, როდესაც საქონელს მომხმარებელს აწვდიან, მომხმარებელს აქვს სრული უფლებამოსილება საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რომელიც გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებლის მიერ ხორციელდება საქონლის წაღება კომპანიის საწყობიდან, მომხმარებელს გადაეცემა მორალური მოძველებისა და დაკარგვის რისკები, ან მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების წესებს გასდის ვადა, ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ საქონლის მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

დაფინანსების არცერთი ელემენტი არ მიიჩნევა მიმდინარედ, რადგან გაყიდვები ხორციელდება 45 დღის საკრედიტო ვადით, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

დებიტორული დავალიანება აღიარებულია საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის ის მომენტი, როდესაც ანაზღაურება ხდება უპირობოდ, ვინაიდან გადახდისთვის საჭიროა მხოლოდ გადახდის დრო.

დაქირავებული მუშახელის სარგებელი. ყოველკვირეული (საათობრივი) ხელფასების, ყოველთვიური ხელფასების, პრემიებისა და არაფულადი ბენეფიტების (როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვისა და სატრანსპორტო მომსახურება) დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მასთან დაკავშირებული მომსახურებები გაწეულია კომპანიის დაქირავებული მუშახელისთვის. კომპანიას არ აქვს იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება პენსიის ან მსგავსი ბენეფიტების გადახდაზე.

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები. კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს: საპროცენტო შემოსავალსა და ხარჯებს კრედიტებსა და სესხებზე საკურსო სხვაობიდან მიღებული შესაბამისი მოგებითა და ზარალით, საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯებს. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების ცვლილება გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოქვეყნების შემდეგ ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს დამტკიცებას კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან, რომელმაც ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის უფლება გასცა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები განუწყვეტლივ ფასდება და ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც, ამ ვითარებაში, გონივრულად მიიჩნევა. მენეჯმენტი ასევე გამოიყენებს გარკვეულ განსჯებს, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებების გარდა. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და შეფასებებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პროფესიული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

საქმიანობის უწყვეტობა. კომპანიამ მიიღო 241 ათასი ლარის ოდენობის ზარალი ძირითადი საქმიანობიდან 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2021 წელი: 2,109 ათასი ლარის ზარალი). კომპანიის საქმიანობა და ფინანსური ლიკვიდურობა დამოკიდებული იქნება კომპანიის მფლობელის მხრიდან მხარდაჭერაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მსგავსი მხარდაჭერა საშუალებას მისცემს კომპანიას გააგრძელოს თავისი საქმიანობა უახლოეს მომავალში ოპერაციების მნიშვნელოვნად შემცირების გარეშე. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 27-ე შენიშვნა. ასევე, კომპანიის მენეჯმენტს აქვს ოპერაციული შედეგების გაუმჯობესების კონკრეტული გეგმები: კომპანია გეგმავს ენერგიის დანახარჯების შემცირებას ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მუდმივი პროვაიდერების ალტერნატიული მიმწოდებლით ჩანაცვლებით. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის პროექტი აქტიურ ფაზაშია და 2023 წლის აგვისტოს ბოლოს დასრულდება. შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შედის რაიმე კორექტირება, რომელიც ეხება აღრიცხული აქტივის თანხების ანაზღაურებასა და კლასიფიკაციას და ვალდებულებების კლასიფიკაციას, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აღარ შეეძლება საქმიანობის გაგრძელება.

დაკავშირებული მხარის გარიგების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის ჩვეულებრივ პროცესში კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებების ფასი მიღებული საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთით, სადაც ასეთი გარიგებების აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯის საფუძველია მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასწარმოქმნა დაუკავშირებელ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარის ნაშთების ვადები და პირობები მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვეთა. საიჯარო ვადის დადგენისას მენეჯმენტი განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ვარიანტის გამოყენებისათვის. გაგრძელების ვარიანტები შეიტანება საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელდება (ან არ წყდება).

გაგრძელებისა და შეწყვეტის ვარიანტები. გაგრძელების და შეწყვეტის ვარიანტები შედის ოფისის იჯარაში. ეს გამოიყენება მაქსიმალური საოპერაციო მოქნილობისთვის, კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით.

საიჯარო ვადის დადგენისას, მენეჯმენტი განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ვარიანტის გამოყენებისათვის. გაგრძელების ვარიანტი შეიტანება საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი რწმენა, რომ საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელდება.

ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეები) და აღჭურვილობის სასარგებლო გამოყენების ვადები. ქონების, საწარმოო საშუალებებისა (მცენარეების) და აღჭურვილობის სასარგებლო გამოყენების ვადების შეფასება ექვემდებარება განსჯას მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, მოხმარდება მათი გამოყენების პროცესში. ამასთან, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური თუ კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში არსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ადგენს დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა იმ სავარაუდო პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანს კომპანიას. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამებზე; და (გ) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება, რომელიც წარმოიქმნება საბაზრო პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე.

თუ საპროგნოზო სასარგებლო გამოყენების ვადა 10%-ით იქნება განსხვავებული მენეჯმენტის შეფასებისგან, ამორტიზაციაზე გავლენა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამოიხატება მისი გაზრდით/შემცირებით 190 ათასი ლარით (2021 წელი: 190 ათასი ლარი).

საიჯარო ვალდებულებების დასადგენად გამოყენებული დისკონტის განაკვეთი. კომპანია იყენებს სესხის პროცენტს, საბაზრო განაკვეთის საფუძველზე, როგორც დისკონტის განაკვეთის გაანგარიშების საფუძველს იმის გამო, რომ იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება.

დისკონტის განაკვეთის 10%-ით გაზრდა ან შემცირება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის გაზრდის ან შეამცირებს საიჯარო ვალდებულებას 1 ათასი ლარით (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 ათასი ლარი).

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციები მიღება

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებები:

ამონაგები დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები, კონცეპტუალური ჩარჩოს მითითება - ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში შეტანილი ვიწრო დიაპაზონის ცვლილებები და ფასს-ის 2018-2020 წლიური გაუმჯობესება - ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში შეტანილი შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან).

- ბასს 16-ში ცვლილება უკრძალავს საწარმოს, რომ ძირითადი საშუალების (PPE) ერთეულის ღირებულებას გამოაკლდეს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული თანხა, როდესაც საწარმო ამზადებს ამ აქტივს დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ამგვარი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულებაში არ შევა ტესტირებადი აქტივის ამორტიზაცია, რადგან ის არ არის მზად მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ბასს 16-ში შესწორებით ასევე განმარტებულია, რომ ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლების შეფასებისას, საწარმო „ამოწმებს, რამდენად სწორად მუშაობს აქტივი". აქტივის ფინანსურ მაჩვენებლებს მნიშვნელობა არ აქვს ამ შეფასებისთვის. ამიტომ, აქტივს შეუძლია იმუშაოს, მენეჯმენტის მიერ განზრახული დანიშნულებისამებრ, და ექვემდებარება ამორტიზაციას, სანამ მიაღწევს მუშაობის იმ დონეს, რასაც მენეჯმენტი ელის.

- ბასს 37-ში შესწორება განმარტავს ტერმინს "ხელშეკრულების შესრულების ხარჯები". შესწორებით განმარტებულია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს და სხვა ხარჯების

განაწილებას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორებით ასევე განმარტებულია, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკეული დებულების შექმნამდე, საწარმო აცნობიერებს გაუფასურების ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების შესრულებისათვის გამოყენებულ აქტივებზე და არა აქტივებზე, რომელიც მიეკუთვნება ხელშეკრულებას.

- ფასს 3-ში შეტანილ იქნა შესწორება, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე მითითების მიზნით, რათა განსაზღვრულიყო, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის გაერთიანებისას. შეტანილ შესწორებამდე, ფასს 3-ში იყო მითითება 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე. ამასთან, ფასს 3-ს დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებისათვის. გამონაკლისის თანახმად, ზოგიერთი სახის ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისათვის, იურიდიული პირი, რომელიც გამოიყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ბასს 37-ს ან IFRIC-21-ს (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის მითითება), 2018 წლის კონცეპტუალური ჩარჩოს ნაცვლად. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმო აღიარებდა ზოგიერთ ისეთ ვალდებულებას ბიზნესის გაერთიანებისას, რომლებსაც არ აღიარებდა ბასს 37-ს შესაბამისად. შესაბამისად, შეძენისთანავე, საწარმოს მოუწევდა ისეთი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და იმ მოგების აღიარება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებულია, რომ შემძენს არ ესაჭიროება პირობითი აქტივების აღიარება, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

- ფასს 9-ში შეტანილი შესწორება განსაზღვრავს, თუ რომელი მოსაკრებლები უნდა იქნეს შეტანილი 10%-იან ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მიზნით. ხარჯები ან საფასური შეიძლება გადახდილი იქნეს მესამე მხარეებსა თუ გამსესხებლებისთვის. შესწორების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან საფასური არ შევა 10% -იან ტესტში.

- ფასს 16-ს თანდართულ საილუსტრაციო მე-13 მაგალითში შეტანილი იქნა ცვლილებები, რათა ამოღებულ იქნეს მეიჯარისგან გადახდების ილუსტრაცია, რომელიც ეხება იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებას. შესწორების მიზეზი არის საიჯარო შეღავათების განმარტებასთან დაკავშირებით შესაძლო დაბნეულობის აღმოფხვრა.

- ფასს 1 გადასახადისაგან განთავისუფლების საშუალებას იძლევა, თუ შვილობილი კომპანია მიიღებს ფასს სტანდარტს მის მშობელზე უფრო გვიან. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნებოდა მშობლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობლის ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის მიხედვით, თუ ადგილი არ ჰქონია საკონსოლიდაციო პროცედურების კორექტირებასა და გავლენას ბიზნესის გაერთიანებაზე, მშობლის მიერ შვილობილი კომპანიის შეძენისას. ფასს 1-ში შეტანილ იქნა ცვლილებები, რათა საშუალება მიეცეთ იურიდიულ პირებს, რომლებმაც ისარგებლეს ფასს 1-ის ამ გათავისუფლებით, ასევე შეაფასონ დაგროვილი გაცვლითი სხვაობები მშობელი კომპანიის მიერ ანგარიშგებაში მითითებული თანხების საფუძველზე, მშობელი კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღზე დაყრდნობით. ფასს 1-ში შეტანილი შესწორებები ავრცელებს ზემოხსენებულ გათავისუფლებას დაგროვილ გადათვლის სხვაობებზეც, რათა შემცირდეს ხარჯები იმ პირებისთვის, რომლებიც პირველად გამოიყენებენ სტანდარტს. შესწორება ასევე შეეხება ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს ფასს 1-ის იგივე გათავისუფლებით.

- მოთხოვნა იურიდიული პირების მიმართ, რომ გამორიცხონ საგადასახადო ფულადი ნაკადები, ბასს 41-ის შესაბამისად რეალური ღირებულების შეფასებისას, ამოღებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს გადასახადების გადახდის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანას.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ზემოთ, კომპანია არ ელის ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი დებულებები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის ან შემდგომ და რომლებიც კომპანიას ადრე არ მიუღია.

გადადებული გადასახადი, დაკავშირებული ერთჯერადი გარიგებიდან გამომდინარე აქტივებსა და ვალდებულებებთან - ბასს 12-ში შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 12-ში შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ გარიგებებზე, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და მოქმედების შეწყვეტის ვალდებულებები. გარკვეულ გარემოებებში, იურიდიული პირები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. ადრე არსებობდა გარკვეული გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხება თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და მოქმედების შეწყვეტის ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. შესწორებები განმარტავს, რომ გათავისუფლება არ გამოიყენება, და ბიზნესი ვალდებულია აღიაროს გადავადებული გადასახადი ამგვარ გარიგებებთან დაკავშირებით. შესწორების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ ოდენობას. კომპანია არ ელის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომი შესწორებებით 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ამ ვიწრო მასშტაბის ცვლილებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი, საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადადოს ანგარიშსწორება, როგორც მინიმუმ, თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ასეთი უფლება იყოს უპირობა. მენეჯმენტის მოლოდინი იმის შესახებ, გამოიყენებს თუ არა შემდგომში გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო საანგარიშო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს ყველა შესაბამის პირობას. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დაირღვა საანგარიშო თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარი მიღებულია კრედიტორისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის პირობა დაირღვა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს იმ სესხის კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას, რომლის დაფარვაც კომპანიამ შეიძლება განახორციელოს საკუთარ კაპიტალში კონვერტირებით. "ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალდებულების შესრულებისთვის ანგარიშსწორება ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც შეიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. გამონაკლისი არის კონვერტირებადი ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს საკუთარ კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფცია კლასიფიცირებულია როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - ბასს 1-ში შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 1-ში შევიდა შესწორება ვალდებულებების, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი, კლასიფიკაციის შესახებ, რომელიც გამოიცა 2020 წლის იანვარში, ძალაში შესვლის თავდაპირველი თარიღით 2022 წლის 1 იანვრიდან. თუმცა COVID-19-ის პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი ერთი წლით გადავადდა, რათა

კომპანიებს უფრო მეტი დრო მისცემოდათ, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებიდან გამომდინარე, კლასიფიკაციაში ცვლილებების შესატანად. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 8-ში შეტანილი შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 8-ში შესწორებით განიმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ რეკომენდაციებში შეტანილი ცვლილებები 2: სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 1-ში შევიდა შესწორებები, რომლითაც კომპანიებს მოეთხოვება თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციის გამჟღავნება, და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია, როგორც მოსალოდნელია, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ისეთი ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არაარსებითი ინფორმაციის გასაჯაროვება არ არის საჭირო. თუმცა, თუ მაინც მოხდა მისი გამჟღავნება, ამით არ უნდა გაართულოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციის გაგება. ამ შესწორების მხარდასაჭერად, IFRS-ის პრაქტიკულ რეკომენდაციებში 2, „არსებითი გადაწყვეტილებების მიღება“, ასევე შეტანილ იქნა შესწორებები სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველსაყოფად, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 „დაზღვევის ხელშეკრულებები“ (გაცემული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ფასს17 შეცვლის ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებს გაუჭირდათ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დამყარებული სტანდარტი ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის, მზღვეველის მიერ დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) რისკის მიხედვით შესწორებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით (განხორციელებული ფულადი ნაკადი), რაც მოიცავს განხორციელებული ფულადი ნაკადების შესახებ ყველა არსებულ ინფორმაციას, რომელიც ემყარება ბაზარზე არსებულ ინფორმაციას; პლუს (თუ ეს მნიშვნელობა წარმოადგენს ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს მნიშვნელობა წარმოადგენს აქტივს), (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველი აღიარებს მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფს სადაზღვევო დაფარვას და რისკისგან განთავისუფლებას. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან ხდება წამგებიანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17-ში და ფასს 4-ში შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებას, რომლებიც მიზნად ისახავს ფასს 17-ის შესრულების გამარტივებას, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნის გამარტივებას და გადაქმნას. შესწორებები ეხება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლისთვის. ფასს 17-ში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (შესწორებებით) გადატანილია

ორი წლის ვადით 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების განსაზღვრული ვადის ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის.

- *დაზღვევის შეძენისგან ფულადი სახსრების ნაკადის სავარაუდო ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება, შესყიდვის ხარჯების ნაწილის განაწილება შესაბამისი მოსალოდნელი ხელშეკრულების განახლებაზე, და ეს ხარჯები აღიარებულ უნდა იქნეს როგორც აქტივი, სანამ საწარმო არ ცნობს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოს მოეთხოვება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადობა და უზრუნველყოს კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, მიკუთვნილი საინვესტიციო მომსახურებას:* უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები, როგორც გადახდების რაოდენობის, ისე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, ცვლადი ანაზღაურების მეთოდის გამოყენებით დადებული ხელშეკრულებებისთვის და ზოგადი მოდელის შესაბამისად "ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" მქონე სხვა ხელშეკრულებებისთვის. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა მოიცავდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი სახსრების ნაკადებს, რამდენადაც საწარმო ახორციელებს ამ საქმიანობებს დამზღვევისათვის სადაზღვევო დაფარვიდან სარგებელის გაზრდის მიზნით.

- *დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დამამძიმებელი ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან თუ ჯგუფს დაემატება ძირითადი დამამძიმებელი ხელშეკრულებები, საწარმომ უნდა შეცვალოს დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა და აღიაროს ამონაგები დადებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. დადებული გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებადი ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ზარალისა და ძირითადი სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში იმ მოთხოვნების პროცენტული ოდენობის, რომელთა ანაზღაურებასაც საწარმო ელის დადებული გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, გამრავლებით. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადებული გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების ფარგლებში ზარალის აღიარებამდე ან იმავე დროს.

- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) ხელშეკრულების და ზოგიერთი სესხის ხელშეკრულების მოქმედების სფეროდან გამონაკლისს; სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პორტფელებში და არა ჯგუფებში; რისკის შერბილების ოფციის გამოყენებას ფინანსური რისკების შესამსუბუქებლად, დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით გამოყენებით მოგების ან ზარალის მეშვეობით; ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებების შესაცვლელად, ფასს 17-ის გამოყენებისას; მოგების გადასახადის გადახდებისა და იმ შენატანების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს სპეციალურად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორციელებულ ფულად ნაკადებში; და შერჩეულ გარდამავალ შეღავათებსა და სხვა მცირე ცვლილებებს.

კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარდამავალი ვარიანტი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – შესწორებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან).

ფასს 17-ში გარდამავალი მოთხოვნების ცვლილება მზღვეველებს აძლევს შესაძლებლობას, რომელიც მიმართულია ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ ინვესტორებისთვის განკუთვნილი

ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესებაზე. შესწორება ეხება მხოლოდ მზღვეველების გადასვლას ფასს 17-ზე და არ ახდენს გავლენას ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გარდამავალი მოთხოვნები ვრცელდება სხვადასხვა თარიღებზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად საკლასიფიკაციო განსხვავებებს შედარებით ინფორმაციაში, რომელიც წარმოდგენილია ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობა; ხოლო საწარმოს მიერ ფასს 9-ის შედარებითი ინფორმაციის გადათვლის შერჩევისას, საკლასიფიკაციო განსხვავებები შედარებით პერიოდში აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა (რომელთა მიმართებაში ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომელთა მიმართებაში გამოიყენება ფასს 9). შესწორება დაეხმარება მზღვეველებს აირიდონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესებს შედარებითი ინფორმაციის სარგებლიანობას ინვესტორებისთვის. ეს შესაძლებელია მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება გამოიყენონ კლასიფიკაცია ისეთი ფინანსური აქტივის მიმართებაში, რომელზეც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. გარდამავალი ვარიანტი ხელმისაწვდომი იქნება თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე-ცალკე, რაც საშუალებას აძლევს საწარმოს წარმოადგინოს შედარებითი ინფორმაცია ისეთნაირად, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები იყო გამოყენებული ამ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში, მაგრამ არ მოითხოვს, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და მოითხოვს საწარმოსგან, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივთან მიმართებაში ამ კლასიფიკაციას, გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გარდამავალი თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორც აპირებს საწარმო ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვისას და უკუიჯარა (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის გარიგებებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის დროს აღრიცხვის შესახებ. შესწორებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ თანმიმდევრულად შეაფასონ ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგების შედეგად, და ისე, რომ არ მოხდეს რაიმე მოგების ან ზარალის აღიარება, რომელიც დაკავშირებულია შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს გულისხმობს ასეთი მოგების გადადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულებას წარმოადგენს ცვლადი გადახდების განხორციელება, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ზემოთ, არ არის მოსალოდნელი ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. ყოველი შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ პომიდვრისა და კიტრის გაყიდვამ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირისთვის (შპს „საქართველოს აგრო სახლი“) შეადგინა 15,930 ათასი ლარი (2021 წელი: 14,927 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან არსებულმა დავალიანების ნაშთმა შეადგინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტისგან (შპს „საქართველოს

აგრო სახლი“) 1,486 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 2,518 ათასი ლარი), რაც ანაზღაურდება გაყიდვის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დავალიანების ნაშთები მოიცავს საიჯარო ვალდებულებებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტისგან (შპს „ჯეოაგრო“) 46 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 101 ათასი ლარი), საიჯარო ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის ბოლოს. წლის განმავლობაში საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებით აღიარებულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 6 ათასი ლარი (2021 წელი: 10 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბერს, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტებისთვის გაცემული სესხების დაუფარავი ნაშთი (მე-11 შენიშვნა) შეადგენდა 42 ათას ლარს (2021 წელი: 0 ათასი ლარი), შესაბამისი საპროცენტო შემოსავლით 4 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 0 ათასი ლარი), რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

2022 წლის 31 დეკემბერს, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტებისგან მიღებული ნასესხები სახსრების დაუფარავი ნაშთი (მე-16 შენიშვნა) შეადგენდა 2,575 ათას ლარს (2021 წელი: 1,726 ათასი ლარი), შესაბამისი საპროცენტო ხარჯით 144 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 100 ათასი ლარი), რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

7 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ძირითადი მენეჯმენტის კომპენსაცია. ძირითადი მენეჯმენტის შემადგენლობაში შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, წარმოების უფროსი და მთავარი აგრონომი. სრული შემოსავლის ანგარიშში შეტანილი ძირითადი მენეჯმენტის ხელფასები და მოკლევადიანი პრემიები შეადგენდა 348 ათას ლარს (2021 წელი: 314 ათასი ლარი). მოკლევადიანი პრემიები მთლიანად ექვემდებარება გადახდას იმ პერიოდის დასრულებიდან, როდესაც მენეჯმენტმა გასწია შესაბამისი მომსახურება, თორმეტი თვის განმავლობაში.

8 ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა

ცვლილებები ქონების, საწარმოო საშუალებებისა (მცენარეების) და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

ათასობით ქართულ ლარში	მიწა	შენობები და სათბურები	მცენარეები და აღჭურვილობა	CIP*	სულ
ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	2,521	39,662	7,093	1,124	50,400
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(1,701)	(32,708)	(5,284)	(789)	(40,482)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	**820**	**6,954**	**1,809**	**335**	**9,918**
დამატებები	-	-	-	904	904
გადარიცხვები	-	239	201	(440)	-
განკარგვა	-	(141)	(30)	(114)	(285)
ამორტიზაციის გამოქვითვები	-	(1,459)	(427)	-	(1,886)
ლიკვიდაცია განკარგვისას	-	84	22	-	106
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**820**	**5,677**	**1,575**	**685**	**8,757**
ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	2,521	39,760	7,264	1,474	51,019
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(1,701)	(34,083)	(5,689)	(789)	(42,262)

ათასობით ქართულ ლარში	მიწა	შენობები და სათბურები	მცენარეები და აღჭურვილობა	CIP*	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	820	5,677	1,575	685	8,757
დამატებები	-	-	129	712	841
გადარიცხვები	-	8	96	(104)	-
განკარგვა	-	-	(15)	(169)	(184)
ამორტიზაციის გამოქვითვები	-	(1,490)	(395)	-	(1,885)
ლიკვიდაცია განკარგვისას	-	-	15	-	15
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	820	4,195	1,405	1,124	7,544
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	2,521	39,768	7,474	1,913	51,676
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(1,701)	(35,573)	(6,069)	(789)	(44,132)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	820	4,195	1,405	1,124	7,544

(*) CIP – მშენებლობა მიმდინარეობს

მცენარეთა და აღჭურვილობის ზემოაღნიშნულ საბალანსო ღირებულებაში შედის 657 ათასი ლარის სრულად ამორტიზებული ნივთები (2021 წელი: 455 ათასი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბერს შემდეგი აქტივები: შენობები და სათბურები 5,654 ლარი, მიწის ნაკვეთი 820 ათასი ლარი, მცენარეები და აღჭურვილობა, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 411 ათასი ლარი იყო დაგირავებული ბანკში სესხის უზრუნველსაყოფად გირაოს სახით. 2022 წლის 31 დეკემბერს ქონების, მცენარეებისა და აღჭურვილობის ერცერთი ერთეული არ არის დაგირავებული. იხილეთ მე-16 შენიშვნა.

9 გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ოფისს. საიჯარო ხელშეკრულება, როგორც წესი, დგება ფიქსირებულ პერიოდებზე, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს გაგრძელების ვარიანტები, როგორც აღწერილია ქვემოთ.

ათას ქართულ ლარში	შენობები
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	117
ამორტიზაციის გამოქვითვა	39
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	78
ამორტიზაციის გამოქვითვა	39
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	39

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები აღიარა შემდეგნაირად:

ათასობით ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	46	49
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	52

სულ იჯარის ვალდებულებები	**46**	101

საპროცენტო ხარჯი, დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებებთან, იყო 6 ათასი ლარი (2021 წელი: 10 ათასი ლარი). იჯარებისთვის ფულადი სახსრების გადინებამ 2022 წელს შეადგინა 52 ათასი ლარი (2021 წელი: 57 ათასი ლარი). დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ მე-17 შენიშვნა.

10 სასაქონლო-მატერიალური აქტივები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნედლეული	1,611	1,462
მიმდინარე მუშაობა	73	79
სოფლის მეურნეობის პროდუქტები	38	49
სხვა	28	24
სულ სასაქონლო-მატერიალური აქტივები	**1,750**	1,614

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის განვითარება და შემდგომი რეალიზაცია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ხორციელდება წელიწადში 2-3-ჯერ - კიტრისთვის და წელიწადში ერთხელ - პომიდვრისთვის და, შესაბამისად, დაახლოებით 1-2 თვე და 2-3 თვე საჭიროა მოსავლის მიღებამდე.

2022 წელს კომპანიამ 4,826 ტონა პომიდორი, კიტრი და წიწაკა მოიყვანა (2021 წელი: 5,846 ტონა).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტში ცვლილებები შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2022	2021
სოფლის მეურნეობის პროდუქტი 1 იანვარს	**49**	97
რეალური ღირებულებიდან მოგება სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას	15,341	14,470
გაყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება	(15,352)	(14,518)
სოფლის მეურნეობის პროდუქტი 31 დეკემბერს	**38**	49

11 გაცემული სესხები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კორპორატიული სესხები	6,653	500
დაკავშირებული მხარის სესხი (მე-7 შენიშვნა)	42	
გამოკლებული: სესხის გაუფასურების რეზერვი	-	-
AC-ით სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება	**6,695**	500
სესხები FVTPL-ით	-	-

სულ სესხები გაცემული პერიოდის ბოლოსთვის	6,695	500

კორპორატიული სესხები მოიცავს შპს „ჯორჯიან ალტერნატივ ენერჯი"-ზე (Georgian Alternative Energy LLC) გაცემულ სესხებს 6,653 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 500 ათასი ლარი).

იხილეთ 26-ე შენიშვნა თითოეული კლასის სესხების მოსალოდნელი რეალური ღირებულებისთვის.

სესხების საკრედიტო დანაკარგის რეზერვზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, ECL-ის გაზომვის დეტალები მოცემულია მე-3 შენიშვნაში. საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე საკრედიტო დანაკარგის რეზერვი არ იქნა აღიარებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საკრედიტო ხარისხი 2022 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	1-ლი სტადია (12-თვიანი ECL)	მე-2 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL SICR-ისთვის)	მე-3 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL კრედიტის გაუფასურებისთვის)	POCI	სულ
კორპორატიული სესხები					
- კარგი	6,653	-	-	-	6,653
დაკავშირებული მხარეების სესხები					
- კარგი	42	-	-	-	42
მთლიანი საბალანსო ღირებულება	6,695	-	-	-	6,695
საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება	6,695	-	-	-	6,695

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საკრედიტო ხარისხი 2021 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	1-ლი სტადია (12-თვიანი ECL)	მე-2 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL SICR-ისთვის)	მე-3 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL კრედიტის გაუფასურებისთვის)	POCI	სულ
კორპორატიული სესხები					
- კარგი	500	-	-	-	500
მთლიანი საბალანსო	500	-	-	-	500

ღირებულება					
საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება	500	-	-	-	500

12 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,585	2,589
სხვა ფინანსური დავალიანებები	119	119
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(119)	(119)
მთლიანი ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ფარგლებში	1,585	2,589
წინასწარ გადახდა სასაქონლო-მატერიალური აქტივების მომწოდებლებზე	4,729	4,528
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6,314	7,117

საქონლის რეალიზაციიდან მისაღები დებიტორული დავალიანება მოიცავს 1,486 ათას ლარს (2021 წელი: 2,518 ათასი ლარი), საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტის დებიტორულ დავალიანებას (მე-7 შენიშვნა), რომელიც არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არ ყოფილა დენომინირებული აშშ დოლარში (2021 წლის 31 დეკემბერი: ნული ლარი)

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, რომელიც ითვალისწინებს გამოყენების ვადაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის. ECL-ის შეფასებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების მიდგომა, რადგან კომპანიას ჰყავს ერთი მნიშვნელოვანი მომხმარებელი, შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი.

13 სხვა საგადასახადო დავალიანება, ნეტო

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დღგ	7,553	6,641
ხელფასის გადასახადი	(4,040)	(3,297)
ქონების გადასახადი	(2,341)	(2,167)
სხვა გადასახადები	(240)	(231)
სულ სხვა საგადასახადო დავალიანება, ნეტო	932	946

კომპანიამ 2022 წლის განმავლობაში თხოვნით მიმართა შემოსავლების სამსახურს საქონლისა და

მომსახურების შესყიდვისას ნაღდი ფულის გადახდაზე დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დაბრუნების თაობაზე და წარმატებით დაიბრუნა დღგ 634 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 1,051 ათასი ლარი).

14 ფული და ფულადი ექვივალენტი

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საბანკო ნაშთები, მოთხოვნამდე	306	13
- *დენომინირებული ქართულ ლარში*	9	851
- *დენომინირებული აშშ დოლარში*		
სულ ფული და ფულადი ექვივალენტი	**315**	**864**

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე, 310 ათასი ლარის ოდენობით, განთავსდა Fitch-ის „BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში (2021 წელი: 8 ათასი), ხოლო 5 ათასი ლარი განთავსდა „BB-“-ზე უფრო დაბალი რეიტინგის მქონე ბანკში (2021 წელი: 856 ათასი).

15 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გამოშვებული პერიოდის დასაწყისისთვის, სრულად გადახდილი	27,595,613	25,250,516
გამოშვებული აქციები	1,706,620	2,345,097
გამოშვებული პერიოდის ბოლოსთვის, სრულად გადახდილი	**27,302,233**	**27,595,613**
ნებადართული აქციები - ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარი	**30,000,000**	**30,000,000**

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა 1,706,620 (2021 წელი: 2,345,097) ახალი აქცია და გადასცა შპს Greenhouse Holding-სა და Agroshare B.V.-ს, თითო აქციის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი, ჯამში 1,706 ათასი აშშ დოლარი (2021 წელი: 2,345 ათასი აშშ დოლარი), ექვივალენტი 4,980 ათასი ლარისა (2021 წელი: 7,462 ათასი ლარი). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისი აქციონერების მიერ სრულად იქნა შევსებული ნაღდი თანხით გამოშვებული სააქციო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ლარში აქციების გამოშვების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები და მათ აქვთ ერთი ხმის უფლება თითო აქციაზე კომპანიის კრებებზე.

16 სესხები

ათას ქართულ ლარში	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	გადასახადის ვადის ამოწურვის თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2021 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	13.75%	2022	-	2,268
კორპორატიული სესხები	USD	10.00%	2023	2,575	1,726

სულ სესხები 31 დეკემბერს	2,575	3,994

საბანკო სესხები დენომინირებულია ლარებში, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს კომერციული ბანკის ფიქსირებულ განაკვეთს 3.75% პლუს 7.25% (საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ცვლადი კურსი). 2022 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა 11% შეადგინა.

17 ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შედარება

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ფინანსური საქმიანობის ვალდებულებების ანალიზი და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილება თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებები ფინანსურად აღრიცხულია ფულადი ნაკადების ანგარიშში:

	ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან		
ათას ქართულ ლარში	სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2021 წლის 1 იანვარს	**6,375**	**155**	**6,530**
წლის განმავლობაში დამატებები	1,825	-	1,825
წლის განმავლობაში ანაზღაურება	(4,227)	(47)	(4,274)
პროცენტის დარიცხვა	683	10	693
პროცენტის გადახდა	(581)	(10)	(591)
გაცვლითი კურსის კორექტირება	(81)	(7)	(88)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2021 წლის 31 დეკემბერს	**3,994**	**101**	**4,095**
წლის განმავლობაში დამატებები	1,383	-	1,383
წლის განმავლობაში ანაზღაურება	(2,693)	(46)	(2,739)
პროცენტის დარიცხვა	226	6	232
პროცენტის გადახდა	(136)	(6)	(142)
გაცვლითი კურსის კორექტირება	(199)	(9)	(208)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2022 წლის 31 დეკემბერს	**2,575**	**46**	**2,621**

18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დავალიანება კომუნალური მომსახურებისათვის	1,311	1,466
დავალიანება შეძენილი სასაქონლო-მატერიალური აქტივებისთვის	92	77
მთლიანი ფინანსური დავალიანება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ფარგლებში AC-ით	*1,403*	*1,543*
დარიცხული თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	116	113
სულ სხვა კრედიტორული დავალიანება	*116*	*113*
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,519	1,656

19 შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან

კომპანიის შემოსავალმა სამომხმარებლო კონტრაქტებიდან შეადგინა 15,976 ათასი ლარი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2021 წელი: 15,086 ათასი ლარი). კომპანიას აქვს ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო, რომელიც აღიარებულია დროის გარკვეულ მონაკვეთში. მისი ერთადერთი, ყველაზე დიდი მომხმარებელი არის შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი.

მსგავსი პროდუქტის ან მომსახურების თითოეული ჯგუფის შემოსავალი შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2022	2021
კიტრის რეალიზაცია	10,165	11,243
პომიდვრის რეალიზაცია	5,620	3,558
სხვა	191	285
სულ შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან	**15,976**	**15,086**

20 სხვა ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2022	2021
სარემონტო და ტექნიკური ხარჯები	226	142
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	183	189
ინფორმაცია, საკონსულტაციო და სხვა პროფ. მომსახურება	139	139
მუშაკთა ტრანსპორტირების ხარჯები	135	129
უსაფრთხოების მომსახურება	81	81
საკანცელარიო და საოფისე ნივთები	74	69
საწვავის ხარჯები	36	25
საკომუნიკაციო ხარჯები	28	22
მივლინებები	23	10
დასაქმებულთა ტრენინგი	16	5
დაზღვევა ხარჯები	6	11
სხვა	157	64
სულ სხვა ხარჯები	**1,104**	**886**

21 ფინანსური შემოსავალი

ათას ქართულ ლარში	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	609	19
სულ ფინანსური შემოსავალი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში	609	19

22 დაფინანსების ხარჯი

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო ხარჯი		232	693
ზარალი საკურსო სხვაობიდან, გამოკლებული მოგება ნასესხები სახსრებიდან		(208)	(88)
სულ ფინანსური ხარჯი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში		24	605

23 პირობითი გარემოებები და ვალდებულებები

სამართალწარმოება. დროდადრო და ბიზნესის ჩვეულ პროცესში, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება მიღებულ იქნას საჩივრები. საკუთარი შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, საჩივრებს მოაქვს თუ არა მნიშვნელოვანი ზარალი. 2019 წელს შპს „დონეცკის წყლის ინსტიტუტმა“, შპს „სტაგარ“-ის სახელით (საწყის ეტაპზე სასათბურე მეურნეობის მშენებლობაში ჩართული პირი, რეგისტრირებული საქართველოში), წარადგინა სარჩელი კომპანიის მიმართ 1,317 ათასი ლარის ოდენობით, რომლითაც ითხოვდა გადახდას შპს „სტაგარ“-სა და კომპანიას შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა ამისა, შპს „სტაგარ“-მა მოითხოვა სათბურის განკარგვის უფლების გაყინვა. გაყინვის მოთხოვნა სასამართლომ დაამტკიცა. მეორე მხრივ, 2019 წელს კომპანიამ შეიტანა სარჩელი 1,461 ათასი ლარის ოდენობის მოთხოვნით შპს „სტაგარ“-ისა (რეგისტრირებული საქართველოში) და მისი გარანტორის - შპს „სტაგარ“-ის (რეგისტრირებული უკრაინაში) წინააღმდეგ შპს „სტაგარ“-ის (რეგისტრირებული საქართველოში) მიერ მომსახურების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არანაირი რეზერვი არ იყო გათვალისწინებული, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ არ არის სავარაუდო რაიმე მნიშვნელოვანი ზარალის წარმოშობა.

საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივია და განსხვავებული ინტერპრეტაციით იკითხება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოების მიერ არ შეიძლება დაკისრებულ იქნეს რაიმე ვალდებულება დამატებითი გადასახადების ან ჯარიმების სახით მას შემდეგ, რაც სამი წელი გავიდა იმ წლის ბოლოდან, რომელშიც ადგილი ჰქონდა დარღვევას.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამასთან, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა, თუ ხელისუფლებამ წარმატებით განახორციელა თავისი ინტერპრეტაციების აღსრულება, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში ვითარდება და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული სადაზღვევო დაცვის მრავალი სახეობა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაფარვა თავისი ქონებისთვის ან ბიზნესის შეწყვეტის შემთხვევაში, თუმცა, სრული რისკი მისი ქონებისა და აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში დაზღვევის დაფარვის პროცესშია. სანამ კომპანია მიიღებს სათანადო სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში ვითარდება გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება და მუდმივად განიხილება მთავრობის ორგანოების სააღსრულებო პოზიცია. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციებით ნაკისრ ვალდებულებებს. როგორც კი ვალდებულებები დგინდება, ხდება მათი დაუყოვნებლივ აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო დავის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეუძლებელია შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში არსებული სააღსრულებო კლიმატის პირობებში, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე მიყენებული ზიანისთვის.

შეთანხმებების შესრულება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ექვემდებარება მის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული რაიმე შეთანხმების შესრულებას.

კლიმატის ცვლილება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმაცია და შეშფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად ამ საკითხს

მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ მენეჯმენტი აგრძელებს ამ სფეროში განვითარებული მოვლენების მონიტორინგს.

24 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას არის კომპანიის უნარის დაცვა, რომ შეძლოს თავისი საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება, რათა უზრუნველყოს მფლობელისთვის ამონაგები და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია მოახდინოს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს მფლობელს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით. კაპიტალის ოდენობა, რომელსაც კომპანია მართავდა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 19,449 ათასი ლარი (2021: 14,125 ათასი ლარი).

25 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსური, ოპერაციული და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკისა და ფასის სხვა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის საზღვრების დადგენა და შემდეგ რისკების ზემოქმედების ამ ზღვრებში შენარჩუნება. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი. კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ შესაძლებელია ფინანსური ზარალი მიაყენოს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის ზემოქმედება წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვის და კონტრაგენტებთან სხვა გარიგებების შედეგად, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება აქტივების კლასის მიხედვით აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 12)	1,585	2,589
- მისაღები საქონლის რეალიზაციიდან		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 14)	315	864
- ნაშთები ბანკში მოთხოვნამდე		
გაცემული სესხი (შენიშვნა 11)	6,695	500
- გაცემული სესხები		
საკრედიტო რისკზე მაქსიმალური ზემოქმედება	**8,595**	**3,953**

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის დაკრედიტებისა და სხვა ოპერაციების შედეგად კონტრაგენტებთან, რაც იწვევს ფინანსური აქტივების ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით. გაცემული კორპორატიული სესხებისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება არის ვალდებულების ოდენობა. სავაჭრო

დებიტორული დავალიანების კუთხით კომპანია არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელია შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი. საანგარიშო პერიოდების ბოლოს, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% მხოლოდ ორ ბანკში ინახებოდა.

საკრედიტო რისკის მართვა. კომპანია ავითარებს კრედიტის ზემოქმედების მართვის პროცედურებს. კომპანიის ძირითადი საშუალება საკრედიტო რისკების შესამცირებლად არის ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების განთავსება რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, საქონლის გაყიდვა ძირითადად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტზე და გაცემული სესხის გადახდის გრაფიკის შესრულების მონიტორინგი.

საკრედიტო ლიმიტები გაანალიზებულია და დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ. კომპანია აყალიბებს აღებული საკრედიტო რისკის დონეებს, კონტრაგენტებთან ან კონტრაგენტთა ჯგუფებთან მიმართებაში აღებული რისკის ოდენობის ზღვრების დაწესებით. ასეთი რისკები მონიტორინგი ხორციელდება განახლებად საფუძველზე და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვას.

საკრედიტო რისკის ზემოქმედების მონიტორინგის მიზნით, რეგულარული ანგარიშები მზადდება სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ფოკუსირებულია კლიენტის მიერ გადახდის გრაფიკის რეალიზებაზე. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება ეცნობება მენეჯმენტს და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს კონტრაგენტების მუშაობას და აკვირდება ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ზემოქმედებას. მენეჯმენტი აკონტროლებს და ამჟღავნებს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას ანგარიშების მიღების გზით, სადაც ჩამოთვლილია არსებული ზემოქმედება იმ კონტრაგენტებთან დაკავშირებით, რომელთა აგრეგირებული ნაშთები კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ზე მეტია. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავდა ერთი კონტრაგენტი (2021 წელი: ერთი კონტრაგენტი), რომლის დებიტორული დავალიანების აგრეგირებული ნაშთი კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ს აღემატებოდა. ამ ნაშთის ჯამურმა (აგრეგირებულმა) თანხამ შეადგინა 1,486 ათასი ლარი (2021 წელი: 2,518 ათასი ლარი) ან სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების მთლიანი ოდენობის 11% (2021 წელი: 29%). კომპანიას არსებითი საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს ორ ბანკში (2021 წელი: ორი ბანკი), რაც არიდებს კომპანიას საკრედიტო რისკის კონცენტრაციას.

ECL-ის შეფასება. ECL წარმოადგენს მომავალი ფულადი სახსრების დეფიციტის ალბათობაზე შეწონილ მიმდინარე ღირებულების შეფასებას (ანუ, საშუალო შეწონილი საკრედიტო დანაკარგები, დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილი დეფოლტის შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, გამოიყენება როგორც წონა). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. ECL-ის შეფასება ეფუძნება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა („PD“), რისკი დეფოლტის დროს („EAD“), ზარალი დეფოლტის დროს („LGD“) და დისკონტის განაკვეთი.

რისკი დეფოლტის დროს (EAD) გულისხმობს რისკის ზემოქმედების შეფასებას დეფოლტის მომავალი თარიღისთვის, საანგარიშო პერიოდის შემდეგ ზემოქმედების მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის და საკრედიტო ვალდებულებების მოსალოდნელი ამოღებების ჩათვლით. EAD სესხთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე შეფასებულია კრედიტ კონვერსიის ფაქტორის („CCF“) გამოყენებით. CCF არის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვალდებულებების ბალანსის რისკებად გადაქცევის ალბათობას. დეფოლტის ალბათობა გულისხმობს ალბათობის და დეფოლტის დადგომის შეფასებას მოცემული პერიოდის განმავლობაში. ზარალი დეფოლტის დროს გულისხმობს დეფოლტისას წარმოქმნილი ზარალის შეფასებას. იგი ეფუძნება ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებ ფულად ნაკადებსა და კრედიტორის მიერ მისაღებ თანხებს შორის სხვაობას, მათ შორის ნებისმიერი გირაოდან მიღებულს. იგი ძირითადად გამოიხატება EAD-ის პროცენტის სახით. მოსალოდნელი ზარალი ექვემდებარება დისკონტირებას მიმდინარე ღირებულებამდე საანგარიშო პერიოდის ბოლოს. დისკონტის განაკვეთი

წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტისთვის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ("EIR") ან მასთან მიახლოებულს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირება ხორციელდება ინსტრუმენტის *მოქმედების ვადის* განმავლობაში. მოქმედების ვადა უდრის სასესხო ინსტრუმენტის დაფარვამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს, რომელიც კორექტირებულია მოსალოდნელი წინასწარი გადახდების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის მქონე ხელშეკრულებებისთვის ეს არის სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანიას აქვს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულება კრედიტის გაცემაზე.

მენეჯმენტი იყენებს *მოქმედების ვადის ECL*-ის მოდელებს, ანუ ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მოქმედების ვადის განმავლობაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული ECL-ის მოქმედების ვადის ნაწილს, რაც შესაძლებელია საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ანუ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ *მოქმედების ვადაში*, თუ ის ერთ წელზე ნაკლებია.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნით, კომპანია განსაზღვრავს დეფოლტის, როგორც სიტუაციას, როდესაც ზემოქმედება აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- კონტრაგენტს ვადაგადაცილებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 360 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში;
- კონტრაგენტი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს გადახდის შეუძლებლობის შესახებ:
  - კონტრაგენტი გარდაცვლილი ან გადახდისუუნაროა.
  - სავარაუდოა, რომ კონტრაგენტი გაკოტრდება.

გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განმარტება კრედიტით გაუფასურებული აქტივების განმარტებას. ზემოთ მოყვანილი დეფოლტის განმარტება გამოიყენება კომპანიის ყველა სახის ფინანსურ აქტივზე.

ინსტრუმენტი აღარ განიხილება როგორც დეფოლტის მახასიათებლების მქონე (ანუ გაუმჯობესდა), როდესაც ის აღარ აკმაყოფილებს დეფოლტის რომელიმე კრიტერიუმს ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში. ეს პერიოდი განისაზღვრა ანალიზის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს გაუმჯობესების შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მდგომარეობაში დაბრუნების ალბათობას გაუმჯობესების სხვადასხვა შესაძლო დეფინიციების გამოყენებით ჩატარებული გაუმჯობესების (გაჯანსაღების) ზომების შემდეგ.

იმის შეფასება, აღინიშნა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR") თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხორციელდება ინდივიდუალურად. კორპორატიულ სუბიექტებზე გაცემულ სესხებზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე, SICR ფასდება ინდივიდუალურად, ქვემოთ ჩამოთვლილი ტრიგერების მონიტორინგით. SICR-ის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები პერიოდულად კონტროლდება და განიხილება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მათი მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით.

კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტი ექვემდებარება SICR-ს, როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი რაოდენობრივი, ხარისხობრივი ან დამხმარე (შემზღუდავი) კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი.

გაცემული სესხებისთვის, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის:

- ვადაგადაცილებული 180 დღე;
- ფარდობითი ზღვარი განსაზღვრულია ინდივიდუალურ საფუძველზე: დეფოლტის ალბათობის დარჩენილი მოქმედების ვადის გაზრდა 2.5-ჯერ დეფოლტის ალბათობის

დარჩენილ მოქმედების ვადასთან შედარებით, რაც შეფასებულია თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანია იყენებს 12-თვიან დეფოლტის ალბათობას, მოქმედების ვადის დეფოლტის ალბათობის ნაცვლად, ამ თანაფარდობის გამოსათვლელად, თუ 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოყენების ეფექტი არსებითად არ განსხვავდება.

- სესხის ჩართვა საკონტროლო სიაში საკრედიტო რისკის შიდა მონიტორინგის პროცესის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დონე აღიარებული მოცემულ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშში დამოკიდებულია იმაზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა კონტრაგენტის საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების მომენტიდან. ეს წარმოადგენს ECL-ის შეფასების სამსაფეხურიან მოდელს. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც არ არის გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას და რომლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გააჩნია საკრედიტო დანაკარგის რეზერვი, დაფუძნებული 12-თვიან ECL-ზე (1 სტადია). თუ თავდაპირველი აღიარებიდან მოყოლებული იდენტიფიცირებულია SICR, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის მე-2 სტადიაზე, მაგრამ ჯერ არ ითვლება კრედიტით გაუფასურებულად და ზარალის რეზერვი ეფუძნება მოქმედების პერიოდის ECL-ს. თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ ის გადადის მე-3 სტადიაზე და ზარალის რეზერვი ეფუძნება მოქმედების ვადის ECL-ს. აქტივის მე-3 სტადიაში ყოფნის შედეგი არის ის, რომ საწარმო წყვეტს საპროცენტო შემოსავლის აღიარებას მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე და იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, ECL-ის გამოკლებით საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშებისას.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, ინსტრუმენტი ბრუნდება ისევ 1-ელ სტადიაზე. თუ რისკები გადატანილია მე-2 სტადიაზე ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, მაშინ კომპანია აკვირდება, აგრძელებს თუ არა ეს მაჩვენებელი არსებობას თუ შეიცვლება.

POCI ფინანსური აქტივებისთვის ECL-ის შეფასება ყოველთვის ხდება მოქმედების ვადის საფუძველზე. ამიტომ კომპანია აღიარებს მხოლოდ კუმულატიურ ცვლილებებს ECL-ის მოქმედების ვადაში.

კომპანიის მიდგომა ECL-ის მიმართ გაცემული სესხების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და სხვა ფინანსური აქტივების შესაფასებლად გულისხმობს ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასებას:

- გაცემული სესხებისთვის ECL-ის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება სხვადასხვა შესაძლო შედეგებისთვის საკრედიტო დანაკარგების შეფასებების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან. კომპანია განსაზღვრავს მინიმუმ ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, რომელთაგან ერთი იწვევს საკრედიტო დაკარგვას მაშინაც კი, თუ ასეთი სცენარის ალბათობა შეიძლება იყოს ძალიან დაბალი. ინდივიდუალური შეფასება, პირველ რიგში, ეფუძნება მენეჯმენტის საექსპერტო შეფასებებს. საექსპერტო დასკვნები რეგულარულად მოწმდება, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებებსა და რეალურ ზარალს შორის.
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის, ვინაიდან კომპანიის ერთადერთი, უმსხვილესი კლიენტი არის საწარმო, რომლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) საერთო კონტროლს ექვემდებარება, ECL ფასდება ინდივიდუალურად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ფინანსური მდგომარეობის, ისტორიული გადახდების და იმ სექტორის გათვალისწინებით, სადაც ის ოპერირებს.

ზოგადად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების გამრავლების ჯამს: რისკი დეფოლტის დროს („EAD“), დეფოლტის ალბათობა („PD“), და ზარალი დეფოლტის დროს („LGD“), რომლებიც განსაზღვრულია ზემოთ მოყვანილი განმარტების შესაბამისად და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ECL განისაზღვრება რისკის პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით ყოველი მომავალი წლისთვის, თითოეული ინდივიდუალური რისკის მოქმედების

ვადის განმავლობაში. ეს სამი კომპონენტი მრავლდება ერთად და კორექტირდება გადარჩენის ალბათობაზე (ე.ი. რისკი ანაზღაურდა ან დეფოლტი მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში). ეს უზრუნველყოფს ECL-ის ეფექტურად დათვლას ყოველი მომავალი პერიოდისთვის, რაც შემდეგ დისკონტირებულია საანგარიშო თარიღამდე და შეჯამებულია. ECL-ის გამოთვლაში გამოყენებული დისკონტის განაკვეთი წარმოადგენს ორიგინალურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ან მასთან მიახლოებულს.

საპროგნოზო ინფორმაცია, ჩართული ECL-ის მოდელებში. SICR-ის შეფასება და ECL-ის გამოთვლა ორივე შემთხვევაში აერთიანებს დასადასტურებელ საპროგნოზო ინფორმაციას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკებთან და ECL-თან. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) ფასდება კომპანიის მიერ და უზრუნველყოფს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთი წლისთვის.

როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, პროგნოზები და მოვლენის ალბათობა ექვემდებარება დამახასიათებელი გაურკვევლობის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს პროგნოზები წარმოადგენს შესაძლო შედეგების მის საუკეთესო შეფასებას, და გააანალიზა

არაწრფივობა და ასიმეტრია, რათა დაადგინოს, რომ არჩეული სცენარები სათანადოდ წარმოადგენს შესაძლო სცენარების დიაპაზონს.

კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის მეთოდოლოგიას და ვარაუდებს, რათა შეამციროს რაიმე სახის განსხვავება შეფასებებსა და რეალურ საკრედიტო დანაკარგს შორის. ასეთი ტესტირება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტული აქტივები და ვალდებულებები და (გ) საკუთარი კაპიტალის პროდუქტები, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს. მენეჯმენტი ადგენს მისაღები რისკის ღირებულების ზღვრებს, რომელთა მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება. მაგრამ ამ მიდგომის გამოყენება არ აფერხებს ზარალს ამ ზღვრებზე მეტი ოდენობით ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის მიმართ, მენეჯმენტი ადგენს ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. ხორციელდება პოზიციების მონიტორინგი. ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკისადმი საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2022 წლის 31 დეკემბერს			2021 წლის 31 დეკემბერს		
ათას ქართულ ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	8,578	(1,403)	7,175	3,092	(3,810)	(718)
აშშ დოლარი	17	(2,621)	(2,604)	861	(1,828)	(967)
ევრო	-	-	-	-	-	-
სულ	8,595	(4,024)	4,571	3,953	(5,638)	(1,685)

ცხრილში ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალისა და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული სავალუტო კურსების გონივრული შესაძლო ცვლილებების მიმართ, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის მუდმივად შენარჩუნებით:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(260)	(97)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	260	97

ზემოქმედება დაანგარიშდა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის, დენომინირებულში სხვა ვალუტაში, გარდა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება მის ფინანსური მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გავრცელებული დონეების რყევების ეფექტის გავლენას. ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკებისადმი. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებით, კლასიფიცირებული სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთების გადაანგარიშების ან დაფარვის ვადის გასვლის უფრო ადრეული თარიღის მიხედვით.

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	უპროცენტო	სულ
31 დეკემბერი 2022							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	3,368	3,327	-	1,900	8,595
სულ ფინანსური ვალდებულებები	(4)	(1,220)	(1,397)	-	-	(1,403)	(4,024)
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2022 წლის 31 დეკემბერს	**(4)**	**(1,220)**	**1,971**	**3,327**	**-**	**497**	**4,571**
31 დეკემბერი 2021							
სულ ფინანსური აქტივები	-	198	257	45	-	3,453	3,953
სულ ფინანსური ვალდებულებები	(366)	(3,652)	(25)	(52)	-	(1,543)	(5,638)
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2021 წლის 31 დეკემბერს	**(366)**	**(3,454)**	**232**	**(7)**	**-**	**1,910**	**(1,685)**

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობას მცურავი განაკვეთის მქონე სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გონივრულ შესაძლო ცვლილებებისადმი, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად შენარჩუნებით:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 10%-ით გაზრდა	-	34
საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 10%-ით შემცირება	-	(34)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმოს შეექმნება სირთულე იმ ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ვალდებულებებთან. კომპანია ყოველდღიურად აწყდება აუცილებლობას გამოიყენოს არსებული ფულადი რესურსები. ლიკვიდურობის რისკს მართავს კომპანიის მენეჯმენტი. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დაფინანსების სტაბილური ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სესხებისა და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას. მენეჯმენტის შეფასებით, ლიკვიდურობის პორტფელის ფულადი სახსრების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნაღდი თანხით ერთი დღის განმავლობაში, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის მათი დაფარვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი სახსრები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შეტანილი თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოყვანილი თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. თუ გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ კურსის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სესხები	-	1,215	1,510	-	-	2,725
საიჯარო ვალდებულებები	4	8	36	-	-	48
სავაჭრო გადასახდელები	1,403	-	-	-	-	1,403
სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	**1,407**	**1,223**	**1,546**	-	-	**4,176**

2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სესხები	390	2,054	1,671	-	-	4,115
საიჯარო ვალდებულებები	5	9	41	55	-	110
სავაჭრო გადასახდელები (მე-18 შენიშვნა)	1,543	-	-	-	-	1,543
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	**1,938**	**2,063**	**1,712**	**55**	-	**5,768**

სოფლის მეურნეობის საქმიანობის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიები. კომპანია ექვემდებარება ეკოლოგიური და კლიმატური ცვლილებებისა და საქონლის ფასების რისკს. კომპანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი დაცულია მავნებლებისა და მწერებისგან. რეგულარული კონსულტაციები ტარდება წამყვან გამოცდილ პროფესიონალ აგრონომებთან. არახელსაყრელი ამინდის პირობების გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი მცენარეების ზრდის ხელოვნური განათების დამონტაჟებით.

კომპანია არ ელის, რომ მისი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შემცირდება და, შესაბამისად, მას არ აქვს დადებული წარმოებული თუ სხვა კონტრაქტები ფასების შემცირების რისკის სამართავად.

26 რეალური ღირებულების გამჟღავნება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ იზომება რეალური ღირებულებით, მაგრამ რომელთათვისაც ხდება რეალური ღირებულების გამჟღავნება. რეალური ღირებულების იერარქიაში არსებული დონის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022				31 დეკემბერი 2021			
ათას ქართულ ლარში	1-ლი დონე რეალური ღირებულება	მე-2 დონე რეალური ღირებულება	მე-3 დონე რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე რეალური ღირებულება	მე-2 დონე რეალური ღირებულება	მე-3 დონე რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								
-კორპორატიული სესხი	-	6,695	-	6,695	-	500	-	500
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	1,585	-	1,585	-	2,589	-	2,589
- ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები	-	315	-	315	-	864	-	864
სულ აქტივები	-	**8,595**	-	**8,595**	-	**3,953**	-	3,953
ვალდებულებები								
სესხები								
- საბანკო სესხები	-	-	-	-	-	2,268	-	2,268
-კორპორატიული სესხი	-	2,575	-	2,575	-	1,726	-	1,726
სხვა ფინანსური								
- სავაჭრო გადასახდელები	-	1,403	-	1,403	-	1,543	-	1,543
სულ ვალდებულებები	-	**3,978**	-	**3,978**	-	**5,537**	-	5,537

რეალური ღირებულების დადგენა დონის მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება რეალური ღირებულების იერარქიაში: (i) პირველი დონე - გაზომვა კოტირებული ფასების მიხედვით (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისათვის, (ii) მეორე დონის გაზომვები - შეფასების ტექნიკა აქტივის ან ვალდებულების ყველა მნიშვნელოვანი საწყისი მონაცემის გამოყენებით, პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან

გამომდინარე) გზით, და (iii) მესამე დონის გაზომვა - შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებულ მონაცემებს (ანუ შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან დაუკვირვებად მონაცემებს). მენეჯმენტი იყენებს მსჯელობას ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ რეალური ღირებულების შეფასება იყენებს დაკვირვებად საწყის მონაცემებს, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს შეფასება განეკუთვნება მე-3 დონის გაზომვას. საწყისი მონაცემების შეფასების მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასებასთან შედარებით.

რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეების რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკის გამოყენებით. მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც, სავარაუდოდ, მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებადი, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც, სავარაუდოდ, მიიღება დისკონტირებული სახით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. კომპანიის ფინანსური აქტივების საპროგნოზო რეალური ღირებულება ემყარება საპროგნოზო მომავალ ფულად ნაკადებს, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, მიიღება დისკონტირებული მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული დისკონტის განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. განსაზღვრული ვადიანობისა და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე იმ ინსტრუმენტების საპროგნოზო რეალური ღირებულება, რომელთათვის კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, შეფასდა მოსალოდნელი დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულების დაახლოებით სამართლიანი ღირებულების ტოლია მათი მოკლევადიანი დაფარვის გამო.

27 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

2023 წელს კომპანიამ დამატებით გასცა 621 ლარის ოდენობის სესხი შპს „Georgian Alternative Energy"-სთვის, რაც შეთანხმებული იყო თავდაპირველ საკრედიტო ხელშეკრულებაში. 375 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხის დაფარვის ვადა გაგრძელებულია 2 წლით.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობა და პოზიცია

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ („კომპანია“) დაფუძნდა 2014 წლის 3 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. ეს პროექტი წარმოადგენდა საქართველოს თანაინვესტირების ფონდის (”GCF”) ერთ-ერთ ინიციატივას, რომელიც ინვესტორებისთვის უზრუნველყოფს წვდომას საქართველოს ეკონომიკის სწრაფად მზარდი სექტორებთან.

GCF დაარსდა 2013 წელს, საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობებისადმი საერთაშორისო საინვესტიციო საზოგადოების მზარდი ინტერესის საპასუხოდ. მას შემდეგ, GCF-მ თანაინვესტორებისთვის უზრუნველყო საქართველოში განვითარებადი ინდუსტრიებისა და სექტორების უნიკალურ შესაძლებლობებთან წვდომა.
კომპანიას აქვს 8-წლიანი გამოცდილება და წარმოადგენს წამყვან კომპანიას სოფლის მეურნეობის სექტორში. კომპანია აწარმოებს და ყიდის პრემიუმ და მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, პომიდორსა და კიტრს. კომპანია ფლობს და ამუშავებს თანამდეროვე, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სათბურის ობიექტს 12 ჰა-ზე (სასათბურე მეურნეობა), რომელიც აღჭურვილია მცენარეების ზრდის ხელოვნური განათებით, ყოველწლიურად 7,100 ტონაზე მეტი პროდუქტის მოყვანის შესაძლებლობით. ზრდის ხელოვნური განათება ზამთარსა და არახელსაყრელი ამინდის პირობებშიც მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა, შესაბამისად, სათბური ნაკლებად არის დამოკიდებული მზის შუქზე. შედეგად, წარმოების ხარისხი და მოსავლიანობა კვადრატულ მეტრზე გაიზარდა და ხარჯები ოპტიმიზირებულია.

პროდუქცია იყიდება ადგილობრივ ბაზრებზე, ჰიპერმარკეტებსა და სუპერმარკეტების ქსელებში.

დასაქმებულთა რაოდენობა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის 242, მათ შორის 179 - ქალი (2021 წელი: 237, მათ შორის 179 - ქალი).

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი პროდუქტებია კიტრი და პომიდორი, რომლებიც წარმოდგენილია დიდი ასორტიმენტით ყველა სეზონზე. ჩვენ მუდმივად ვატარებთ ახალ ჯიშების ტესტირებას, და არც 2022-2023 წლების სეზონია გამონაკლისი. გადაწყდა, რომ კვლავ გამოვცადოთ წიწაკის ახალი სახეობების მოყვანა. მაღალი ხარისხის შეთავაზებით, სხვადასხვა სახის ბოსტნეული ჩაანაცვლებს იმპორტირებულ პროდუქციას, რაც მომხმარებლისთვის კომპანიას უფრო მიმზიდველს გახდის.

კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001: 2015 (2018 წელი) და გაიარა Global GAP სერტიფიკაცია (2019 წელი).

3. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო დაკავებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ
კომპანიას არა აქვს ფილიალები. სათბური მდებარეობს გარდაბანში (თბილისიდან 50 კმ-ში), ხოლო მენეჯმენტის გუნდის ნაწილი განთავსებულია თბილისის ოფისში.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	2022	2021
შემოსავლები	15,976	15,086
წმინდა მოგება/(ზარალი)	344	(2,695)
EBITDA*	1,891	(96)

შენიშვნა: EBITDA – მოგება საპროცენტო ხარჯების, გადასახადების გადახდის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების გარეშე*

ძირითადი ცვლილებების განმარტება:

წმინდა მიგება - წმინდა მოგებაზე ძირითად გავლენას ახდენდა შემოსავლების გაზრდა, კომუნალური მომსახურების ხარჯების შემცირება და მცენარეთა ზრდის ხელოვნური განათების გამოყენებით ელექტროენერგიის მოხმარების ახალი სტრატეგია.

წმინდა ზარალი - წმინდა ზარალზე ძირითადად გავლენას ახდენდა შემოსავლის ზრდა, ცვეთის ანარიცხების ზრდა, კომუნალური მომსახურების ხარჯების ზრდა და მცენარეთა ზრდის ხელოვნური განათების გამოყენების შედეგად ელექტროენერგიის მეტი რაოდენობით მოხმარება. 2021 წელს ელექტროენერგიის ფასი კვტ-ზე 0.1625 ლარიდან 0.3088 ლარამდე გაიზარდა (დღგ-ს ჩათვლით).

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები შეჯამებულია შემდეგნაირად:

	2022	2021
კიტრის მოსავალი (კილოგრამი)	3,269,408	4,783,147
პომიდორის მოსავალი (კილოგრამი)	1,511,314	1,014,142
პერსონალის რაოდენობა	242	237

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს კომპანიის მიერ არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შეძენა.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

ჩვენი ბრენდი „პლანტა“ ასოცირდება საქართველოში წარმოებული პრემიუმ ხარისხის პროდუქტთან, რაც იზიდავს მომხმარებლებს და ზრდის ერთგულებას. კიდევ ერთი ბრენდი, „Georgian Harvest“ (ქართული მოსავალი), პოზიციონირებს როგორც მეინსტრიმი (მასობრივი ბრენდი). მრავალი სარეკლამო კამპანიის წარმოება ხდება გაყიდვების ადგილებში, სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო შოუებში (2021 წელი: MasterChef).

სათბურის უნიკალური ადგილმდებარეობა გვაძლევს უპირატესობას ენერგიის მოხმარების და ხარჯების შემცირების მხრივ. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მზის გამოსხივება გარდაბანშია, რაც მცენარეთა მოშენებისთვის აუცილებელია. ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი წყალმომარაგება.

პერსონალის მუდმივი ტრენინგები სძენს მათ უნიკალურობასა და გამოცდილებას. ისინი ადგილობრივები არიან და მათი დაკარგვის შანსი მინიმალურია, რადგან გარდაბანში მსგავსი მაღალტექნოლოგიური სათბური არ მოქმედებს.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

გაყიდვებს ახორციელებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი, შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, რომელიც GCF-ის ერთერთი პროექტია, ისევე როგორც სს „საქართველოს სასათბურე კორპორაცია“. გადახდის პირობები არის გაყიდვების თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკისა და გაურკვევლობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	კონკურენცია იაფი იმპორტირებული პროდუქციით	მომხმარებლების მოსაზიდად უფრო გემრიელი, არომატული და მაღალი ხარისხის ბოსტნეულის წარმოება. ბრენდის ეფექტიანი სტრატეგიის განხორციელება.
2	ბაზრის გაჯერება	კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001: 2015 და Global GAP, რაც იქნება აქტივი ევროკავშირისა და სხვა ბაზრებზე გასასვლელად.
3	პერსონალის ცოდნა და გამოცდილება	გამოცდილი მმართველი გუნდი, მუდმივი ტრენინგები და პროფესიონალების მოწვევა საზღვარგარეთიდან მასტერკლასებზე.
4	პოტენციური საშიშროება მავნებლებისა და მწერებისგან	მავნებლებისა და მწერებისგან ბიოლოგიური დაცვის განხორციელება. მუდმივი კონსულტაცია უცხოეთის წამყვან გამოცდილ აგრონომებთან.
5	არახელსაყრელი ამინდი, მზის სხივების ნაკლებობა	ამ რისკის შერბილება ხდება ხელოვნური განათების და სათბურის სათანადო ადგილას განთავსებით.
6	საკრედიტო რისკი	კომპანია არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელი არის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირი. საანგარიშო პერიოდების ბოლოს, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% მხოლოდ ორ ბანკში იყო განთავსებული.
7	სავალუტო რისკი	სავალუტო რისკის მიმართ, მენეჯმენტი ადგენს ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. ხორციელდება პოზიციების მონიტორინგი.

2023 წლის 10 ივლისი

შოთა ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

მაია წიკლაური
მთავარი ბუღალტერი

თარგმანი სწორია:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N231085044**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**10.08.2023 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**შორენა ხაინდრავა**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2725342**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**68957449813723**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქ. თბილისი, 10.08.2023

მე, **ნოტარიუსი შორენა ხაინდრავა,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** ვადასტურებ **თარჯიმნის მაია მაწონაშვილის** (დაბ. 04.03.1973წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №45ა ბ.6, პირადი №01024022563, დიპლომი უა №001618, გაც. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ 25.06.1996წ.) ხელმოწერის სინამდვილეს. მე გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 51 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 102 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.4-ს თანახმად), დღგ – 18.36 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამაეე დადგენილების მ.39 პ.1-ს თანახმად). სულ გადახდილია 125.36 ლარი.

ნოტარიუსი
Notary

/შორენა ხაინდრავა/
/Shorena khaindrava/

City of Tbilisi, Georgia, 10.08.2023

I, Notary S[redacted] ted at the ad[redacted] 's Ma[redacted] N45a, J. Shartava, Tbilisi, Personal N010[redacted] ploma UA №001618, issued by Tbilisi Ilia [redacted] State University for Foreign Languages on 2[redacted] lty of signature. I have warned translator that she is responsible for the translation accuracy and she has confirmed that she knows the English language properly and provides the exact translation.

Paid Fees (for confirmation of 51 signatures of a copy of the above document) 102 GEL (according to the ord[redacted] №507 of Georgian Government dated December 29 2011 “About Fees or carrying out Notary Acts and established amount of price by Georgian Notary Chamber, rules of pay and its terms” article 31.4), VAT – 18.36 GEL (according to the article 166 of Tax Code of Georgia) and registration fee 5 GEL (due to the performed Order by Georgian Government article 39.1). Total: 125.36 GEL

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში....1
მოგების ან ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიში....2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში....3
ფულადი ნაკადების ანგარიში....4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 სს "საქართველოს სათბურის კორპორაცია" და მისი საქმიანობა....5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო....5
3 ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების პოლიტიკა....6
4 კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და გადაწყვეტილებები ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას....13
5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციის მიღება....14
6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი დებულებები....15
7 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან....17
8 ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა....18
9 გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები....19
10 სასაქონლო-მატერიალური აქტივები....19
11 გაცემული სესხები....20
12 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება....21
13 სხვა საგადასახადო დებიტორული დავალიანება, ნეტო....22
14 ფული და ფულადი ექვივალენტები....22
15 სააქციო კაპიტალი....22
16 სესხები....22
17 ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შედარება....23
18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება....23
19 შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან....24
20 სხვა ხარჯები....24
21 ფინანსური შემოსავალი....24
22 დაფინანსების ხარჯები....24
23 გაუთვალისწინებელი პირობები და ვალდებულებები....25
24 კაპიტალის მართვა....25
25 ფინანსური რისკების მართვა....26
26 რეალური ღირებულების გამჟღავნება....31
27 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ....32

PWC

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ მფლობელებსა და მენეჯმენტს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს, ყველა არსებით ასპექტში, სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ (შემდგომში - „კომპანია“) საფინანსო მდგომარეობას, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რა დაექვემდებარა ჩვენს აუდიტს

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღისთვის;
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ამ სტანდარტების ფარგლებში არის შემდგომ აღწერილი ამ ანგარიშის ნაწილში - *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის.*

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და შესაბამისი ჩვენი მოსაზრების საფუძვლიანობისთვის.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ დამოუკიდებელნი კომპანიისაგან, ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (IESBA Code) (საერთაშორისო დამოუკიდებელი სტანდარტების ჩათვლით) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები IESBA Code-ის შესაბამისად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს (მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს აუდიტორულ ანგარიშს).

ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მმართველობით ანგარიშს და, ამასთან, განვიხილით, თუ არსებობს არსებითი შეუსაბამობა მმართველობით ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებასა ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას შორის, ან ხომ არ არის მონაცემები არსებითად დამახინჯებული. თუ, ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე, დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშში არის არსებითი ხარვეზი, ჩვენ ვალდებულნი ვართ შეგატყობინოთ ეს ფაქტი. ამ კუთხით არაფერი გვაქვს შესატყობინებელი.

გარდა ამისა, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გამოვხატოთ

მოსაზრება, თუ შეესაბამება მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ წესებს, და განვიხილოთ, თუ მოიცავს მმართველობითი ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, მოყვანილი იმ საფინანსო წლის მმართველობით ანგარიშში, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ამ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

მენეჯმენტისა და კორპორატიულ მართვაში ჩართული პირების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერ წარდგენაზე ფინასური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარდებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, როგორიც, მენეჯმენტის აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელსაც არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის ისეთი უნარების შეფასებაზე, როგორიცაა საქმიანობის უწყვეტი გაგრძელება, საჭიროებისამებრ, მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნება და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების გამოყენება უწყვეტობის პრინციპით, თუკი მენეჯმენტს არა აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან არ გააჩნია სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა ამის გაკეთებისა.

მართვაში მონაწილე პირებს ეკისრება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზნებია, გონივრულად დარწმუნება, რომ ფინანსურ ანგარიშგებას არ გააჩნია არსებითი უსწორობა, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო, და აუდიტორის ანგარიშის გამოცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული დარწმუნება წარმოადგენს დარწმუნების მაღალ დონეს, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით უსწორობას, მისი არსებობისას. უსწორობა შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობისა თუ შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც გავლენის მქონე მომხმარებელთა იმ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიულ მსჯელობას და გაგვაჩნია პროფესიული სკეპტიციზმი აუდიტის დროს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი დამახინჯების რისკების განსაზღვრასა და შეფასებას, იმისდა მიუხედავად, თუ არის ეს გამოწვეული თაღლითობით ან შეცდომით, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ ამ რისკების საპასუხო პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტის ისეთ მტკიცებულებებს, რომელიც არის საკმარისი და შესაბამისი, რათა შექმნას საფუძველი ჩვენი მოსაზრებისთვის. თაღლითობით გამოწვეული რისკი, რომელიც არ იქნა აღმოჩენილი, არის უფრო მაღალი, ვიდრე შეცდომით გამოწვეული, ვინაიდან თაღლითობა შეიძლება შეიცავდეს გარიგებას, ფალსიფიკაციას, განზრახულ გამოტოვებას, დამახინჯებასა ან შიდა კონტროლის ბლოკირებას.
- მოვიპოვებთ აუდიტისთვის საჭირო შიდა კონტროლის შესახებ ცოდნას არსებული გარემოებების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების შემუშავების მიზნით და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ საღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობასა და საღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე მენეჯმენტის მიერ ინფორმაციის შესაბამის გამჟღავნებებს.
- ვაყალიბებთ ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტობის პრინციპის მენეჯმენტის მიერ

გამოყენების თაობაზე დასკვნას და ასევე, მიღებული აუდიტორული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დასკვნას იმის თაობაზე, თუ არის არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენებსა ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული ეჭვები კომპანიის უნარში განაგრძოს საქმიანობა. თუ ჩვენ გადავწყვეტთ, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, ჩვენგან მოითხოვება, რომ

აუდიტორულ ანგარიშში მივაქციოთ ყურადღება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის გამჟღავნებას ან, თუ ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორული ანგარიშის თარიღისთვის. თუმცა მომდევნო მოვლენებსა თუ პირობებს შეუძლია გამოიწვიოს კომპანიის მიერ საქმიანობის შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების მთლიან პრეზენტაციას, სტრუქტურასა და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით, და თუ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს ისეთი გზით, რომ უზრუნველყოფილი იყოს კეთილსინდისიერი წარდგენა.

ჩვენ მიერ დამყარებულია კომუნიკაცია მათთან, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა მართვაზე, მათ შორის აუდიტის დაგეგმილ მოცულობასა და ვადებსა და აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგების თაობაზე, შიდა კონტროლში ნებისმიერი ხარვეზების ჩათვლით, რომელსაც ჩვენ გამოვავლენთ ჩვენი აუდიტის დროს.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC (რეგ.# SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (რეგ.# SARAS-A-506913)

2023 წლის 10 ივლისი
თბილისი, საქართველო

სს "საქართველოს სათბურის კორპორაცია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა	8	7,544	8,757
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	9	39	78
გაცემული სესხები	11	3,368	45
სულ გრძელვადიანი აქტივები		**10,951**	**8,880**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური აქტივები	10	1,750	1,614
გაცემული სესხები	11	3,327	455
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	6,314	7,117
სხვა საგადასახადო დებ. დავალიანება, ნეტო	13	932	946
ფული და ფულადი ეკვივალენტი	14	315	864
სულ მიმდინარე აქტივები		**12,638**	**10,996**
სულ აქტივები		**23,589**	**19,876**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	72,917	67,937
დაგროვილი დეფიციტი		(53,468)	(53,812)
სულ კაპიტალი		**19,449**	**14,125**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9,17	-	52
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**52**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16,17	2,575	3,994
საიჯარო ვალდებულებები	9,17	46	49
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18	1,519	1,656
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**4,140**	**5,699**

სს "საქართველოს სათბურის კორპორაცია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სულ ვალდებულებები		4,140	5,751
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,589	19,876

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია 2023 წლის 10 ივლისს

შოთა ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

მაია წიკლაური
მთავარი ბუღალტერი

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული
შემოსავლის ანგარიში

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან	19	**15,976**	**15,086**
სხვა შემოსავალი		174	330
კომუნალური ხარჯები		(6,673)	(8,164)
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები		(3,855)	(3,805)
გამოყენებული თესლი და სხვა სახარჯი მასალები		(2,696)	(2,647)
ქონების, წარმოების საშუალებებისა (მცენარეები) და აღჭურვილობის ცვეთა	8,9	(1,924)	(1,925)
ცვლილებები სოფლის მეურნეობის წარმოების სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	10	(11)	(48)
სხვა ხარჯები	20	(1,104)	(886)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, ნეტო		(128)	(50)
საოპერაციო ზარალი		**(241)**	**(2,109)**
ფინანსური შემოსავალი	21	609	19
დაფინანსების ხარჯები	22	(24)	(605)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		**344**	**(2,695)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**344**	**(2,695)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**344**	**(2,695)**

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

ათას ქართულ ლარში	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარს	**60,475**	**(51,117)**	**9,358**
წლის ზარალი	-	(2,695)	(2,695)
სულ წლის სრული ზარალი	-	(2,695)	(2,695)
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 15)	7,462	-	7,462
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**67,937**	**(53,812)**	**14,125**
წლის მოგება	-	344	344
სულ წლის სრული შემოსავალი	-	344	344
გამოშვებული აქციები (შენიშვნა 15)	4,980	-	4,980
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**72,917**	**(53,468)**	**19,449**

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“

<u>ფულადი ნაკადების ანგარიში</u>

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		344	(2,695)
კორექტირება:			
ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეების) და აღჭურვილობის ცვეთა და გაუფასურება	8,9	1,924	1,925
ზარალი ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეების) და აღჭურვილობის განკარგვიდან მიღებული მოგების გამოკლებით	8	169	179
ფინანსური შემოსავალი	21	(609)	(19)
დაფინანსების ხარჯები		24	605
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო		128	50
ოპერაციული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**1,980**	**45**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზრდა/(კლება)	12	803	(2,524)
სასაქონლო-მატერიალური აქტივების ზრდა	10	(136)	(268)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების (კლება)/ზრდა	18	(137)	276
სხვა საგადასახადო დებიტორული დავალიანების (კლება)/ზრდა	13	14	(24)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**544**	**(2,540)**
საპროცენტო გადასახადი	17	(142)	(591)
მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები, ნეტო საოპერაციო საქმიანობიდან		**(2,382)**	**(3,086)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეების) და აღჭურვილობის შესყიდვები	8	(841)	(904)
გაცემული სესხები	11	(5,614)	(500)
ფულადი სახსრები, გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში, ნეტო		**(6,455)**	**(1,404)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	17	(2,693)	(4,227)
ამონაგები სესხებიდან	17	1,383	1,825
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	17	(46)	(47)
ამონაგები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან	15	4,980	7,462
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან, ნეტო		**3,624**	**5,013**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და ფულად ეკვივალენტებზე		(100)	(31)

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	864	372
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	315	864

5-32 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

1 სს “საქართველოს სათბურის კორპორაცია” და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სს „საქართველოს სათბურის კორპორაციისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული საქმიანობის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ (შემდგომში - „კომპანია“) 2014 წლის 3 აპრილს დაფუძნდა და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, დაარსებულს საქართველოს რეგულაციების მიხედვით, და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით: 404469865.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ აქციების უშუალო მფლობელებია:

აქციონერი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
Greenhouse Holding LLC	98.67%	98.58%
Agroshare B.V.	1.33%	1.42%
სულ	**100%**	**100%**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 98.67%-ს (2021 წელი: 98.58%) ფლობს შპს „გრინჰაუს ჰოლდინგი“ (Greenhouse Holding LLC), ხოლო მისი საბოლოო მშობელი კომპანია იყო GCF LP (რეგისტრირებული კაიმანის კუნძულებზე), რომელსაც აკონტროლებს GCF GP (რეგისტრირებული კაიმანის კუნძულებზე).

შპს „გრინჰაუს ჰოლდინგი“, უშუალო მშობელი კომპანია, ადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ფლობს და ამუშავებს მაღალტექნოლოგიურ, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სასათბურე მეურნეობას, რომელიც განთავსებულია 12 ჰა-ზე („სათბური“) და წლიურად 7,100 ტონა პროდუქტს აწარმოებს. კომპანია აწარმოებს და ყიდის პრემიუმ და მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, პომიდორსა და კიტრს. შპს ჯორჯიან აგროჰაუსი (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირი) არის „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი.

კომპანია იმედოვნებს, რომ სასათბურე მეურნეობა საქართველოში შეავსებს ადგილობრივ წარმოებასა და ბოსტნეულის მოხმარებას შორის არსებულ გარღვევას და გარკვეულწილად შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტირებულ პროდუქციაზე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ზ. ფალიაშვილის ქ. №83, I კორპ., მე-5 სართული, 0162, თბილისი, საქართველო. საქმიანობის ადგილი გარდაბანი, საქართველო (თბილისიდან 50 კმ).

პრეზენტაციის ვალუტა. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს ახასიათებს განვითარებადი ბაზრის გარკვეული თვისებები, შედარებით მაღალი ინფლაციისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების ჩათვლით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად.

სოფლის მეურნეობის სექტორი ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად არის გამოცხადებული და სახელმწიფოს დაფინანსება და ინსტიტუციური მხარდაჭერა არსებითია. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, ბოსტნეულის ძირითადი ჯგუფების წარმოება ბოლო წლებში კლებულობს, ხოლო ამავე პროდუქტების იმპორტი იზრდება. ეს ქმნის ერთგვარ პრობლემას და ასევე შესაძლებლობასაც კომპანიისთვის უზრუნველყოს მაღალმოთხოვნადი ბოსტნეულის პროდუქტების წარმოება (განსაკუთრებით შუასეზონურ პერიოდში) და ჩაანაცვლოს იმპორტი.

COVID-19. 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19-ის პანდემია. პანდემიის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორიცაა მოგზაურობის შეზღუდვები, კარანტინი, თვითიზოლაციის რეჟიმი და ბიზნეს აქტივობის შეზღუდვები, წარმოების შეწყვეტის ჩათვლით. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობდა დაბალი რისკი იმისა, რომ ხელისუფლება დააწესებდა დამატებით შეზღუდვებს 2023 წელს ვირუსის ახალი ვარიანტების გაჩენის გამო.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსეთის მნიშვნელოვანი სამხედრო გაძლიერების შემდეგ, 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ჯარებმა საზღვარი გადაკვეთეს. საერთაშორისო დონეზე ეს საომარ აგრესიად მიიჩნევა, და ეს არის უდიდესი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიოს შემდეგ. ამან გამოწვია ევროპაში დევნილთა უდიდესი კრიზისი, ვინაიდან ომის გამო მილიონობით უკრაინელი ქვეყანას და სახლებს ტოვებს. უკრაინის ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ დაუწესა რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები. უამრავმა კომპანიამ დახურა ბიზნესი რუსეთსა და ბელორუსში. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინისთვის, რუსეთსა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი კონტაქტები უკრაინასთან, რუსეთსა და ბელორუსთან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ აღნიშნული სიტუცია არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის აქტივობებზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ გრძელდება, შეუძლებელია კომპანიაზე მისი ზემოქმედების სარწმუნოდ შეფასება, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბებთან დაკავშირებით. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას მიმდინარე გარემოებებში.

მენეჯმენტისთვის შეუძლებელია იმ ყველა მოვლენის განჭვრეტა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათი შესაძლო გავლენისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3 ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად და საწყისი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით, ცვლილებებით ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით საწყისი აღიარებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ეს ასევე მოითხოვს მენეჯმენტისგან თავისი გადაწყვეტილების გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ის სფეროები, რომლებიც მოითხოვს განსჯის ან სირთულის უფრო მაღალ ხარისხს, ან ის სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, ასახულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის გადათვლა. საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა არის იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც სუბიექტი მუშაობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და მისი წარმომადგენლობითი ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“₾”). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაითვლება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით, საანგარიშო პერიოდის შესაბამისი პერიოდის ბოლოს. საკურსო სხვაობიდან მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი სახსრების აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული სუბიექტის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის წლის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც მოგება საკურსო სხვაობიდან, ნეტო.

2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი (”$”) 1 = 2.7020 ლარი და ევრო (€) 1 = 2.8844 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი 3.0976 ლარი და 1 ევრო = 3.5040). ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საკურსო სხვაობიდან მოგება და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია სესხებთან და გაცემულ კრედიტებთან, წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში, მუხლებში „ფინანსური შემოსავალი“ და „დაფინანსების ხარჯები“, შესაბამისად. ყველა სხვა საკურსო სხვაობიდან მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში მუხლში „საკურსო სხვაობიდან მოგება/(ზარალი), ნეტო“.

ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა. ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა (ძირითადი საშუალებები) აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გაქვითვით საჭიროების შემთხვევაში. მიწა ფასდება თვითღირებულებით, ცვეთისა და გაუფასურებისგან ზარალის გაქვითვით.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალებისა და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანას მათი დანიშნულებისამებრ, ნივთების დემონტაჟისა და გადატანის და მათი მდებარეობის ადგილის აღდგენის ხარჯს, ასევე კაპიტალიზირებული სესხის ხარჯებს.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია როგორც ცალკეული აქტივი, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია, რომ ამ პროდუქტთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვიდეს კომპანიაში და ობიექტის ღირებულება საიმედოდ შეიძლება იქნას შეფასებული. მცირე სარემონტო სამუშაოებისა და ყოველდღიური მოვლის ხარჯების გახარჯვა ხდება მათი წარმოქმნისას. ქონების, საწარმოო საშუალებებისა და აღჭურვილობის ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზირებულია, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

განკარგვის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება ამონაგების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწის ცვეთა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ობიექტების ამორტიზაციის გაანგარიშება ხდება ხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდეს მათი ღირებულების განაწილება ნარჩენი ღირებულების მიხედვით მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების პერიოდის განმავლობაში:

	გამოყენების პერიოდი წლებში
შენობები და სათბურები	10
საწარმოო საშუალებები და აღჭურვილობა	2-დან 10-მდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივის განკარგვის შედეგად, საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ვადაგასულია და იმ მდგომარეობაშია, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ამოწურვისთვის. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების პერიოდი მოწმდება და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები. კომპანია იჯარით გასცემს ქონებას. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. ამასთან, ყველა საიჯარო ხელშეკრულებაში, სადაც კომპანია მოიჯარეა, არჩევენ არ გამოყონ ხელშეკრულებაში საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად ერთიანად აღრიცხავენ მათ, როგორც ერთ საიჯარო კომპონენტს.

იჯარით წარმოშობილი აქტივები თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ოდენობა;
- საიჯარო გადახდები, რომლებიც განხორციელდა იჯარის დაწყებისას ან მანამდე, მიღებული საიჯარო შეღავათების დაქვითვით;
- ნებისმიერი პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ხარჯები აქტივის აღსადგენად საიჯარო ხელშეკრულებებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები, ძირითადად, ამორტიზირებულია ხაზოვანი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენებისა და იჯარის ვადებიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც უფრო მოკლეა. ყველა საიჯარო ხელშეკრულებისთვის, სადაც კომპანია მოიჯარეა, საიჯარო ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე აქტივით სარგებლობის ვადა და, შესაბამისად, ცვეთა ხდება ხაზოვანი მეთოდის საფუძველზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. საიჯარო პერიოდებია:

	გამოყენების პერიოდი წლებში
შენობები	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, მოწმდება გაუფასურებაზე ყოველ ჯერზე, როცა მოვლენების ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ ანაზღაურდეს. გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი აღიარებულია თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული განკარგვის ხარჯებსა და გამოყენებულ ღირებულებას შორის უფრო მაღალი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვისაც ძირითადად დამოუკიდებელი ფულადი სახსრები შემოდის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინასწარი გაუფასურება (გუდვილის გარდა) მოწმდება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის შესაძლო აღდგენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდევინება ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგების შედეგად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს ფასი აქტიურ ბაზარზე.

აქტიური ბაზარი არის ისეთი, სადაც აქტივის ან ვალდებულების ოპერაციები ხორციელდება საკმარისი სიხშირით და მოცულობით, ფასების შესახებ ინფორმაციის მუდმივად უზრუნველსაყოფად.

აქტიურ ბაზარზე ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება იზომება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და საწარმოს მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლი. ეს ხორციელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ამ რაოდენობის ათვისებისთვის და ერთი ტრანზაქციის ფარგლებში პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ამგვარი ტექნიკა, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის მოდელები ან მოდელები, რომლებიც ეფუძნება ბოლოდროინდელ კომერციულ გარიგებებს თუ ინვესტორთა ფინანსური მონაცემების განხილვებს, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად, რომელთათვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გარე ბაზრის ფასების შესახებ.

რეალური ღირებულების დადგენა დონის მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება რეალური ღირებულების იერარქიაში: (i) პირველი დონე - კოტირებული ფასების (არაკორექტირებული) მიხედვით გაზომვა აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებებისათვის, (ii) მეორე დონის გაზომვები - შეფასების ტექნიკა აქტივის ან ვალდებულების ყველა მნიშვნელოვანი საწყისი მონაცემის დაკვირვებით, პირდაპირი (ანუ ფასების სახით) თუ არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან გამომდინარე) გზით, და (iii) მესამე დონის გაზომვა - შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებულ მონაცემებს (ანუ შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან დაუკვირვებელ საწყის მონაცემებს).

გარიგების ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯები წარმოადგენს ხარჯებს, რომლებიც არ გაიღებოდა გარიგების განუხორციელებლობის შემთხვევაში. გარიგების ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გამყიდველ აგენტებად), მრჩეველებისთვის, ბროკერებსა და დილერებისთვის გადახდილი გადასახადი და საკომისიოები, მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების გადასახადი, ასევე გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. გარიგების ხარჯები არ მოიცავს სასესხო პრემიას თუ ფასდაკლებას, დაფინანსებაზე გაწეულ ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვაზე გაწეულ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (”*AC*”) არის თანხა, რომლითაც შეფასებულია ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს გადასახდელი ძირითადი თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის - იმ რეზერვის გამოკლებით, რომელიც განკუთვნილია ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (”ECL”). დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების დაფარვას (ამორტიზებას), ასევე ნებისმიერ პრემიას თუ ფასდაკლებას აღნიშნული ვადისთვის დასაფარ თანხაზე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

დარიცხული პროცენტიდან მიღებული შემოსავალი და დარიცხული პროცენტის ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდაკლება ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული გადასახადების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალკე და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში შედის.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, საბალანსო ღირებულების მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური პროცენტის) მისაღწევად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (მომავალი საკრედიტო ზარალის გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის

განმავლობაში, თუ გამოყენებადია, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტებს ცვალებადი პროცენტის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის გადაანგარიშების შემდეგი თარიღისთვის, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებული მცურავი პროცენტის საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებისა, რომლებიც არ არის მოყვანილი საბაზრო განაკვეთებთან შესაბამისობაში. ასეთი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის გამოყენების მთელი მოსალოდნელი ხანგრძლივობის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა საფასურს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური დოკუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული გარიგების ხარჯების გათვალისწინებით. რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტით განხორციელებული სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებებით ან შეფასების ტექნიკით, რომლის მონაცემები მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ECL-ის რეზერვი აღიარებულია ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც იზომება AC–ით, რაც დაუყოვნებლივ იწვევს ბუღალტრულ ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი გაზომვა - გაზომვის კატეგორიები. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებში: FVTPL, FVOCI და AC.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი გაზომვა - ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს იმას, თუ როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი სახსრების ნაკადების წარმოსაქმნელად - მიუხედავად იმისა, თუ რა არის კომპანიის მიზანი: (i) მხოლოდ აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი სახსრების შეგროვება (”ფლობა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვებისთვის”) ან (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების რეალიზაციით წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების შეგროვება (”ფლობა სახელშეკრულებო და გაყიდვიდან ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის”) ან, (i) და (ii) პუნქტების არარსებობის შემთხვევაში, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება როგორც ”სხვა” ბიზნეს მოდელის ნაწილი და იზომება FVTPL-ის მიხედვით.

ბიზნესის მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ აქტივობების ყველა სათანადო მტკიცებულების საფუძველზე, რაც კომპანიას ეკისრება შეფასების თარიღისთვის ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის დასადგენად გათვალისწინებულ ფაქტორებში შედის პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ფულადი ნაკადების შეგროვება შესაბამისი აქტივებისთვის, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების მუშაობის შეფასება და როგორ ხდება მენეჯერების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი გაზომვა - ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად ან ფლობა სახელშეკრულებო და გაყიდვიდან ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის, კომპანია აფასებს, წარმოადგენს თუ არა ფულადი სახსრების მოძრაობა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (”SPPI”).

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს პროსპექტიული (სამომავლო) ეფექტი და ხორციელდება იმ პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს ბიზნეს მოდელის ცვლილებას. კომპანიას არ შეუცვლია თავისი ბიზნესის მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდის განმავლობაში და არ მოუხდენია რაიმე სახის რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ECL-ის საკრედიტო ზარალის რეზერვი. კომპანია, მომავალზე ორიენტირებული მიდგომით, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) სასესხო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სხვა სრულ

შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით (FVOCI), ისევე როგორც სასესხო ვალდებულებებიდან და სახელშეკრულებო აქტივებიდან წარმოქმნილი ზემოქმედებისთვის. კომპანია აფასებს ECL-ს და აღიარებს ფინანსურ და სახელშეკრულებო აქტივებზე გაუფასურების წმინდა ზარალს ყოველი საანგარიშო თარიღისთვის. ECL-ის გაზომვა ასახავს: (i) მიუკერძოებულ და ალბათობით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება რამდენიმე შესაძლო შედეგის შეფასებით, (ii) ფულის ღირებულებას დროში და (iii) ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

AC-ით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტები და კონტრაქტის აქტივები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ECL-ის რეზერვის გარეშე. სასესხო ვალდებულებებისთვის, ECL-ის ცალკე რეზერვი აღიარებულია როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. FVOCI-ით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის ამორტიზებული ღირებულების ცვლილებები, ECL-ის რეზერვის გამოკლებით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ხოლო სხვა ცვლილებები საბალანსო ღირებულებით აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI), როგორც მოგება, სავალო ინსტრუმენტებიდან მიღებული ზარალის გამოკლებით, FVOCI-ის მიხედვით.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას, რომელიც ითვალისწინებს გამოყენების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვს სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის და ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისთვის.

კომპანია, გაცემული სესხების შემთხვევაში, იყენებს გაუფასურების სამეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარებიდან. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის კრედიტით გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1-ელ სტადიაზე. 1-ელ სტადიაზე ფინანსური აქტივების ECL შეფასებულია იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება გამოყენების განმავლობაში დეფოლტის ისეთი მოვლენებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომლებიც შესაძლებელია წარმოიქმნას მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე, თუ უფრო მოკლეა („12-თვიანი ECL“). თუ კომპანია აღმოაჩენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას (“SICR”) თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადადის მე-2 სტადიაზე და ხდება მისი ECL-ის შეფასება, როგორც ECL გამოყენების მთელი პერიოდისთვის, ანუ სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე, მაგრამ მოსალოდნელი გადახდების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („Lifetime ECL“). თუ კომპანია დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი არის კრედიტით გაუფასურებული, აქტივი გადადის მე-3 სტადიაზე და მისი ECL ფასდება, როგორც ECL გამოყენების მთელი პერიოდისთვის (Lifetime ECL). საკრედიტო გაუფასურებით შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივებისთვის („POCI აქტივები“), ECL ყოველთვის ფასდება, როგორც ECL გამოყენების მთელი პერიოდისთვის (Lifetime ECL). 25-ე შენიშვნა შეიცავს ინფორმაციას ECL-ის გაზომვისას გამოყენებული საწყისი მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის ახსნა-განმარტებას, თუ კომპანიის მიერ როგორ არის ჩართული მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაცია ECL-ის მოდელში.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ აღდგენის გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ინდიკატორები იმის შესახებ, რომ აღდგენის გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს, შეიძლება იყოს, მათ შორის, მოვალის მიერ კომპანიასთან არსებული დაფარვის გეგმაში მონაწილეობის შეწყვეტა და სახელშეკრულებო გადასახდელების შეუსრულებლობა ვადაგადაცილებით 360 დღეზე მეტად. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო მოქმედებას, როდესაც კომპანია ცდილობს ამოიღოს ხელშეკრულების საფუძველზე კუთვნილი თანხები, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების გაუქმება. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად იწურება ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადო გადაცემის კვალიფიციური შეთანხმება, ამავდროულად (i) ასევე გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) არ გადაუცია და შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და

სარგებელი, მაგრამ ვერ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვის დამატებითი შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - გაზომვის კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც AC-ით გაზომილი.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მათი დაფარვისას (ე.ი. როცა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან მისი ვადა ამოწურულია).

ვალდებულებების მოდიფიკაციები, რომლებიც არ იწვევს მათ დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, დაგროვების მეთოდით, მოგება-ზარალში აღიარებული ნებისმიერი მოგებით ან ზარალით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულების ეკონომიკური სხვაობა მიეკუთვნება კაპიტალთან დაკავშირებულ მესაკუთრეებთან გარიგებას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა ურთიერთჩათვლა და წმინდა თანხის ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერად აღსრულებადი უფლება, ან არსებობს სურვილი, რათა განხორციელდეს ანგარიშსწორება ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ასეთ ჩათვლაზე უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად უნდა იყოს აღსრულებადი ყველა შემდეგ გარემოებაში: (i) ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადაა 3 თვე ან ნაკლები. ფულადი სახსრები და ექვივალენტები აისახება AC-ით შემდეგის გამო: (i) ტესტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი შეტანილია სახელშეკრულებო პირობებში ისეთნაირად, რომ ეს ფუნქცია მოქმედებდეს მაშინაც კი, თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ მიეკუთვნება FVTPL-ით განსაზღვრას. მხოლოდ კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციები, როგორიცაა გარკვეულ ქვეყნებში გირაოს შეფარდების შესახებ კანონმდებლობა, გავლენას არ ახდენს SPPI ტესტზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეტანილია სახელშეკრულებო პირობებში ისეთნაირად, რომ ეს ფუნქცია მოქმედებდეს მაშინაც კი, თუ კანონმდებლობა შემდგომში შეიცვლება. ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდეგ აისახება AC-ით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება დარიცხულია, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებს, და აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება AC-ით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, გარიგების ფარგლებში გაწეული ხარჯების გამოკლებით და შემდგომ აღირიცხება AC-ით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარით აღებული ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის მთელ რიგ საიჯარო ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია გაგრძელებისა და შეწყვეტის ვარიანტები. ეს ტერმინები გამოიყენება ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით,

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელებისა და შეწყვეტის ვარიანტების უმეტესობას ახორციელებს მხოლოდ კომპანია და არა შესაბამისი გამქირავებელი. გაგრძელების ვარიანტები (ან პერიოდი შეწყვეტის ვარიანტების შემდეგ) მხოლოდ მაშინ შედის საიჯარო ვადაში, თუ საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელდება (ან არ წყდება). საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად გაგრძელების გარკვეული ვარიანტების მიხედვით, ასევე შედის ვალდებულების შეფასებაში.

საიჯარო გადახდები ექვემდებარება დისკონტირებას იჯარის ფარგლებში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება, რაც ჩვეულებრივ ხდება კომპანიის იჯარის შემთხვევაში, გამოიყენება კომპანიის სესხის ნაზარდი საპროცენტო განაკვეთი, ანუ განაკვეთი, რომელიც კომპანიას უნდა გადაეხადა, რათა ესესხა სახსრები, აუცილებელი ისეთი აქტივის შესაძენად, რომლის ღირებულება გამოყენების უფლების მქონე აქტივის ღირებულების მსგავსია, მსგავს ეკონომიკურ გარემოში მსგავსი ვადებით, გირაოთი და პირობებით.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირითად და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში, რათა მიღებულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული პერიოდის ვალდებულების დარჩენილი ნაშთისთვის.

მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის დასადგენად, კომპანია იყენებს მესამე მხარის დაფინანსების ბოლოდროინდელ განაკვეთს, რომელსაც ავრცელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან და მცირე ღირებულების აქტივების ყველა იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია ხაზოვან საფუძველზე ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარების ვადა განისაზღვრება 12 თვით ან ნაკლები ვადით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია არის მეიჯარე იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც არ გადასცემს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს მოიჯარეზე (მაგ., საოპერაციო იჯარა), საოპერაციო იჯარის საფუძველზე საიჯარო გადახდები აღიარებულია, როგორც სხვა შემოსავალი, ხაზოვანი შეფასების თანახმად.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები მენეჯმენტის მიერ ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც მენეჯმენტის თვალსაზრისით, დიდი ალბათობით, გამოიწვევს დამატებით გადასახადებს, თუ საგადასახადო ორგანოები გაასაჩივრებენ ამგვარ პოზიციებს. შეფასება ემყარება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, და ნებისმიერ ცნობილ სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებას ამ საკითხებზე. მოგების გარდა, ჯარიმებზე, პროცენტებსა და გადასახადებზე ვალდებულებები აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო ხარჯების მენეჯმენტის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების შესწორებები აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გამავალი დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის უნდა იქნეს გადახდილი, მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. შემავალი დღგ ჩვეულებრივ ანაზღაურდება გამავალი დღგ-სგან ინვოისის მიღების შემდეგ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის ძირითადი წყარო ან შემოსავალი, კერძოდ, ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტის რეალიზაცია, განთავისუფლებულია გამავალი დღგ-სგან, შემავალი დღგ-ს ამოღების უფლების შენარჩუნებით. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ნეტო-საფუძველზე და განმარტებულია, როგორც აქტივი და ვალდებულება. საგადასახადო ორგანოებისგან ნებადართულია დღგ-ს გადახდა ნეტო-საფუძველზე. შემავალი დღგ, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების, საწარმოო საშუალებები (მცენარეების) და აღჭურვილობის შეძენასთან, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე ვადით იმ პირებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აღემატება 20%-ს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოცემულია ფინანსურ ანგარიშში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ იქნება განაწილებული ან ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით გადაიხდევინება მთლიანი ღირებულების საფუძველზე (ანუ წმინდა დივიდენდები დაირიცხება 5%-იანი გადასახადის დაკავებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და იყოფა 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები გადასახადისაგან გათავისუფლებულია.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილი მოგებიდან დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადს მთლიანი ღირებულებით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, გამოანგარიშებული, როგორც დეკლარირებული და გადახდილი დასაბეგრი მოგების პროცენტული წილი, ამავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. ამასთან, გადასახადის კრედიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებისას დარიცხულ ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის რეალური თარიღისა და დივიდენდების გადახდის პერიოდისა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ ექვემდებარება გადახდას იმ ხარჯებიდან ან სხვა გადასახადებიდან, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ ორგანიზაციებთან გარკვეული გარიგებები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, იმ საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, რომლებიც გაცხადებულია აქტივებსა და მომსახურებაზე, მიღებულზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის გადახდილი ავანსების ან ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხების დაბრუნების სანაცვლოდ, ასახულია გადასახადების ნაწილში, გარდა ოპერაციული ხარჯების ფარგლებში მიღებული შემოსავლისა.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია. მოსავლის აღებისთანავე, პომიდორი და კიტრი ჩაირთვება გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში და თავდაპირველად ისინი ფასდება რეალური ღირებულებით, მოსავლის აღების დროს საპროგნოზო ხარჯების გამოკლებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების ცვლილებიდან მიღებული მოგება აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო-მატერიალური აქტივების ცვლილებებში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ღირებულება მოსავლის აღების ეტაპზე განისაზღვრება ბოლო გარიგებების საბაზრო ფასების საფუძველზე და კლასიფიცირებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონეზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის ღირებულება მოსავლის აღების ეტაპზე განისაზღვრება გაწეული რეალური ხარჯების საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური აქტივები. სასაქონლო-მატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უფრო ნაკლები ოდენობის მიხედვით. სასაქონლო-მატერიალური აქტივების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მნიშვნელობის საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს

სავარაუდო გასაყიდ ფასს ბიზნესის ჩვეულებრივი გზით წარმოებისას, სამუშაოების დასრულების საპროგნოზო თვითღირებულებისა და გაყიდვის საპროგნოზო ხარჯების გამოკლებით. ბიოლოგიური აქტივებიდან გადაცემული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება არის მისი რეალური ღირებულება, გამოკლებული მოსავლის აღების ეტაპზე გასაყიდად გაწეული ხარჯები.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება, სავარაუდოდ, მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, მას შემდეგ რაც კომპანია მიიღებს კონტროლს აქტივზე, და სავარაუდოა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული წინასწარი გადახდების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. გაცხადებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, მფლობელობის ცვლილებები და ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ნაჩვენებია საკუთარ კაპიტალში, როგორც ამონაგებიდან გამოკლებული თანხა, გადასახადების გარეშე. გამოშვებული აქციების რეალური ღირებულების ანაზღაურებიდან გამომდინარე, ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით, მიღებული ზედმეტი თანხის აღიარება ხდება საკუთარ კაპიტალში საემისიო პრემიის სახით.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი წარმოადგეს შემოსავალს, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის განმავლობაში. შემოსავალი აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომელსაც კომპანია ელოდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარის სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებით.

საქონლის გაყიდვები. გაყიდვების აღიარება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, როდესაც საქონელს მომხმარებელს აწვდიან, მომხმარებელს აქვს სრული უფლებამოსილება საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რომელიც გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებლის მიერ ხორციელდება საქონლის წაღება კომპანიის საწყობიდან, მომხმარებელს გადაეცემა მორალური მოძველებისა და დაკარგვის რისკები, ან მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების წესებს გასდის ვადა, ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ საქონლის მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

დაფინანსების არცერთი ელემენტი არ მიიჩნევა მიმდინარედ, რადგან გაყიდვები ხორციელდება 45 დღის საკრედიტო ვადით, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

დებიტორული დავალიანება აღიარებულია საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის ის მომენტი, როდესაც ანაზღაურება ხდება უპირობოდ, ვინაიდან გადახდისთვის საჭიროა მხოლოდ გადახდის დრო.

დაქირავებული მუშახელის სარგებელი. ყოველკვირეული (საათობრივი) ხელფასების, ყოველთვიური ხელფასების, პრემიებისა და არაფულადი ბენეფიტების (როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვისა და სატრანსპორტო მომსახურება) დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მასთან დაკავშირებული მომსახურებები გაწეულია კომპანიის დაქირავებული მუშახელისთვის. კომპანიას არ აქვს იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება პენსიის ან მსგავსი ბენეფიტების გადახდაზე.

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები. კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს: საპროცენტო შემოსავალსა და ხარჯებს კრედიტებსა და სესხებზე საკურსო სხვაობიდან მიღებული შესაბამისი მოგებითა და ზარალით, საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯებს. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების ცვლილება გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოქვეყნების შემდეგ ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს დამტკიცებას კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან, რომელმაც ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის უფლება გასცა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები განუწყვეტლივ ფასდება და ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც, ამ ვითარებაში, გონივრულად მიიჩნევა. მენეჯმენტი ასევე გამოიყენებს გარკვეულ განსჯებს, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებების გარდა. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და შეფასებებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პროფესიული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

საქმიანობის უწყვეტობა. კომპანიამ მიიღო 241 ათასი ლარის ოდენობის ზარალი ძირითადი საქმიანობიდან 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2021 წელი: 2,109 ათასი ლარის ზარალი). კომპანიის საქმიანობა და ფინანსური ლიკვიდურობა დამოკიდებული იქნება კომპანიის მფლობელის მხრიდან მხარდაჭერაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მსგავსი მხარდაჭერა საშუალებას მისცემს კომპანიას გააგრძელოს თავისი საქმიანობა უახლოეს მომავალში ოპერაციების მნიშვნელოვნად შემცირების გარეშე. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 27-ე შენიშვნა. ასევე, კომპანიის მენეჯმენტს აქვს ოპერაციული შედეგების გაუმჯობესების კონკრეტული გეგმები: კომპანია გეგმავს ენერგიის დანახარჯების შემცირებას ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მუდმივი პროვაიდერების ალტერნატიული მიმწოდებლით ჩანაცვლებით. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის პროექტი აქტიურ ფაზაშია და 2023 წლის აგვისტოს ბოლოს დასრულდება. შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შედის რაიმე კორექტირება, რომელიც ეხება აღრიცხული აქტივის თანხების ანაზღაურებასა და კლასიფიკაციას და ვალდებულებების კლასიფიკაციას, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აღარ შეეძლება საქმიანობის გაგრძელება.

დაკავშირებული მხარის გარიგების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის ჩვეულებრივ პროცესში კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებების ფასი მიღებული საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთით, სადაც ასეთი გარიგებების აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯის საფუძველია მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასწარმოქმნა დაუკავშირებელ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარის ნაშთების ვადები და პირობები მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვეთა. საიჯარო ვადის დადგენისას მენეჯმენტი განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ვარიანტის გამოყენებისათვის. გაგრძელების ვარიანტები შეიტანება საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელდება (ან არ წყდება).

გაგრძელებისა და შეწყვეტის ვარიანტები. გაგრძელების და შეწყვეტის ვარიანტები შედის ოფისის იჯარაში. ეს გამოიყენება მაქსიმალური საოპერაციო მოქნილობისთვის, კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით.

საიჯარო ვადის დადგენისას, მენეჯმენტი განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ვარიანტის გამოყენებისათვის. გაგრძელების ვარიანტი შეიტანება საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი რწმენა, რომ საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელდება.

ქონების, საწარმოო საშუალებების (მცენარეები) და აღჭურვილობის სასარგებლო გამოყენების ვადები. ქონების, საწარმოო საშუალებებისა (მცენარეების) და აღჭურვილობის სასარგებლო გამოყენების ვადების შეფასება ექვემდებარება განსჯას მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, მოხმარდება მათი გამოყენების პროცესში. ამასთან, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური თუ კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში არსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ადგენს დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა იმ სავარაუდო პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანს კომპანიას. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამებზე; და (გ) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება, რომელიც წარმოიქმნება საბაზრო პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე.

თუ საპროგნოზო სასარგებლო გამოყენების ვადა 10%-ით იქნება განსხვავებული მენეჯმენტის შეფასებისგან, ამორტიზაციაზე გავლენა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამოიხატება მისი გაზრდით/შემცირებით 190 ათასი ლარით (2021 წელი: 190 ათასი ლარი).

საიჯარო ვალდებულებების დასადგენად გამოყენებული დისკონტის განაკვეთი. კომპანია იყენებს სესხის პროცენტს, საბაზრო განაკვეთის საფუძველზე, როგორც დისკონტის განაკვეთის გაანგარიშების საფუძველს იმის გამო, რომ იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება.

დისკონტის განაკვეთის 10%-ით გაზრდა ან შემცირება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის გაზრდის ან შეამცირებს საიჯარო ვალდებულებას 1 ათასი ლარით (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 ათასი ლარი).

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციები მიღება

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებები:

ამონაგები დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები, კონცეპტუალური ჩარჩოს მითითება - ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში შეტანილი ვიწრო დიაპაზონის ცვლილებები და ფასს-ის 2018-2020 წლიური გაუმჯობესება - ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში შეტანილი შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან).

- ბასს 16-ში ცვლილება უკრძალავს საწარმოს, რომ ძირითადი საშუალების (PPE) ერთეულის ღირებულებას გამოაკლდეს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული თანხა, როდესაც საწარმო ამზადებს ამ აქტივს დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ამგვარი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულებაში არ შევა ტესტირებადი აქტივის ამორტიზაცია, რადგან ის არ არის მზად მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ბასს 16-ში შესწორებით ასევე განმარტებულია, რომ ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლების შეფასებისას, საწარმო „ამოწმებს, რამდენად სწორად მუშაობს აქტივი". აქტივის ფინანსურ მაჩვენებლებს მნიშვნელობა არ აქვს ამ შეფასებისთვის. ამიტომ, აქტივს შეუძლია იმუშაოს, მენეჯმენტის მიერ განზრახული დანიშნულებისამებრ, და ექვემდებარება ამორტიზაციას, სანამ მიაღწევს მუშაობის იმ დონეს, რასაც მენეჯმენტი ელის.

- ბასს 37-ში შესწორება განმარტავს ტერმინს "ხელშეკრულების შესრულების ხარჯები". შესწორებით განმარტებულია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს და სხვა ხარჯების

განაწილებას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორებით ასევე განმარტებულია, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკეული დებულების შექმნამდე, საწარმო აცნობიერებს გაუფასურების ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების შესრულებისათვის გამოყენებულ აქტივებზე და არა აქტივებზე, რომელიც მიეკუთვნება ხელშეკრულებას.

- ფასს 3-ში შეტანილ იქნა შესწორება, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე მითითების მიზნით, რათა განსაზღვრულიყო, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის გაერთიანებისას. შეტანილ შესწორებამდე, ფასს 3-ში იყო მითითება 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე. ამასთან, ფასს 3-ს დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებისათვის. გამონაკლისის თანახმად, ზოგიერთი სახის ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისათვის, იურიდიული პირი, რომელიც გამოიყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ბასს 37-ს ან IFRIC-21-ს (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის მითითება), 2018 წლის კონცეპტუალური ჩარჩოს ნაცვლად. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმო აღიარებდა ზოგიერთ ისეთ ვალდებულებას ბიზნესის გაერთიანებისას, რომლებსაც არ აღიარებდა ბასს 37-ს შესაბამისად. შესაბამისად, შეძენისთანავე, საწარმოს მოუწევდა ისეთი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და იმ მოგების აღიარება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებულია, რომ შემძენს არ ესაჭიროება პირობითი აქტივების აღიარება, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

- ფასს 9-ში შეტანილი შესწორება განსაზღვრავს, თუ რომელი მოსაკრებლები უნდა იქნეს შეტანილი 10%-იან ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მიზნით. ხარჯები ან საფასური შეიძლება გადახდილი იქნეს მესამე მხარეებსა თუ გამსესხებლებისთვის. შესწორების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან საფასური არ შევა 10% -იან ტესტში.

- ფასს 16-ს თანდართულ საილუსტრაციო მე-13 მაგალითში შეტანილი იქნა ცვლილებები, რათა ამოღებულ იქნეს მეიჯარისგან გადახდების ილუსტრაცია, რომელიც ეხება იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებას. შესწორების მიზეზი არის საიჯარო შეღავათების განმარტებასთან დაკავშირებით შესაძლო დაბნეულობის აღმოფხვრა.

- ფასს 1 გადასახადისაგან განთავისუფლების საშუალებას იძლევა, თუ შვილობილი კომპანია მიიღებს ფასს სტანდარტს მის მშობელზე უფრო გვიან. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნებოდა მშობლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობლის ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის მიხედვით, თუ ადგილი არ ჰქონია საკონსოლიდაციო პროცედურების კორექტირებასა და გავლენას ბიზნესის გაერთიანებაზე, მშობლის მიერ შვილობილი კომპანიის შეძენისას. ფასს 1-ში შეტანილ იქნა ცვლილებები, რათა საშუალება მიეცეთ იურიდიულ პირებს, რომლებმაც ისარგებლეს ფასს 1-ის ამ გათავისუფლებით, ასევე შეაფასონ დაგროვილი გაცვლითი სხვაობები მშობელი კომპანიის მიერ ანგარიშგებაში მითითებული თანხების საფუძველზე, მშობელი კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღზე დაყრდნობით. ფასს 1-ში შეტანილი შესწორებები ავრცელებს ზემოხსენებულ გათავისუფლებას დაგროვილ გადათვლის სხვაობებზეც, რათა შემცირდეს ხარჯები იმ პირებისთვის, რომლებიც პირველად გამოიყენებენ სტანდარტს. შესწორება ასევე შეეხება ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს ფასს 1-ის იგივე გათავისუფლებით.

- მოთხოვნა იურიდიული პირების მიმართ, რომ გამორიცხონ საგადასახადო ფულადი ნაკადები, ბასს 41-ის შესაბამისად რეალური ღირებულების შეფასებისას, ამოღებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს გადასახადების გადახდის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანას.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ზემოთ, კომპანია არ ელის ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი დებულებები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის ან შემდგომ და რომლებიც კომპანიას ადრე არ მიუღია.

გადადებული გადასახადი, დაკავშირებული ერთჯერადი გარიგებიდან გამომდინარე აქტივებსა და ვალდებულებებთან - ბასს 12-ში შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 12-ში შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ გარიგებებზე, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და მოქმედების შეწყვეტის ვალდებულებები. გარკვეულ გარემოებებში, იურიდიული პირები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. ადრე არსებობდა გარკვეული გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხება თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და მოქმედების შეწყვეტის ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. შესწორებები განმარტავს, რომ გათავისუფლება არ გამოიყენება, და ბიზნესი ვალდებულია აღიაროს გადავადებული გადასახადი ამგვარ გარიგებებთან დაკავშირებით. შესწორების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ ოდენობას. კომპანია არ ელის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომი შესწორებებით 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ამ ვიწრო მასშტაბის ცვლილებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი, საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადადოს ანგარიშსწორება, როგორც მინიმუმ, თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ასეთი უფლება იყოს უპირობა. მენეჯმენტის მოლოდინი იმის შესახებ, გამოიყენებს თუ არა შემდგომში გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო საანგარიშო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს ყველა შესაბამის პირობას. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დაირღვა საანგარიშო თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარი მიღებულია კრედიტორისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის პირობა დაირღვა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს იმ სესხის კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას, რომლის დაფარვაც კომპანიამ შეიძლება განახორციელოს საკუთარ კაპიტალში კონვერტირებით. ”ანგარიშსწორება” განისაზღვრება, როგორც ვალდებულების შესრულებისთვის ანგარიშსწორება ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც შეიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. გამონაკლისი არის კონვერტირებადი ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს საკუთარ კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფცია კლასიფიცირებულია როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - ბასს 1-ში შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 1-ში შევიდა შესწორება ვალდებულებების, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი, კლასიფიკაციის შესახებ, რომელიც გამოიცა 2020 წლის იანვარში, ძალაში შესვლის თავდაპირველი თარიღით 2022 წლის 1 იანვრიდან. თუმცა COVID-19-ის პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი ერთი წლით გადავადდა, რათა

კომპანიებს უფრო მეტი დრო მისცემოდათ, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებიდან გამომდინარე, კლასიფიკაციაში ცვლილებების შესატანად. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 8-ში შეტანილი შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 8-ში შესწორებით განიმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ რეკომენდაციებში შეტანილი ცვლილებები 2: სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ბასს 1-ში შევიდა შესწორებები, რომლითაც კომპანიებს მოეთხოვება თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციის გამჟღავნება, და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია, როგორც მოსალოდნელია, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ისეთი ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არაარსებითი ინფორმაციის გასაჯაროვება არ არის საჭირო. თუმცა, თუ მაინც მოხდა მისი გამჟღავნება, ამით არ უნდა გაართულოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციის გაგება. ამ შესწორების მხარდასაჭერად, IFRS-ის პრაქტიკულ რეკომენდაციებში 2, „არსებითი გადაწყვეტილებების მიღება“, ასევე შეტანილ იქნა შესწორებები სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველსაყოფად, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 „დაზღვევის ხელშეკრულებები“ (გაცემული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). ფასს17 შეცვლის ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებს გაუჭირდათ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დამყარებული სტანდარტი ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის, მზღვეველის მიერ დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) რისკის მიხედვით შესწორებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით (განხორციელებული ფულადი ნაკადი), რაც მოიცავს განხორციელებული ფულადი ნაკადების შესახებ ყველა არსებულ ინფორმაციას, რომელიც ემყარება ბაზარზე არსებულ ინფორმაციას; პლუს (თუ ეს მნიშვნელობა წარმოადგენს ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს მნიშვნელობა წარმოადგენს აქტივს), (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველი აღიარებს მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფს სადაზღვევო დაფარვას და რისკისგან განთავისუფლებას. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან ხდება წამგებიანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17-ში და ფასს 4-ში შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევო წლიური პერიოდებიდან). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებას, რომლებიც მიზნად ისახავს ფასს 17-ის შესრულების გამარტივებას, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნის გამარტივებას და გადაქმნას. შესწორებები ეხება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლისთვის. ფასს 17-ში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი*: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (შესწორებებით) გადატანილია

ორი წლის ვადით 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების განსაზღვრული ვადის ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის.

- *დაზღვევის შეძენისგან ფულადი სახსრების ნაკადის სავარაუდო ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება, შესყიდვის ხარჯების ნაწილის განაწილება შესაბამისი მოსალოდნელი ხელშეკრულების განახლებაზე, და ეს ხარჯები აღიარებულ უნდა იქნეს როგორც აქტივი, სანამ საწარმო არ ცნობს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოს მოეთხოვება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადობა და უზრუნველყოს კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, მიკუთვნილი საინვესტიციო მომსახურებას*: უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები, როგორც გადახდების რაოდენობის, ისე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, ცვლადი ანაზღაურების მეთოდის გამოყენებით დადებული ხელშეკრულებებისთვის და ზოგადი მოდელის შესაბამისად "ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" მქონე სხვა ხელშეკრულებებისთვის. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა მოიცავდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი სახსრების ნაკადებს, რამდენადაც საწარმო ახორციელებს ამ საქმიანობებს დამზღვევისათვის სადაზღვევო დაფარვიდან სარგებელის გაზრდის მიზნით.

- *დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება*: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დამამძიმებელი ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან თუ ჯგუფს დაემატება ძირითადი დამამძიმებელი ხელშეკრულებები, საწარმომ უნდა შეცვალოს დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა და აღიაროს ამონაგები დადებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. დადებული გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებადი ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ზარალისა და ძირითადი სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში იმ მოთხოვნების პროცენტული ოდენობის, რომელთა ანაზღაურებასაც საწარმო ელის დადებული გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, გამრავლებით. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადებული გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების ფარგლებში ზარალის აღიარებამდე ან იმავე დროს.

- *სხვა შესწორებები*: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) ხელშეკრულების და ზოგიერთი სესხის ხელშეკრულების მოქმედების სფეროდან გამონაკლისს; სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პორტფელებში და არა ჯგუფებში; რისკის შერბილების ოფციის გამოყენებას ფინანსური რისკების შესამსუბუქებლად, დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით გამოყენებით მოგების ან ზარალის მეშვეობით; ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებების შესაცვლელად, ფასს 17-ის გამოყენებისას; მოგების გადასახადის გადახდებისა და იმ შენატანების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს სპეციალურად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორციელებულ ფულად ნაკადებში; და შერჩეულ გარდამავალ შეღავათებსა და სხვა მცირე ცვლილებებს.

კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარდამავალი ვარიანტი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – შესწორებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან).

ფასს 17-ში გარდამავალი მოთხოვნების ცვლილება მზღვეველებს აძლევს შესაძლებლობას, რომელიც მიმართულია ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ ინვესტორებისთვის განკუთვნილი

ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესებაზე. შესწორება ეხება მხოლოდ მზღვეველების გადასვლას ფასს 17-ზე და არ ახდენს გავლენას ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გარდამავალი მოთხოვნები ვრცელდება სხვადასხვა თარიღებზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად საკლასიფიკაციო განსხვავებებს შედარებით ინფორმაციაში, რომელიც წარმოდგენილია ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობა; ხოლო საწარმოს მიერ ფასს 9-ის შედარებითი ინფორმაციის გადათვლის შერჩევისას, საკლასიფიკაციო განსხვავებები შედარებით პერიოდში აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა (რომელთა მიმართებაში ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომელთა მიმართებაში გამოიყენება ფასს 9). შესწორება დაეხმარება მზღვეველებს აირიდონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესებს შედარებითი ინფორმაციის სარგებლიანობას ინვესტორებისთვის. ეს შესაძლებელია მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება გამოიყენონ კლასიფიკაცია ისეთი ფინანსური აქტივის მიმართებაში, რომელზეც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. გარდამავალი ვარიანტი ხელმისაწვდომი იქნება თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე-ცალკე, რაც საშუალებას აძლევს საწარმოს წარმოადგინოს შედარებითი ინფორმაცია ისეთნაირად, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები იყო გამოყენებული ამ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში, მაგრამ არ მოითხოვს, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და მოითხოვს საწარმოსგან, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივთან მიმართებაში ამ კლასიფიკაციას, გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გარდამავალი თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორც აპირებს საწარმო ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვისას და უკუიჯარა (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მომდევნო წლიური პერიოდებიდან). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის გარიგებებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის დროს აღრიცხვის შესახებ. შესწორებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ თანმიმდევრულად შეაფასონ ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგების შედეგად, და ისე, რომ არ მოხდეს რაიმე მოგების ან ზარალის აღიარება, რომელიც დაკავშირებულია შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს გულისხმობს ასეთი მოგების გადადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულებას წარმოადგენს ცვლადი გადახდების განხორციელება, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ზემოთ, არ არის მოსალოდნელი ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. ყოველი შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ პომიდვრისა და კიტრის გაყიდვამ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირისთვის (შპს „საქართველოს აგრო სახლი“) შეადგინა 15,930 ათასი ლარი (2021 წელი: 14,927 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან არსებულმა დავალიანების ნაშთმა შეადგინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტისგან (შპს „საქართველოს

აგრო სახლი“) 1,486 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 2,518 ათასი ლარი), რაც ანაზღაურდება გაყიდვის თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დავალიანების ნაშთები მოიცავს საიჯარო ვალდებულებებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტისგან (შპს „ჯეოაგრო“) 46 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 101 ათასი ლარი), საიჯარო ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის ბოლოს. წლის განმავლობაში საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებით აღიარებულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 6 ათასი ლარი (2021 წელი: 10 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბერს, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტებისთვის გაცემული სესხების დაუფარავი ნაშთი (მე-11 შენიშვნა) შეადგენდა 42 ათას ლარს (2021 წელი: 0 ათასი ლარი), შესაბამისი საპროცენტო შემოსავლით 4 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 0 ათასი ლარი), რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

2022 წლის 31 დეკემბერს, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტებისგან მიღებული ნასესხები სახსრების დაუფარავი ნაშთი (მე-16 შენიშვნა) შეადგენდა 2,575 ათას ლარს (2021 წელი: 1,726 ათასი ლარი), შესაბამისი საპროცენტო ხარჯით 144 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 100 ათასი ლარი), რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

7 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ძირითადი მენეჯმენტის კომპენსაცია. ძირითადი მენეჯმენტის შემადგენლობაში შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, წარმოების უფროსი და მთავარი აგრონომი. სრული შემოსავლის ანგარიშში შეტანილი ძირითადი მენეჯმენტის ხელფასები და მოკლევადიანი პრემიები შეადგენდა 348 ათას ლარს (2021 წელი: 314 ათასი ლარი). მოკლევადიანი პრემიები მთლიანად ექვემდებარება გადახდას იმ პერიოდის დასრულებიდან, როდესაც მენეჯმენტმა გასწია შესაბამისი მომსახურება, თორმეტი თვის განმავლობაში.

8 ქონება, საწარმოო საშუალებები (მცენარეები) და აღჭურვილობა

ცვლილებები ქონების, საწარმოო საშუალებებისა (მცენარეების) და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

ათასობით ქართულ ლარში	მიწა	შენობები და სათბურები	მცენარეები და აღჭურვილობა	CIP*	სულ
ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	2,521	39,662	7,093	1,124	50,400
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(1,701)	(32,708)	(5,284)	(789)	(40,482)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	**820**	**6,954**	**1,809**	**335**	**9,918**
დამატებები	-	-	-	904	904
გადარიცხვები	-	239	201	(440)	-
განკარგვა	-	(141)	(30)	(114)	(285)
ამორტიზაციის გამოქვითვები	-	(1,459)	(427)	-	(1,886)
ლიკვიდაცია განკარგვისას	-	84	22	-	106
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**820**	**5,677**	**1,575**	**685**	**8,757**
ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	2,521	39,760	7,264	1,474	51,019
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(1,701)	(34,083)	(5,689)	(789)	(42,262)

ათასობით ქართულ ლარში	მიწა	შენობები და სათბურები	მცენარეები და აღჭურვილობა	CIP*	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**820**	**5,677**	**1,575**	**685**	**8,757**
დამატებები	-	-	129	712	841
გადარიცხვები	-	8	96	(104)	-
განკარგვა	-	-	(15)	(169)	(184)
ამორტიზაციის გამოქვითვები	-	(1,490)	(395)	-	(1,885)
ლიკვიდაცია განკარგვისას	-	-	15	-	15
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**820**	**4,195**	**1,405**	**1,124**	**7,544**
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	2,521	39,768	7,474	1,913	51,676
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(1,701)	(35,573)	(6,069)	(789)	(44,132)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**820**	**4,195**	**1,405**	**1,124**	**7,544**

(*) CIP – მშენებლობა მიმდინარეობს

მცენარეთა და აღჭურვილობის ზემოაღნიშნულ საბალანსო ღირებულებაში შედის 657 ათასი ლარის სრულად ამორტიზებული ნივთები (2021 წელი: 455 ათასი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბერს შემდეგი აქტივები: შენობები და სათბურები 5,654 ლარი, მიწის ნაკვეთი 820 ათასი ლარი, მცენარეები და აღჭურვილობა, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 411 ათასი ლარი იყო დაგირავებული ბანკში სესხის უზრუნველსაყოფად გირაოს სახით. 2022 წლის 31 დეკემბერს ქონების, მცენარეებისა და აღჭურვილობის ერცერთი ერთეული არ არის დაგირავებული. იხილეთ მე-16 შენიშვნა.

9 გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ოფისს. საიჯარო ხელშეკრულება, როგორც წესი, დგება ფიქსირებულ პერიოდებზე, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს გაგრძელების ვარიანტები, როგორც აღწერილია ქვემოთ.

ათას ქართულ ლარში	შენობები
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	**117**
ამორტიზაციის გამოქვითვა	39
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**78**
ამორტიზაციის გამოქვითვა	39
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**39**

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები აღიარა შემდეგნაირად:

ათასობით ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	46	49
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	52

სულ იჯარის ვალდებულებები	**46**	**101**

საპროცენტო ხარჯი, დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებებთან, იყო 6 ათასი ლარი (2021 წელი: 10 ათასი ლარი). იჯარებისთვის ფულადი სახსრების გადინებამ 2022 წელს შეადგინა 52 ათასი ლარი (2021 წელი: 57 ათასი ლარი). დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ მე-17 შენიშვნა.

10 სასაქონლო-მატერიალური აქტივები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნედლეული	1,611	1,462
მიმდინარე მუშაობა	73	79
სოფლის მეურნეობის პროდუქტები	38	49
სხვა	28	24
სულ სასაქონლო-მატერიალური აქტივები	**1,750**	**1,614**

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის განვითარება და შემდგომი რეალიზაცია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ხორციელდება წელიწადში 2-3-ჯერ - კიტრისთვის და წელიწადში ერთხელ - პომიდვრისთვის და, შესაბამისად, დაახლოებით 1-2 თვე და 2-3 თვე საჭიროა მოსავლის მიღებამდე.

2022 წელს კომპანიამ 4,826 ტონა პომიდორი, კიტრი და წიწაკა მოიყვანა (2021 წელი: 5,846 ტონა).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტში ცვლილებები შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2022	2021
სოფლის მეურნეობის პროდუქტი 1 იანვარს	**49**	**97**
რეალური ღირებულებიდან მოგება სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას	15,341	14,470
გაყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება	(15,352)	(14,518)
სოფლის მეურნეობის პროდუქტი 31 დეკემბერს	**38**	**49**

11 გაცემული სესხები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კორპორატიული სესხები	6,653	500
დაკავშირებული მხარის სესხი (მე-7 შენიშვნა)	42	
გამოკლებული: სესხის გაუფასურების რეზერვი	-	-
AC-ით სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება	6,695	500
სესხები FVTPL-ით	-	-

სულ სესხები გაცემული პერიოდის ბოლოსთვის	**6,695**	**500**

კორპორატიული სესხები მოიცავს შპს „ჯორჯიან ალტერნატივ ენერჯი“-ზე (Georgian Alternative Energy LLC) გაცემულ სესხებს 6,653 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 500 ათასი ლარი).

იხილეთ 26-ე შენიშვნა თითოეული კლასის სესხების მოსალოდნელი რეალური ღირებულებისთვის.

სესხების საკრედიტო დანაკარგის რეზერვზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, ECL-ის გაზომვის დეტალები მოცემულია მე-3 შენიშვნაში. საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე საკრედიტო დანაკარგის რეზერვი არ იქნა აღიარებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საკრედიტო ხარისხი 2022 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	1-ლი სტადია (12-თვიანი ECL)	მე-2 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL SICR-ისთვის)	მე-3 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL კრედიტის გაუფასურებისთვის)	POCI	სულ
კორპორატიული სესხები					
- კარგი	6,653	-	-	-	6,653
დაკავშირებული მხარეების სესხები					
- კარგი	42	-	-	-	42
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**6,695**	-	-	-	**6,695**
საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება	**6,695**	**-**	**-**	**-**	**6,695**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საკრედიტო ხარისხი 2021 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	1-ლი სტადია (12-თვიანი ECL)	მე-2 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL SICR-ისთვის)	მე-3 სტადია (მთელი გამოყენების მანძილზე ECL კრედიტის გაუფასურებისთვის)	POCI	სულ
კორპორატიული სესხები					
- კარგი	500	-	-	-	500
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**500**	-	-	-	**500**

საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება	**500**	**-**	**-**	**-**	**500**

12 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,585	2,589
სხვა ფინანსური დავალიანებები	119	119
გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(119)	(119)
მთლიანი ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ფარგლებში	**1,585**	**2,589**
წინასწარ გადახდა სასაქონლო-მატერიალური აქტივების მომწოდებლებზე	4,729	4,528
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**6,314**	**7,117**

საქონლის რეალიზაციიდან მისაღები დებიტორული დავალიანება მოიცავს 1,486 ათას ლარს (2021 წელი: 2,518 ათასი ლარი), საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტის დებიტორულ დავალიანებას (მე-7 შენიშვნა), რომელიც არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არ ყოფილა დენომინირებული აშშ დოლარში (2021 წლის 31 დეკემბერი: ნული ლარი)

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, რომელიც ითვალისწინებს გამოყენების ვადაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის. ECL-ის შეფასებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების მიდგომა, რადგან კომპანიას ჰყავს ერთი მნიშვნელოვანი მომხმარებელი, შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი.

13 სხვა საგადასახადო დავალიანება, ნეტო

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დღგ	7,553	6,641
ხელფასის გადასახადი	(4,040)	(3,297)
ქონების გადასახადი	(2,341)	(2,167)
სხვა გადასახადები	(240)	(231)
სულ სხვა საგადასახადო დავალიანება, ნეტო	**932**	**946**

კომპანიამ 2022 წლის განმავლობაში თხოვნით მიმართა შემოსავლების სამსახურს საქონლისა და

მომსახურების შესყიდვისას ნაღდი ფულის გადახდაზე დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დაბრუნების თაობაზე და წარმატებით დაიბრუნა დღგ 634 ათასი ლარის ოდენობით (2021 წელი: 1,051 ათასი ლარი).

14 ფული და ფულადი ექვივალენტი

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საბანკო ნაშთები, მოთხოვნამდე		
- *დენომინირებული ქართულ ლარში*	306	13
- *დენომინირებული აშშ დოლარში*	9	851
სულ ფული და ფულადი ექვივალენტი	**315**	**864**

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე, 310 ათასი ლარის ოდენობით, განთავსდა Fitch-ის „BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში (2021 წელი: 8 ათასი), ხოლო 5 ათასი ლარი განთავსდა „BB-“-ზე უფრო დაბალი რეიტინგის მქონე ბანკში (2021 წელი: 856 ათასი).

15 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გამოშვებული პერიოდის დასაწყისისთვის, სრულად გადახდილი	27,595,613	25,250,516
გამოშვებული აქციები	1,706,620	2,345,097
გამოშვებული პერიოდის ბოლოსთვის, სრულად გადახდილი	**27,302,233**	**27,595,613**
ნებადართული აქციები - ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარი	**30,000,000**	**30,000,000**

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა 1,706,620 (2021 წელი: 2,345,097) ახალი აქცია და გადასცა შპს Greenhouse Holding-სა და Agroshare B.V.-ს, თითო აქციის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი, ჯამში 1,706 ათასი აშშ დოლარი (2021 წელი: 2,345 ათასი აშშ დოლარი), ექვივალენტი 4,980 ათასი ლარისა (2021 წელი: 7,462 ათასი ლარი). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისი აქციონერების მიერ სრულად იქნა შევსებული ნაღდი თანხით გამოშვებული სააქციო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ლარში აქციების გამოშვების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები და მათ აქვთ ერთი ხმის უფლება თითო აქციაზე კომპანიის კრებებზე.

16 სესხები

ათას ქართულ ლარში	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	გადასახადის ვადის ამოწურვის თარიღი	2022 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2021 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	13.75%	2022	-	2,268
კორპორატიული სესხები	USD	10.00%	2023	2,575	1,726

სულ სესხები 31 დეკემბერს	**2,575**	**3,994**

საბანკო სესხები დენომინირებულია ლარებში, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს კომერციული ბანკის ფიქსირებულ განაკვეთს 3.75% პლუს 7.25% (საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ცვლადი კურსი). 2022 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა 11% შეადგინა.

17 ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შედარება

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ფინანსური საქმიანობის ვალდებულებების ანალიზი და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ცვლილება თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებები ფინანსურად აღრიცხულია ფულადი ნაკადების ანგარიშში:

	ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან		
ათას ქართულ ლარში	**სესხები**	**საიჯარო ვალდებულებები**	**სულ**
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2021 წლის 1 იანვარს	**6,375**	**155**	**6,530**
წლის განმავლობაში დამატებები	1,825	-	1,825
წლის განმავლობაში ანაზღაურება	(4,227)	(47)	(4,274)
პროცენტის დარიცხვა	683	10	693
პროცენტის გადახდა	(581)	(10)	(591)
გაცვლითი კურსის კორექტირება	(81)	(7)	(88)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2021 წლის 31 დეკემბერს	**3,994**	**101**	**4,095**
წლის განმავლობაში დამატებები	1,383	-	**1,383**
წლის განმავლობაში ანაზღაურება	(2,693)	(46)	**(2,739)**
პროცენტის დარიცხვა	226	6	**232**
პროცენტის გადახდა	(136)	(6)	**(142)**
გაცვლითი კურსის კორექტირება	(199)	(9)	**(208)**
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2022 წლის 31 დეკემბერს	**2,575**	**46**	**2,621**

18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დავალიანება კომუნალური მომსახურებისათვის	1,311	1,466
დავალიანება შეძენილი სასაქონლო-მატერიალური აქტივებისთვის	92	77
მთლიანი ფინანსური დავალიანება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ფარგლებში AC-ით	***1,403***	***1,543***
დარიცხული თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	116	113
სულ სხვა კრედიტორული დავალიანება	***116***	***113***
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**1,519**	**1,656**

19 შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან

კომპანიის შემოსავალმა სამომხმარებლო კონტრაქტებიდან შეადგინა 15,976 ათასი ლარი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2021 წელი: 15,086 ათასი ლარი). კომპანიას აქვს ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო, რომელიც აღიარებულია დროის გარკვეულ მონაკვეთში. მისი ერთადერთი, ყველაზე დიდი მომხმარებელი არის შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი.

მსგავსი პროდუქტის ან მომსახურების თითოეული ჯგუფის შემოსავალი შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2022	2021
კიტრის რეალიზაცია	10,165	11,243
პომიდვრის რეალიზაცია	5,620	3,558
სხვა	191	285
სულ შემოსავალი სამომხმარებლო კონტრაქტებიდან	**15,976**	**15,086**

20 სხვა ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2022	2021
სარემონტო და ტექნიკური ხარჯები	226	142
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	183	189
ინფორმაცია, საკონსულტაციო და სხვა პროფ. მომსახურება	139	139
მუშაკთა ტრანსპორტირების ხარჯები	135	129
უსაფრთხოების მომსახურება	81	81
საკანცელარიო და საოფისე ნივთები	74	69
საწვავის ხარჯები	36	25
საკომუნიკაციო ხარჯები	28	22
მივლინებები	23	10
დასაქმებულთა ტრენინგი	16	5
დაზღვევი ხარჯები	6	11
სხვა	157	64
სულ სხვა ხარჯები	**1,104**	**886**

21 ფინანსური შემოსავალი

ათას ქართულ ლარში	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	609	19
სულ ფინანსური შემოსავალი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში	**609**	**19**

22 დაფინანსების ხარჯი

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო ხარჯი		232	693
ზარალი საკურსო სხვაობიდან, გამოკლებული მოგება ნასესხები სახსრებიდან		(208)	(88)
სულ ფინანსური ხარჯი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში		**24**	**605**

23 პირობითი გარემოებები და ვალდებულებები

სამართალწარმოება. დროდადრო და ბიზნესის ჩვეულ პროცესში, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება მიღებულ იქნას საჩივრები. საკუთარი შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, საჩივრებს მოაქვს თუ არა მნიშვნელოვანი ზარალი. 2019 წელს შპს „დონეცკის წყლის ინსტიტუტმა“, შპს „სტაგარ“-ის სახელით (საწყის ეტაპზე სასათბურე მეურნეობის მშენებლობაში ჩართული პირი, რეგისტრირებული საქართველოში), წარადგინა სარჩელი კომპანიის მიმართ 1,317 ათასი ლარის ოდენობით, რომლითაც ითხოვდა გადახდას შპს „სტაგარ“-სა და კომპანიას შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა ამისა, შპს „სტაგარ“-მა მოითხოვა სათბურის განკარგვის უფლების გაყინვა. გაყინვის მოთხოვნა სასამართლომ დაამტკიცა. მეორე მხრივ, 2019 წელს კომპანიამ შეიტანა სარჩელი 1,461 ათასი ლარის ოდენობის მოთხოვნით შპს „სტაგარ“-ისა (რეგისტრირებული საქართველოში) და მისი გარანტორის - შპს „სტაგარ“-ის (რეგისტრირებული უკრაინაში) წინააღმდეგ შპს „სტაგარ“-ის (რეგისტრირებული საქართველოში) მიერ მომსახურების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არანაირი რეზერვი არ იყო გათვალისწინებული, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ არ არის სავარაუდო რაიმე მნიშვნელოვანი ზარალის წარმოშობა.

საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, წინააღმდეგობრივია და განსხვავებული ინტერპრეტაციით იკითხება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოების მიერ არ შეიძლება დაკისრებულ იქნეს რაიმე ვალდებულება დამატებითი გადასახადების ან ჯარიმების სახით მას შემდეგ, რაც სამი წელი გავიდა იმ წლის ბოლოდან, რომელშიც ადგილი ჰქონდა დარღვევას.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამასთან, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა, თუ ხელისუფლებამ წარმატებით განახორციელა თავისი ინტერპრეტაციების აღსრულება, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში ვითარდება და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული სადაზღვევო დაცვის მრავალი სახეობა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს სრული დაფარვა თავისი ქონებისთვის ან ბიზნესის შეწყვეტის შემთხვევაში, თუმცა, სრული რისკი მისი ქონებისა და აღჭურვილობის დაზიანების შემთხვევაში დაზღვევის დაფარვის პროცესშია. სანამ კომპანია მიიღებს სათანადო სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში ვითარდება გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება და მუდმივად განიხილება მთავრობის ორგანოების სააღსრულებო პოზიცია. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციებით ნაკისრ ვალდებულებებს. როგორც კი ვალდებულებები დგინდება, ხდება მათი დაუყოვნებლივ აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო დავის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეუძლებელია შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში არსებული სააღსრულებო კლიმატის პირობებში, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე მიყენებული ზიანისთვის.

შეთანხმებების შესრულება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ექვემდებარება მის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული რაიმე შეთანხმების შესრულებას.

კლიმატის ცვლილება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმაცია და შეშფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად ამ საკითხს

მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ მენეჯმენტი აგრძელებს ამ სფეროში განვითარებული მოვლენების მონიტორინგს.

24 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას არის კომპანიის უნარის დაცვა, რომ შეძლოს თავისი საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება, რათა უზრუნველყოს მფლობელისთვის ამონაგები და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია მოახდინოს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს მფლობელს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით. კაპიტალის ოდენობა, რომელსაც კომპანია მართავდა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 19,449 ათასი ლარი (2021: 14,125 ათასი ლარი).

25 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსური, ოპერაციული და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკისა და ფასის სხვა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის საზღვრების დადგენა და შემდეგ რისკების ზემოქმედების ამ ზღვრებში შენარჩუნება. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი. კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ შესაძლებელია ფინანსური ზარალი მიაყენოს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის ზემოქმედება წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვის და კონტრაგენტებთან სხვა გარიგებების შედეგად, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება აქტივების კლასის მიხედვით აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 12)		
- მისაღები საქონლის რეალიზაციიდან	1,585	2,589
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 14)		
- ნაშთები ბანკში მოთხოვნამდე	315	864
გაცემული სესხი (შენიშვნა 11)		
- გაცემული სესხები	6,695	500
საკრედიტო რისკზე მაქსიმალური ზემოქმედება	**8,595**	**3,953**

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის დაკრედიტებისა და სხვა ოპერაციების შედეგად კონტრაგენტებთან, რაც იწვევს ფინანსური აქტივების ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით. გაცემული კორპორატიული სესხებისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება არის ვალდებულების ოდენობა. სავაჭრო

დებიტორული დავალიანების კუთხით კომპანია არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელია შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი. საანგარიშო პერიოდების ბოლოს, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% მხოლოდ ორ ბანკში ინახებოდა.

საკრედიტო რისკის მართვა. კომპანია ავითარებს კრედიტის ზემოქმედების მართვის პროცედურებს. კომპანიის ძირითადი საშუალება საკრედიტო რისკების შესამცირებლად არის ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების განთავსება რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, საქონლის გაყიდვა ძირითადად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტზე და გაცემული სესხის გადახდის გრაფიკის შესრულების მონიტორინგი.

საკრედიტო ლიმიტები გაანალიზებულია და დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ. კომპანია აყალიბებს აღებული საკრედიტო რისკის დონეებს, კონტრაგენტებთან ან კონტრაგენტთა ჯგუფებთან მიმართებაში აღებული რისკის ოდენობის ზღვრების დაწესებით. ასეთი რისკები მონიტორინგი ხორციელდება განახლებად საფუძველზე და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვას.

საკრედიტო რისკის ზემოქმედების მონიტორინგის მიზნით, რეგულარული ანგარიშები მზადდება სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ფოკუსირებულია კლიენტის მიერ გადახდის გრაფიკის რეალიზებაზე. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება ეცნობება მენეჯმენტს და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს კონტრაგენტების მუშაობას და აკვირდება ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ზემოქმედებას. მენეჯმენტი აკონტროლებს და ამჟღავნებს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას ანგარიშების მიღების გზით, სადაც ჩამოთვლილია არსებული ზემოქმედება იმ კონტრაგენტებთან დაკავშირებით, რომელთა აგრეგირებული ნაშთები კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ზე მეტია. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავდა ერთი კონტრაგენტი (2021 წელი: ერთი კონტრაგენტი), რომლის დებიტორული დავალიანების აგრეგირებული ნაშთი კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ს აღემატებოდა. ამ ნაშთის ჯამურმა (აგრეგირებულმა) თანხამ შეადგინა 1,486 ათასი ლარი (2021 წელი: 2,518 ათასი ლარი) ან სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების მთლიანი ოდენობის 11% (2021 წელი: 29%). კომპანიას არსებითი საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს ორ ბანკში (2021 წელი: ორი ბანკი), რაც არიდებს კომპანიას საკრედიტო რისკის კონცენტრაციას.

ECL-ის შეფასება. ECL წარმოადგენს მომავალი ფულადი სახსრების დეფიციტის ალბათობაზე შეწონილ მიმდინარე ღირებულების შეფასებას (ანუ, საშუალო შეწონილი საკრედიტო დანაკარგები, დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილი დეფოლტის შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, გამოიყენება როგორც წონა). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. ECL-ის შეფასება ეფუძნება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა („PD“), რისკი დეფოლტის დროს („EAD“), ზარალი დეფოლტის დროს („LGD“) და დისკონტის განაკვეთი.

რისკი დეფოლტის დროს (EAD) გულისხმობს რისკის ზემოქმედების შეფასებას დეფოლტის მომავალი თარიღისთვის, საანგარიშო პერიოდის შემდეგ ზემოქმედების მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის და საკრედიტო ვალდებულებების მოსალოდნელი ამოღებების ჩათვლით. EAD სესხთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე შეფასებულია კრედიტ კონვერსიის ფაქტორის („CCF“) გამოყენებით. CCF არის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვალდებულებების ბალანსის რისკებად გადაქცევის ალბათობას. დეფოლტის ალბათობა გულისხმობს ალბათობის და დეფოლტის დადგომის შეფასებას მოცემული პერიოდის განმავლობაში. ზარალი დეფოლტის დროს გულისხმობს დეფოლტისას წარმოქმნილი ზარალის შეფასებას. იგი ეფუძნება ხელშეკრულების საფუძველზე მისაღებ ფულად ნაკადებსა და კრედიტორის მიერ მისაღებ თანხებს შორის სხვაობას, მათ შორის ნებისმიერი გირაოდან მიღებულს. იგი ძირითადად გამოიხატება EAD-ის პროცენტის სახით. მოსალოდნელი ზარალი ექვემდებარება დისკონტირებას მიმდინარე ღირებულებამდე საანგარიშო პერიოდის ბოლოს. დისკონტის განაკვეთი

წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტისთვის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს (“EIR”) ან მასთან მიახლოებულს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირება ხორციელდება ინსტრუმენტის *მოქმედების ვადის* განმავლობაში. მოქმედების ვადა უდრის სასესხო ინსტრუმენტის დაფარვამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს, რომელიც კორექტირებულია მოსალოდნელი წინასწარი გადახდების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის მქონე ხელშეკრულებებისთვის ეს არის სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანიას აქვს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულება კრედიტის გაცემაზე.

მენეჯმენტი იყენებს *მოქმედების ვადის ECL*-ის მოდელებს, ანუ ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მოქმედების ვადის განმავლობაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული ECL-ის მოქმედების ვადის ნაწილს, რაც შესაძლებელია საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ანუ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ *მოქმედების ვადაში*, თუ ის ერთ წელზე ნაკლებია.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნით, კომპანია განსაზღვრავს დეფოლტის, როგორც სიტუაციას, როდესაც ზემოქმედება აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- კონტრაგენტს ვადაგადაცილებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 360 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში;
- კონტრაგენტი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს გადახდის შეუძლებლობის შესახებ:
  - კონტრაგენტი გარდაცვლილი ან გადახდისუუნაროა.
  - სავარაუდოა, რომ კონტრაგენტი გაკოტრდება.

გამჭვირვალობის მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განმარტება კრედიტით გაუფასურებული აქტივების განმარტებას. ზემოთ მოყვანილი დეფოლტის განმარტება გამოიყენება კომპანიის ყველა სახის ფინანსურ აქტივზე.

ინსტრუმენტი აღარ განიხილება როგორც დეფოლტის მახასიათებლების მქონე (ანუ გაუმჯობესდა), როდესაც ის აღარ აკმაყოფილებს დეფოლტის რომელიმე კრიტერიუმს ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში. ეს პერიოდი განისაზღვრა ანალიზის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს გაუმჯობესების შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მდგომარეობაში დაბრუნების ალბათობას გაუმჯობესების სხვადასხვა შესაძლო დეფინიციების გამოყენებით ჩატარებული გაუმჯობესების (გაჯანსაღების) ზომების შემდეგ.

იმის შეფასება, აღინიშნა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (“SICR”) თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხორციელდება ინდივიდუალურად. კორპორატიულ სუბიექტებზე გაცემულ სესხებზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე, SICR ფასდება ინდივიდუალურად, ქვემოთ ჩამოთვლილი ტრიგერების მონიტორინგით. SICR-ის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები პერიოდულად კონტროლდება და განიხილება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მათი მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით.

კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტი ექვემდებარება SICR-ს, როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი რაოდენობრივი, ხარისხობრივი ან დამხმარე (შემზღუდავი) კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი.

გაცემული სესხებისთვის, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის:

- ვადაგადაცილებული 180 დღე;
- ფარდობითი ზღვარი განსაზღვრულია ინდივიდუალურ საფუძველზე: დეფოლტის ალბათობის დარჩენილი მოქმედების ვადის გაზრდა 2.5-ჯერ დეფოლტის ალბათობის

დარჩენილ მოქმედების ვადასთან შედარებით, რაც შეფასებულია თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანია იყენებს 12-თვიან დეფოლტის ალბათობას, მოქმედების ვადის დეფოლტის ალბათობის ნაცვლად, ამ თანაფარდობის გამოსათვლელად, თუ 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოყენების ეფექტი არსებითად არ განსხვავდება.
- სესხის ჩართვა საკონტროლო სიაში საკრედიტო რისკის შიდა მონიტორინგის პროცესის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დონე აღიარებული მოცემულ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშში დამოკიდებულია იმაზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა კონტრაგენტის საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების მომენტიდან. ეს წარმოადგენს ECL-ის შეფასების სამსაფეხურიან მოდელს. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც არ არის გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას და რომლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გააჩნია საკრედიტო დანაკარგის რეზერვი, დაფუძნებული 12-თვიან ECL-ზე (1 სტადია). თუ თავდაპირველი აღიარებიდან მოყოლებული იდენტიფიცირებულია SICR, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის მე-2 სტადიაზე, მაგრამ ჯერ არ ითვლება კრედიტით გაუფასურებულად და ზარალის რეზერვი ეფუძნება მოქმედების პერიოდის ECL-ს. თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ ის გადადის მე-3 სტადიაზე და ზარალის რეზერვი ეფუძნება მოქმედების ვადის ECL-ს. აქტივის მე-3 სტადიაში ყოფნის შედეგი არის ის, რომ საწარმო წყვეტს საპროცენტო შემოსავლის აღიარებას მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე და იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, ECL-ის გამოკლებით საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშებისას.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, ინსტრუმენტი ბრუნდება ისევ 1-ელ სტადიაზე. თუ რისკები გადატანილია მე-2 სტადიაზე ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, მაშინ კომპანია აკვირდება, აგრძელებს თუ არა ეს მაჩვენებელი არსებობას თუ შეიცვლება.

POCI ფინანსური აქტივებისთვის ECL-ის შეფასება ყოველთვის ხდება მოქმედების ვადის საფუძველზე. ამიტომ კომპანია აღიარებს მხოლოდ კუმულატიურ ცვლილებებს ECL-ის მოქმედების ვადაში.

კომპანიის მიდგომა ECL-ის მიმართ გაცემული სესხების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და სხვა ფინანსური აქტივების შესაფასებლად გულისხმობს ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასებას:

- გაცემული სესხებისთვის ECL-ის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება სხვადასხვა შესაძლო შედეგებისთვის საკრედიტო დანაკარგების შეფასებების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან. კომპანია განსაზღვრავს მინიმუმ ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, რომელთაგან ერთი იწვევს საკრედიტო დაკარგვას მაშინაც კი, თუ ასეთი სცენარის ალბათობა შეიძლება იყოს ძალიან დაბალი. ინდივიდუალური შეფასება, პირველ რიგში, ეფუძნება მენეჯმენტის საექსპერტო შეფასებებს. საექსპერტო დასკვნები რეგულარულად მოწმდება, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებებსა და რეალურ ზარალს შორის.
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის, ვინაიდან კომპანიის ერთადერთი, უმსხვილესი კლიენტი არის საწარმო, რომლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) საერთო კონტროლს ექვემდებარება, ECL ფასდება ინდივიდუალურად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ფინანსური მდგომარეობის, ისტორიული გადახდების და იმ სექტორის გათვალისწინებით, სადაც ის ოპერირებს.

ზოგადად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების გამრავლების ჯამს: რისკი დეფოლტის დროს („EAD“), დეფოლტის ალბათობა („PD“), და ზარალი დეფოლტის დროს („LGD“), რომლებიც განსაზღვრულია ზემოთ მოყვანილი განმარტების შესაბამისად და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ECL განისაზღვრება რისკის პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით ყოველი მომავალი წლისთვის, თითოეული ინდივიდუალური რისკის მოქმედების

ვადის განმავლობაში. ეს სამი კომპონენტი მრავლდება ერთად და კორექტირდება გადარჩენის ალბათობაზე (ე.ი. რისკი ანაზღაურდა ან დეფოლტი მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში). ეს უზრუნველყოფს ECL-ის ეფექტურად დათვლას ყოველი მომავალი პერიოდისთვის, რაც შემდეგ დისკონტირებულია საანგარიშო თარიღამდე და შეჯამებულია. ECL-ის გამოთვლაში გამოყენებული დისკონტის განაკვეთი წარმოადგენს ორიგინალურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ან მასთან მიახლოებულს.

საპროგნოზო ინფორმაცია, ჩართული ECL-ის მოდელებში. SICR-ის შეფასება და ECL-ის გამოთვლა ორივე შემთხვევაში აერთიანებს დასადასტურებელ საპროგნოზო ინფორმაციას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რისკებთან და ECL-თან. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) ფასდება კომპანიის მიერ და უზრუნველყოფს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთი წლისთვის.

როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, პროგნოზები და მოვლენის ალბათობა ექვემდებარება დამახასიათებელი გაურკვევლობის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს პროგნოზები წარმოადგენს შესაძლო შედეგების მის საუკეთესო შეფასებას, და გააანალიზა

არაწრფივობა და ასიმეტრია, რათა დაადგინოს, რომ არჩეული სცენარები სათანადოდ წარმოადგენს შესაძლო სცენარების დიაპაზონს.

კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის მეთოდოლოგიას და ვარაუდებს, რათა შეამციროს რაიმე სახის განსხვავება შეფასებებსა და რეალურ საკრედიტო დანაკარგს შორის. ასეთი ტესტირება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტული აქტივები და ვალდებულებები და (გ) საკუთარი კაპიტალის პროდუქტები, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს. მენეჯმენტი ადგენს მისაღები რისკის ღირებულების ზღვრებს, რომელთა მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება. მაგრამ ამ მიდგომის გამოყენება არ აფერხებს ზარალს ამ ზღვრებზე მეტი ოდენობით ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის მიმართ, მენეჯმენტი ადგენს ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. ხორციელდება პოზიციების მონიტორინგი. ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკისადმი საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2022 წლის 31 დეკემბერს			2021 წლის 31 დეკემბერს		
ათას ქართულ ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	8,578	(1,403)	7,175	3,092	(3,810)	(718)
აშშ დოლარი	17	(2,621)	(2,604)	861	(1,828)	(967)
ევრო	-	-	-	-	-	-
სულ	**8,595**	**(4,024)**	**4,571**	**3,953**	**(5,638)**	**(1,685)**

ცხრილში ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალისა და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული სავალუტო კურსების გონივრული შესაძლო ცვლილებების მიმართ, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის მუდმივად შენარჩუნებით:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(260)	(97)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	260	97

ზემოქმედება დაანგარიშდა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის, დენომინირებულში სხვა ვალუტაში, გარდა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება მის ფინანსური მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გავრცელებული დონეების რყევების ეფექტის გავლენას. ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკებისადმი. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებით, კლასიფიცირებული სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთების გადაანგარიშების ან დაფარვის ვადის გასვლის უფრო ადრეული თარიღის მიხედვით.

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	უპროცენტო	სულ
31 დეკემბერი 2022							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	3,368	3,327	-	1,900	8,595
სულ ფინანსური ვალდებულებები	(4)	(1,220)	(1,397)	-	-	(1,403)	(4,024)
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2022 წლის 31 დეკემბერს	**(4)**	**(1,220)**	**1,971**	**3,327**	**-**	**497**	**4,571**
31 დეკემბერი 2021							
სულ ფინანსური აქტივები	-	198	257	45	-	3,453	3,953
სულ ფინანსური ვალდებულებები	(366)	(3,652)	(25)	(52)	-	(1,543)	(5,638)
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2021 წლის 31 დეკემბერს	**(366)**	**(3,454)**	**232**	**(7)**	**-**	**1,910**	**(1,685)**

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობას მცურავი განაკვეთის მქონე სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გონივრულ შესაძლო ცვლილებებისადმი, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად შენარჩუნებით:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 10%-ით გაზრდა	-	34
საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 10%-ით შემცირება	-	(34)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმოს შეექმნება სირთულე იმ ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ვალდებულებებთან. კომპანია ყოველდღიურად აწყდება აუცილებლობას გამოიყენოს არსებული ფულადი რესურსები. ლიკვიდურობის რისკს მართავს კომპანიის მენეჯმენტი. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დაფინანსების სტაბილური ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სესხებისა და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას. მენეჯმენტის შეფასებით, ლიკვიდურობის პორტფელის ფულადი სახსრების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნაღდი თანხით ერთი დღის განმავლობაში, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის მათი დაფარვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი სახსრები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შეტანილი თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოყვანილი თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. თუ გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, გამჭვანებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ კურსის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სესხები	-	1,215	1,510	-	-	2,725
საიჯარო ვალდებულებები	4	8	36	-	-	48
სავაჭრო გადასახდელები	1,403	-	-	-	-	1,403
სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	**1,407**	**1,223**	**1,546**	**-**	**-**	**4,176**

2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სესხები	390	2,054	1,671	-	-	4,115
საიჯარო ვალდებულებები	5	9	41	55	-	110
სავაჭრო გადასახდელები (მე-18 შენიშვნა)	1,543	-	-	-	-	1,543
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	**1,938**	**2,063**	**1,712**	**55**	**-**	**5,768**

სოფლის მეურნეობის საქმიანობის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიები. კომპანია ექვემდებარება ეკოლოგიური და კლიმატური ცვლილებებისა და საქონლის ფასების რისკს. კომპანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი დაცულია მავნებლებისა და მწერებისგან. რეგულარული კონსულტაციები ტარდება წამყვან გამოცდილ პროფესიონალ აგრონომებთან. არახელსაყრელი ამინდის პირობების გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი მცენარეების ზრდის ხელოვნური განათების დამონტაჟებით.

კომპანია არ ელის, რომ მისი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შემცირდება და, შესაბამისად, მას არ აქვს დადებული წარმოებული თუ სხვა კონტრაქტები ფასების შემცირების რისკის სამართავად.

26 რეალური ღირებულების გამჟღავნება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ იზომება რეალური ღირებულებით, მაგრამ რომელთათვისაც ხდება რეალური ღირებულების გამჟღავნება. რეალური ღირებულების იერარქიაში არსებული დონის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022				31 დეკემბერი 2021			
ათას ქართულ ლარში	1-ლი დონე რეალური ღირებულება	მე-2 დონე რეალური ღირებულება	მე-3 დონე რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე რეალური ღირებულება	მე-2 დონე რეალური ღირებულება	მე-3 დონე რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								
-კორპორატიული სესხი	-	6,695	-	6,695	-	500	-	500
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	1,585	-	1,585	-	2,589	-	2,589
- ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები	-	315	-	315	-	864	-	864
სულ აქტივები	**-**	**8,595**	**-**	**8,595**	**-**	**3,953**	**-**	**3,953**
ვალდებულებები								
სესხები								
- საბანკო სესხები	-	-	-	-	-	2,268	-	2,268
-კორპორატიული სესხი	-	2,575	-	2,575	-	1,726	-	1,726
სხვა ფინანსური								
- სავაჭრო გადასახდელები	-	1,403	-	1,403	-	1,543	-	1,543
სულ ვალდებულებები	**-**	**3,978**	**-**	**3,978**	**-**	**5,537**	**-**	**5,537**

რეალური ღირებულების დადგენა დონის მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება რეალური ღირებულების იერარქიაში: (i) პირველი დონე - გაზომვა კოტირებული ფასების მიხედვით (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისათვის, (ii) მეორე დონის გაზომვები - შეფასების ტექნიკა აქტივის ან ვალდებულების ყველა მნიშვნელოვანი საწყისი

მონაცემის გამოყენებით, პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან გამომდინარე) გზით, და (iii) მესამე დონის გაზომვა - შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებულ მონაცემებს (ანუ შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან დაუკვირვებად მონაცემებს). მენეჯმენტი იყენებს მსჯელობას ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ რეალური ღირებულების შეფასება იყენებს დაკვირვებად საწყის მონაცემებს, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს შეფასება განეკუთვნება მე-3 დონის გაზომვას. საწყისი მონაცემების შეფასების მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასებასთან შედარებით.

რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეების რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკის გამოყენებით. მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც, სავარაუდოდ, მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებადი, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც, სავარაუდოდ, მიიღება დისკონტირებული სახით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. კომპანიის ფინანსური აქტივების საპროგნოზო რეალური ღირებულება ემყარება საპროგნოზო მომავალ ფულად ნაკადებს, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, მიიღება დისკონტირებული მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული დისკონტის განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. განსაზღვრული ვადიანობისა და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე იმ ინსტრუმენტების საპროგნოზო რეალური ღირებულება, რომელთათვის კოტირებული საბაზრო ფასი არ არის ხელმისაწვდომი, შეფასდა მოსალოდნელი დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულების დაახლოებით სამართლიანი ღირებულების ტოლია მათი მოკლევადიანი დაფარვის გამო.

27 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

2023 წელს კომპანიამ დამატებით გასცა 621 ლარის ოდენობის სესხი შპს „Georgian Alternative Energy“-სთვის, რაც შეთანხმებული იყო თავდაპირველ საკრედიტო ხელშეკრულებაში. 375 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხის დაფარვის ვადა გაგრძელებულია 2 წლით.

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობა და პოზიცია

სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ („კომპანია“) დაფუძნდა 2014 წლის 3 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. ეს პროექტი წარმოადგენდა საქართველოს თანაინვესტირების ფონდის (”GCF”) ერთ-ერთ ინიციატივას, რომელიც ინვესტორებისთვის უზრუნველყოფს წვდომას საქართველოს ეკონომიკის სწრაფად მზარდი სექტორებთან.

GCF დაარსდა 2013 წელს, საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობებისადმი საერთაშორისო საინვესტიციო საზოგადოების მზარდი ინტერესის საპასუხოდ. მას შემდეგ, GCF-მ თანაინვესტორებისთვის უზრუნველყო საქართველოში განვითარებადი ინდუსტრიებისა და სექტორების უნიკალურ შესაძლებლობებთან წვდომა.
კომპანიას აქვს 8-წლიანი გამოცდილება და წარმოადგენს წამყვან კომპანიას სოფლის მეურნეობის სექტორში. კომპანია აწარმოებს და ყიდის პრემიუმ და მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, პომიდორსა და კიტრს. კომპანია ფლობს და ამუშავებს თანამდეროვე, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სათბურის ობიექტს 12 ჰა-ზე (სასათბურე მეურნეობა), რომელიც აღჭურვილია მცენარეების ზრდის ხელოვნური განათებით, ყოველწლიურად 7,100 ტონაზე მეტი პროდუქტის მოყვანის შესაძლებლობით. ზრდის ხელოვნური განათება ზამთარსა და არახელსაყრელი ამინდის პირობებშიც მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა, შესაბამისად, სათბური ნაკლებად არის დამოკიდებული მზის შუქზე. შედეგად, წარმოების ხარისხი და მოსავლიანობა კვადრატულ მეტრზე გაიზარდა და ხარჯები ოპტიმიზირებულია.

პროდუქცია იყიდება ადგილობრივ ბაზრებზე, ჰიპერმარკეტებსა და სუპერმარკეტების ქსელებში.

დასაქმებულთა რაოდენობა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის 242, მათ შორის 179 - ქალი (2021 წელი: 237, მათ შორის 179 - ქალი).

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი პროდუქტებია კიტრი და პომიდორი, რომლებიც წარმოდგენილია დიდი ასორტიმენტით ყველა სეზონზე. ჩვენ მუდმივად ვატარებთ ახალ ჯიშების ტესტირებას, და არც 2022-2023 წლების სეზონია გამონაკლისი. გადაწყდა, რომ კვლავ გამოვცადოთ წიწაკის ახალი სახეობების მოყვანა. მაღალი ხარისხის შეთავაზებით, სხვადასხვა სახის ბოსტნეული ჩაანაცვლებს იმპორტირებულ პროდუქციას, რაც მომხმარებლისთვის კომპანიას უფრო მიმზიდველს გახდის.

კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001: 2015 (2018 წელი) და გაიარა Global GAP სერტიფიკაცია (2019 წელი).

3. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო დაკავებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არა აქვს ფილიალები. სათბური მდებარეობს გარდაბანში (თბილისიდან 50 კმ-ში), ხოლო მენეჯმენტის გუნდის ნაწილი განთავსებულია თბილისის ოფისში.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	2022	2021
შემოსავლები	15,976	15,086
წმინდა მოგება/(ზარალი)	344	(2,695)
EBITDA*	1,891	(96)

შენიშვნა: EBITDA – მოგება საპროცენტო ხარჯების, გადასახადების გადახდის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების გარეშე*

ძირითადი ცვლილებების განმარტება:

წმინდა მიგება - წმინდა მოგებაზე ძირითად გავლენას ახდენდა შემოსავლების გაზრდა, კომუნალური მომსახურების ხარჯების შემცირება და მცენარეთა ზრდის ხელოვნური განათების გამოყენებით ელექტროენერგიის მოხმარების ახალი სტრატეგია.

წმინდა ზარალი - წმინდა ზარალზე ძირითადად გავლენას ახდენდა შემოსავლის ზრდა, ცვეთის ანარიცხების ზრდა, კომუნალური მომსახურების ხარჯების ზრდა და მცენარეთა ზრდის ხელოვნური განათების გამოყენების შედეგად ელექტროენერგიის მეტი რაოდენობით მოხმარება. 2021 წელს ელექტროენერგიის ფასი კვტ-ზე 0.1625 ლარიდან 0.3088 ლარამდე გაიზარდა (დღგ-ს ჩათვლით).

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები შეჯამებულია შემდეგნაირად:

	2022	2021
კიტრის მოსავალი (კილოგრამი)	3,269,408	4,783,147
პომიდორის მოსავალი (კილოგრამი)	1,511,314	1,014,142
პერსონალის რაოდენობა	242	237

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს კომპანიის მიერ არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შეძენა.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

ჩვენი ბრენდი „პლანტა“ ასოცირდება საქართველოში წარმოებული პრემიუმ ხარისხის პროდუქტთან, რაც იზიდავს მომხმარებლებს და ზრდის ერთგულებას. კიდევ ერთი ბრენდი, „Georgian Harvest“ (ქართული მოსავალი), პოზიციონირებს როგორც მეინსტრიმი (მასობრივი ბრენდი). მრავალი სარეკლამო კამპანიის წარმოება ხდება გაყიდვების ადგილებში, სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო შოუებში (2021 წელი: MasterChef).

სათბურის უნიკალური ადგილმდებარეობა გვაძლევს უპირატესობას ენერგიის მოხმარების და ხარჯების შემცირების მხრივ. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მზის გამოსხივება გარდაბანშია, რაც მცენარეთა მოშენებისთვის აუცილებელია. ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი წყალმომარაგება.

პერსონალის მუდმივი ტრენინგები სძენს მათ უნიკალურობასა და გამოცდილებას. ისინი ადგილობრივები არიან და მათი დაკარგვის შანსი მინიმალურია, რადგან გარდაბანში მსგავსი მაღალტექნოლოგიური სათბური არ მოქმედებს.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

გაყიდვებს ახორციელებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტი, შპს „ჯორჯიან აგრო ჰაუსი“, რომელიც GCF-ის ერთერთი პროექტია, ისევე როგორც სს „საქართველოს სასათბურე კორპორაცია“. გადახდის პირობები არის გაყიდვების თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკისა და გაურკვევლობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	კონკურენცია იაფი იმპორტირებული პროდუქციით	მომხმარებლების მოსაზიდად უფრო გემრიელი, არომატული და მაღალი ხარისხის ბოსტნეულის წარმოება. ბრენდის ეფექტიანი სტრატეგიის განხორციელება.
2	ბაზრის გაჯერება	კომპანიამ წარმატებით დანერგა ISO 9001: 2015 და Global GAP, რაც იქნება აქტივი ევროკავშირისა და სხვა ბაზრებზე გასასვლელად.
3	პერსონალის ცოდნა და გამოცდილება	გამოცდილი მმართველი გუნდი, მუდმივი ტრენინგები და პროფესიონალების მოწვევა საზღვარგარეთიდან მასტერკლასებზე.
4	პოტენციური საშიშროება მავნებლებისა და მწერებისგან	მავნებლებისა და მწერებისგან ბიოლოგიური დაცვის განხორციელება. მუდმივი კონსულტაცია უცხოეთის წამყვან გამოცდილ აგრონომებთან.
5	არახელსაყრელი ამინდი, მზის სხივების ნაკლებობა	ამ რისკის შერბილება ხდება ხელოვნური განათების და სათბურის სათანადო ადგილას განთავსებით.
6	საკრედიტო რისკი	კომპანია არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელი არის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირი. საანგარიშო პერიოდების ბოლოს, კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% მხოლოდ ორ ბანკში იყო განთავსებული.
7	სავალუტო რისკი	სავალუტო რისკის მიმართ, მენეჯმენტი ადგენს ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. ხორციელდება პოზიციების მონიტორინგი.

2023 წლის 10 ივლისი

შოთა ჯაფარიძე
გენერალური დირექტორი

მაია წიკლაური
მთავარი ბუღალტერი

თარგმანი სწორია: